# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 3 ოქტომბერი 1998 №178 (713) ფასი 50 თეთრი

## საქართველოს ჩემპიონატი 9 ტური

2 ოქტომბერი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 4 |
| არსენალი | 1 |

3 ოქტომბერი, შაბათი

კოლხეთი — სიონი
ოდიში — გორდა
ბათუმი — მერანი
ვიტ ჯორჯია — დინამო
იბერია — სამგურალი
ტორპედო — გურია

4 ოქტომბერი, კვირა

ლოკომოტივი — დილა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 5 | 2 | 0 | 20:7 | 17 |
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 26:5 | 16 |
| დილა | 8 | 5 | 1 | 2 | 11:7 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 4 | 0 | 13:4 | 16 |
| იბერია | 8 | 4 | 0 | 4 | 17:17 | 12 |
| ბათუმი | 8 | 3 | 3 | 2 | 17:10 | 12 |
| კოლხეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 1 | 4 | 10:9 | 10 |
| ოდიში | 7 | 3 | 0 | 4 | 5:11 | 9 |
| მერანი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | 9 |
| არსენალი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:16 | 9 |
| თსუ | 9 | 2 | 2 | 5 | 8:12 | 8 |
| გურია | 8 | 2 | 1 | 5 | 8:19 | 7 |
| სამგურალი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:18 | 7 |
| გორდა | 7 | 1 | 4 | 2 | 5:5 | 7 |
| სიონი | 8 | 1 | 2 | 5 | 10:21 | 5 |


გუშინ მცხეთაში: თსუ — „არსენალი“. სტუდენტი წიტაიშვილი აშკარა უმცირესობაში მოექცა

# 700 დღე შეჩხუურთოდ

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ყველაფერი გაირკვა. უეფას ოფიციალური ცნობით, ალბანეთი — საბერძნეთის მატჩი კალენდრით გათვალისწინებული 10 ოქტომბრის ნაცვლად 18 ნოემბერს გაიმართება. ყოველივე ეს შედეგია ხანგრძლივი მოლაპარაკებისა, რომელიც 14 სექტემბრის მოვლენების შემდეგ დაიწყო. ბერძნულმა ფედერაციამ უმალ მოითხოვა, შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე ჩატარებულიყო, რასაც, ცხადია, მათი ალბანელი კოლეგები და ნაკრების მწვრთნელი ჰაფიზი არ დაეთანხმნენ. ისინი ყოველნაირად შეეცადნენ, დაერწმუნებინათ უეფა, რომ არწივების ქვეყანაში მდგომარეობა არცთუ საშიშია და ტირანაში თამაში სავსებით შესაძლებელია. ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო დოკუმენტებიც კი გაუგზავნა ბერძნებსა და უეფას, სადაც უსაფრთხოების გარანტიებზეა ლაპარაკი. ფედერაციის გენერალური მდივანი სტიაროვიც ტელეფონით ყოველდღიურად უკავშირდებოდა უეფას თავკაცებს. თავის მხრივ, ბერძნებმაც ოფიციალურად შესთავაზეს ალბანელებს, ნეიტრალურ მინდორზე ვითამაშოთო. ცხადი იყო, რომ ისინი სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდნენ, მით უმეტეს, რუმინელ მწვრთნელ იორდანესკუს არ სურდა, სლოვენიელებთან ფრეს შემდეგ მისი ნაკრების წარუმატებლობა განმეორებულიყო. მაგრამ არაფერმა გაჭრა.

ყოველივე კი, ასე დასრულდა — უეფამ მატჩის ტირანაში 18 ნოემბერს გამართვა ბრძანა. მანამდე კი, 14 ოქტომბერს იორდანესკუს ბერძნებს ქართველების ძლევა განუზრახავს, ხოლო ჰაფიზი, რომლის გუნდსაც ამავე დღეს ნორვეგიელებთან ელის შეხვედრა, უეფას გადაწყვეტილებით არცთუ კმაყოფილია. ასტრიტ ჰაფიზის ნაკრებს 700 დღეა, ტირანაში არ უთამაშია. ალბანელებს კი უკვე აღარც სჯერათ, რომ ოდესმე საყვარელი ნაკრების თამაშს სამშობლოში იხილავენ.

**მიქელე იანჭუ**
„ექსპრეს სპორტი“, საგანგებოდ „სარბიელისთვის“ ტირანადან

# არც ჰინგისი და არც პირსი

თბილისის ქალთა ღია პირველობა ჯერჯერობით უსენსაციებოდ მიმდინარეობს. განთესილები თავიანთ პარტიებს დაუძაბავად იგებენ. გუშინდელ მეოთხედფინალურ მატჩებში ელენა მაკაროვამ (1) გერმანელი ანკე ბარნა 6:2, 6:1 დაამარცხა, ევგენია კულიკოვსკაიამ (2) კი ბელარუს ოლგა გლუშენკოს 6:2, 6:1 მოუგო. დანარჩენი ორი შეხვედრა უფრო საინტერესო გამოდგა. ეს განსაკუთრებით სლოვაკ მარტინა სუჩასა და მაკა ჩახნაშვილის მძლეველ ფრანგ კაროლინა იაგინიაკის მატჩზე ითქმის.

პირველი სეტი დრამატულად წარიმართა, მეტოქეებმა ხუთ-ხუთი გეიმი მოიგეს და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ერთმანეთს ტაი-ბრეიკებზე გაეჯიბრებოდნენ, მაგრამ სლოვაკმა იძალა და სეტიც სასურველი ანგარიშით 7:5 დაასრულა.

მეორე სეტში კაროლინამ 6:4 გაიმარჯვა, მაგრამ მერე, ეტყობა, დაიღალა, მარტინა სუჩამაც შანსი ხელიდან არ გაუშვა, მესამე სეტში რიგიანად გაისარჯა, შეხვედრა მოიგო და ნახევარფინალში კულიკოვსკაიას დაუპირისპირდება.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი


რუსი მარია გოლოვიზინა ნახევარფინალისტია



## საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

1 ოქტომბერი, ხუთშაბათი

კოლხა 80:97 აზოტი
დინამო 91:73 შევარდენი

2 ოქტომბერი, პარასკევი

სდასუ 80:96 სტუ
თსუ 93:89 მაკაბი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 91:73 | 2 |
| აზოტი | 1 | 1 | 0 | 97:80 | 2 |
| სტუ | 1 | 1 | 0 | 96:80 | 2 |
| თსუ | 1 | 1 | 0 | 93:89 | 2 |
| მაკაბი | 1 | 0 | 1 | 89:93 | 1 |
| სდასუ | 1 | 0 | 1 | 80:96 | 1 |
| კოლხა | 1 | 0 | 1 | 80:97 | 1 |
| შევარდენი | 1 | 0 | 1 | 73:91 | 1 |
| ვითა | — | — | — | —:— | — |

იხილეთ მერვე გვერდი

# ქალებმა ჰო. კაცებმა ვერა

ELISTA•98 CHESS OLYMPIAD

ქართველმა ქალებმა, ეტყობა, ვიეტნამურ შოკს თავი დაალწიეს. ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადის მეოთხე ტურში ჩიბურდანიძე-იოსელიანი-არახამიას სამეულმა ვენესუელელები 3:0 დაამარცხა. თუმცა, გუშინ წაგებას მაინც ვერ ავცდით. ამჯერად კაცებმა წაიფორხილეს: ისინი რუმინეთთან 1,5:2,5 დამარცხნენ — გიორგაძემ, ბაღათუროვმა და სუპატაშვილმა პარტიები ყაიმით დაასრულეს, ჯანჯღავამ კი მარცხი იწვნია.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

## გერმანია

VII ტური

ჰერტა 4:1 მიონხენგლადბახი
1:0 ვეიტი (13), 1:1 პოლსტერი (23), 2:1, 3:1, 4:1 პრეეტცი (58, 80, 89)

ვოლფსბურგი 0:0 შალკე

### მეორე ბუნდესლიგა

IX ტური

ურდინგენი 1:3 კარლსრუე
ობერჰაუზენი 0:2 უნტერჰახინგი
ზანქტ პაული 0:1 ულმი
დიუსელდორფი 2:2 არმინია

## ბელგია

IX ტური

გენტი 3:0 მუსკრონი
1:0 მარტენსი (25), 2:0 დეგრიზი (50), 3:0 ნილსენი (71)

## ავსტრია

XI ტური

ზალცბურგი 1:1 რაპიდი

## პორტუგალია

VI ტური

ბეირა მარი 0:2 აკადემიკა

მცხეთა
2 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
1000 (ტევადობა 3 000)

## თსუ 4:1 არსენალი

1:0 როსტიაშვილი (30), 1:1 ზირაქიშვილი (38), 2:1 კაკუბავა (51), 3:1 წიტაიშვილი (80პ), 4:1 ებრალიძე (88)
**თსუ:** ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, ვ. ლუდუშაური, ებრალიძე, ცომაია, კაკუბავა (ნინუა 77), მაღრაძე, წიტაიშვილი (ო. სულაძე 86), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (კ. სვანიძე 87)
*სათადარიგონი:* გაბელია, ჭიაბრიშვილი, ინწკირველი, ბახტაძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა, ყუფარაძე, ვ. გველესიანი (გ. სულაძე 68), ლაცაბიძე, მ. მაისურაძე (გამზარდია 77), ზირაქიშვილი, ლომიძე, კორღალიძე (ხოსროშვილი 57), კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, დ. კაპანაძე, ამირიძე, ქიქავა
**გაფრთხილება:** გველესიანი (14), ლაცაბიძე (37), ჩლაიძე (48), როსტიაშვილი (48)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე, ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. პანოვი

# ოთარი ოთარის წინააღმდეგ

**გიორგი ვაშაკიძე** მცხეთიდან

სტუდენტები ამ ტურამდე ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებოდნენ, გამარჯვების შემდეგ კი დღევანდლამდე მაინც სამი ადგილით ზევით აინაცვლეს. თავის მხრივ, არც არმიელები აპირებდნენ, რაიმე დაეთმოთ: წინა ტურში „ტორპედოსთან" საშინაო მარცხის მერე მათ რენომეს აღდგენა სურდათ. თავიდანვე გეტყვით, რომ საკმაოდ მაღალი რეპუტაციის მქონე ოთარ გუნთაძემ მატჩი შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად განსაჯა. იყო რამდენიმე ეპიზოდი, სადაც მსაჯი, როგორც ამბობენ, „აჭრილი იყო" და საკმაოდ დაბნეულიც კი ჩანდა.

დასაწყისში თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და გუნდებიც უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ. პირველი მომენტიც 30-ე წუთზე (!) შეიქმნა და ისიც კარის აღებით დასრულდა. მაღრაძის ფლანგიდან ჩაკიდული არმიელმა მცველებმა რის ვაივაგლახით მოიგერიეს და იქვე კაკუბავამაც დაარტყა. „არსენალის" მცველები დაიბნენ და ბურთი კარის წინ ეულად მყოფ როსტიაშვილს მიუგორდა, ოთარმაც შანსი გამოიყენა და ანგარიშიც გახსნა — 1:0.

ზირაქიშვილის გოლამდე „არსენალის" საჯარიმოში ჩლაიძემ წიტაიშვილი მოცელა, მაგრამ მსაჯმა თამაში გააგრძელა, არაფერი მომხდარაო. აი, 37-ე წუთზე კი გუნთაძე აშკარად შეცდა: წიტაიშვილი გაექცა ლაცაბიძეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა კობა მაისურაზე დაქაჩა და ძირს დასცა. ყველა იქ მყოფი „ბოლო იმედის" ჯარიმისთვის წითელს ელოდა, მაგრამ გუნთაძემ დამნაშავე მხოლოდ გააყვითლა. 38-ე წუთზე ტარიელაშვილის ფლანგური ჩაწოდებისას, კარის წინ მყოფმა ზაზა ზირაქიშვილმა ბურთს თავი დაუხვედრა და ბათიაშვილი დაალონა 1:1. 41-ე წუთზე კაკაშვილმა საგოლე მომენტი გააცუდა, ზირაქიშვილმა ხელსაყრელ პოზიციაში მარტოდ დარჩენილი კაკაშვილი მოძებნა, რომელმაც ლამის თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ძლიერად გაისროლა, მაგრამ ბათიაშვილმა ფეხით სასწაულებრივად მოიგერია.

ტაიმის დაწყებიდან სამი წუთი იყო გასული, რომ ფეხბურთელებს შორის შეხლა-შემოხლა დაიწყო. სათამაშო, სრულიად უწყინარ სიტუაციაში მეკარე ჩლაიძემ წიხლი ამოარტყა სტუდენტთა კაპიტანს, როსტიაშვილმაც ზურგი დააბრუნა და აირია მონასტერი. წავიდა გაწევ-გამოწევა. გუნთაძემ დამნაშავენი მხოლოდ გააფრთხილა, თუმცა მეკარისთვის წითელი ბარათიც რომ ეჩვენებინა, არავინ დაძრახავდა. 51-ე წუთზე ლევან მაღრაძემ მასპინძელთაგან საუკეთესო დემურ კაკუბავა მოძებნა, თსუელმა ბურთი მიიღო, შეჰყვა და თავისიანები დააწინაურა 2:1; აქედან მოყოლებული „არსენალმა" იგრძნო წაგების საფრთხე და ამოქმედდა. როგორც ტერიტორიულ, ისე სათამაშო უპირატესობასაც არმიელები ფლობდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. ოთარ გაბელიას შეგირდები კი ამ დროს კონტრშეტევებით აპირებდნენ ფონს გასვლას.

აი, გუნთაძის მიერ ცოტა არ იყოს საეჭვოდ დანიშნული პენალტის შემდეგ კი არმიელები საბოლოოდ გატყდნენ და მეტოქეს დანებდნენ. მე-80 წუთზე წიტაიშვილი პირისპირ მეკარესთან დარჩა. კარიდან გამოვარდნილი ჩლაიძე მას ფეხებში ჩაუვარდა და ბურთიც სუფთად აართვა. შემდეგ, როგორც თავად მსაჯმა თქვა, ჩლაიძემ ბურთი კი აართვა წიტაიშვილს, მაგრამ კობა მის ფეხს წამოედოო. ასე იყო, თუ ისე, პენალტი თავად დაზარალებულმა გაიტანა. მეოთხედ სტუდენტებმა მატჩის მიწურულს იხეირეს. დემორალიზირებულმა არმიელებმა კუთხურის გათამაშებისას კარის წინ მყოფ ებრალიძეს გოლის გატანისას ხელიც არ შეუშალეს.

„არსენალმა" მართალია დიდი ანგარიშით წააგო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უბრძოლველად დანებდნენ. იბრძოდნენ, ხისტადაც ბურთაობდნენ, მაგრამ...

სწორედ ეს მაგრამ ალბათ თავად არბიტრია, რომელმაც, როგორც უკვე გითხარით, აშკარად სუსტად იმსაჯა.



ბაჩუკი ქიღურაძის ფოტო

კაკუბავას დარტყმულ ბურთს ჩლაიძემ ვერაფერი მოუხერხა

# დასათვლელი რომ გვქონდეს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მარცხი ალბანელ თანატოლებთან მოულოდნელიც იყო და მტკივნეულიც. ამ წარუმატებლობას თავისი ობიექტური თუ სუბიექტური (იქნებ გაუმართლებელი) მიზეზები ჰქონდა და შედეგად დიდი იმედგაცრუებაც მოჰყვა. ევროპისკენ სარკმელამოჭრილ ქართველებს იმედად მხოლოდ ნაკრებები დაგვრჩენია, მით უფრო, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ერთ-ორ წელიწადში ქვეყნის უპირველესი გუნდის ღირსების დაცვა მოუწევთ და ამ ეტაპზე მათი თითოეული წაფორხილება ჩვენთვის მტკივნეულად აღსაქმელია.

ნებისმიერი მარცხი თავისთავად ღრმა ანალიზს და მოქმედებას მოითხოვს. ალბანელებთან წაფორხილების (უფრო სწორად ჩავარდნის) მიზეზებზე ბევრი ვარაუდი და მოსაზრება გამოითქვა, კრიტიკა ფეხბურთელებსაც არ დაჰკლებიათ, ძირითად მიზეზად კი მწვრთნელთა (უფრო სწორად კონსულტანტ-მწვრთნელთა) შეუთანხმებული მოქმედება და შეცდომები იქნა მიჩნეული.

რა თქმა უნდა, თავისი წილი პასუხისმგებლობა ჩვენი ფეხბურთის ფედერაციაზეც მოდის — გუნდში ხომ ყველას თავის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, მთავარმა მწვრთნელმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, კონსულტანტმა — თავისი. ალბანელებთან მატჩის წინ კი ნაკრებში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა სუფევდა და ამ ყველაფერმა გარკვეულწილად არაჯანსაღი სიტუაციაც შექმნა. საბოლოო ჯამში კი არასასურველი შედეგი მივიღეთ.

თავისთავად ცუდი კარგით უნდა შეიცვალოს, გამოსწორდეს. აგერ, ბატონო, ჩვენს ახალგაზრდულს შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩები ელით. ძალაუნებურად ისმის კითხვა — რა შეიცვალა პირველ შეხვედრაში მარცხის შემდეგ? თითქმის არაფერი (თითქოს გამოსასწორებელი არც არაფერი ყოფილიყო), გიგლა იმნაძე ისევ მთავარი მწვრთნელია (უფრო სწორად ფუნქციადაკარგული მთავარი მწვრთნელი), რობერტო ლანდი — კონსულტანტი (მთავარი მწვრთნელის სტატუსით).

ნაკრებში შექმნილ სიტუაციაზე კი ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, ბიჭები ძველებურად იმედიანად არიან განწყობილი (ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე გვგონია), გიგლა იმნაძე კი შეფიქრიანებული ჩანდა, რა უნდა გითხრათ, ბოლომდე ვიბრძოლებთო. დღეს კონსულტანტი რობერტო ლანდიც ჩამოგვივა და ლატვიაში გუნდთან ერთად გაფრინდება. ჩვენებს რამდენიმე მოთამაშე ტრავმირებული ჰყავთ. ამის გამო სათუოა ჭანკოტაძის თამაში. ლატვია-საბერძნეთში დიდი შანსია, ახალგაზრდათა რიგებში ალექსანდრე იაშვილმა ითამაშოს. ეს კი ლანდი-იმნაძის გუნდისთვის ერთობ დიდი ძალაა.

ძნელი სათქმელია გასვლით მატჩებში ჩვენი ახალგაზრდები რას მიაღწევენ, საბოლოო შედეგს კი ამთავითვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი, სხვანაირად სხვები დაგვჯაბნიან და ბოლოსთვის ბევრიც არაფერი გვექნება დასათვლელი.

**პაატა ძგანტალიანი**

# მალაღურაძე გაპარსეს

არ ვიცით, რომელმა მოლაღურმა დასჭიკჭიკა თავს ვაკეში „ლოკომოტივი 2"-„იბერია" (ქარელის) მატჩზე სამსაჯოდ წასულ მერაბ მალაღურაძეს, მაგრამ სახეირო რომ არაფერი დამართია თბილისელ მსაჯს, ფაქტია...

მივიდა სტადიონზე კაცი პატიოსნად, გაიხადა, წესისამებრ სამსაჯო უნიფორმაში გამოეწყო, სასტვენი მოიმარჯვა და მინდორზე შეაბიჯა, რათა მეათე ეროვნულის II ჯგუფის შეხვედრას გაძღოლოდა. ყოველივე ამაში უჩვეულო არაფერია, ჩვეულებრივ, ყველა მსაჯი ასე იქცევა ხოლმე, არც ეს მატჩი გამორჩეულა ზედმეტი აურზაურით...

აურზაური და აჟიოტაჟი უფრო თამაშის მერე ელოდათ ვაკეში მყოფთ და განსაკუთრებით მორიგი ქართული საფეხბურთო კურიოზის გმირ მალაღურაძეს. საქმე ისაა, რომ მერაბ მალაღურაძე... ერთიანად „გაპარსეს".

აქაოდა ჩვენ უფრო დაგვჭირდებაო, ქურდებმა ბოლოდროინდელ „ნამდვილქართულ გატაცებას" — მობილურ ტელეფონს მსაჯის ტანთ და ფეხსაცმელიც გააყოლეს ხელს და მალაღურაძე დატოვეს იმით, რითაც მოედნიდან გამოვიდა.

ჩვენთვის უცნობია ნაქურდალის ღირებულება, არც ის ვიცით, მალაღურაძის გულში რა ცეცხლი ანთია, მაგრამ ვაკეში მომხდარი ფაქტი უფრო შემთხვევათა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელზეც საქართველოში ასე ვამბობთ ხოლმე — სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო. სიცილ-ტირილს რაც შეეხება, ჯერჯერობით მხოლოდ ქურდები იცინიან (აბა, ჩვენი ჩემპიონატის გადამკიდეთ რა გვეცინება, ან ცრემლს რა მოგვაშორებს თვალთაგან), მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ სამსაჯო ოთახისა და გასახდელების დაცვა მაინც უნდა შევიძლოთ (აბა, საფეხბურთო კარს ვერ იცავენ ჩვენი ფეხბურთელები და...)

იქამდე კი, სანამ ვინმე რამეს გაახერხებდეს „სეზონის დანაშაულის" შესახებ, მერაბ მალაღურაძის ახლობლებს ვურჩევთ: ჯერჯერობით თავი შეიკავონ მასთან მობილური კავშირისგან.

# 6 ტური — მეორე ჯგუფი

## დასავლეთი, „ა" ქვეჯგუფი

30 სექტემბერი

### საირმე 0:1 ოკეანე
0:1 გოგავა (64)
**გაფრთხილება:** გოგავა (ოკეანე)
**მსაჯი:** ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

### სამგურალი 2 4:0 იბერია 2
1:0 გოლეთიანი (30), 2:0, 3:0 გაბელაია (62, 68), 4:0 მ. სვანიძე (80)
**გაფრთხილება:** რ. ცომაია (იბერია 2)
**მსაჯი:** ა. სამხარაძე (სოხუმი)

### რიონი 4:2 რაჭა
1:0 ნარუაშვილი (22), 1:1 ჩიტილაძე (28), 1:2 კიკვაძე (34), 2:2, 3:2 პაპუაშვილი (74, 83), 4:2 უცნობია
**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი)

### ჩიხურა 1:5 სულორი
0:1, 0:2, 0:3 ბუხაიძე (5, 10, 31), 0:4 კორძაძე (40), 0:5 ნიკოლეიშვილი (80), 1:5 კერესელიძე (88)
**გაფრთხილება:** სისვაძე
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

### მაღაროელი 4:1 ტორპედო 2
1:0 მენაბდიშვილი (4), 2:0 ლოლაძე (20), 2:1 ქიმაძე (38), 3:1 ხვედელიძე (65), 4:1 სევასტოპულო (88)
**მსაჯი:** ა. ორდენიძე (ონი)

### მარგვეთი 3:2 გაგრა
0:1 მანაგაძე (5), 1:1 ქურციკიძე (55), 2:1 მუმლაძე (56), 2:2 მანაგაძე (86), 3:2 გაბრიჭიძე (90)
**გაფრთხილება:** ფანცხავა, ლონლაძე (მარგვეთი), ჯოლოხავა (გაგრა)
**მსაჯი:** გ. ასკაროღლი (ქარელი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 6 | 6 | 0 | 0 | 18:4 | 18 |
| გაგრა | 6 | 5 | 0 | 1 | 16:6 | 15 |
| მარგვეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 16:4 | 13 |
| ოკეანე | 6 | 4 | 0 | 2 | 5:5 | 12 |
| მეშახტე | 5 | 3 | 0 | 1 | 10:6 | 9 |
| სამგურალი 2 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 7 |
| ტორპედო 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| საირმე | 6 | 2 | 1 | 3 | 3:7 | 7 |
| რიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| რაჭა | 6 | 1 | 0 | 5 | 6:11 | 3 |
| ჩიხურა | 5 | 1 | 0 | 4 | 5:17 | 3 |
| მაღაროელი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:12 | 2 |
| იბერია 2 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:17 | 0 |

*„მაღაროელს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

## დასავლეთი, „ბ" ქვეჯგუფი

30 სექტემბერი

### ფაზისი 3:0 სქური
1:0 ბურკვაძე (17), 2:0 ხურციძე (79), 3:0 მაკალათია (81)
**გაფრთხილება:** ვეკუა, მაკალათია (ფაზისი), დ. ჯოლოხავა (სქური)
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

### მერცხალი 1:0 ენგური
1:0 თორია (57)
**გაფრთხილება:** ჯაბუა, ალმასია (ორივე ენგური)
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### კოლხეთი 2:0 სამეგრელო
1:0 აიანიდი (11), 2:0 ჭიჭინაძე (85)
**მსაჯი:** მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

### ოდიში 2 2:0 კოლხეთი 2
1:0 გოგოხია (57), 2:0 ცაცუა (68)
**გაფრთხილება:** მებონია (ოდიში 2), ბაჩილავა, ბ. გვაზავა (კოლხეთი 2)
**მსაჯი:** ლ. მიქელაძე (სამტრედია)

### კოლეჯი 0:0 შუქურა

### ბახმარო 1:1 ეგრისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| სქური | 6 | 4 | 0 | 2 | 11:8 | 12 |
| ეგრისი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:2 | 10 |
| სამეგრელო | 6 | 3 | 1 | 2 | 11:7 | 10 |
| მერცხალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| ფაზისი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| კოლეჯი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:8 | 7 |
| სალხინო | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | 6 |
| ოდიში 2 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ბახმარო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:17 | 4 |
| კოლხეთი 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:17 | 0 |

## ცენტრი

25 სექტემბერი

### საუ 0:1 დინამო 2
0:1 ხიზანიშვილი (22)
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

29 სექტემბერი

### მესხეთი 5:1 თორი
1:0 წიქარიშვილი (13), 2:0, 3:0 ინასარიძე (37, 47), 3:1 ზარანდია (50), 4:1 სიდამონიძე (65), 5:1 ლეკიშვილი (89)
**მსაჯი:** ა. მეშკოვი (თბილისი)

### ცხუმი 2:0 ვარძია
1:0 კაკაბაძე (62), 2:0 ბოჯგუა (77)
გაფრთხილება: არეშიძე, საჯაია (ცხუმი), თარხნიშვილი, კოხრეიძე, სოლოიანი (ვარძია)
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

30 სექტემბერი

### ჟინერი 1:1 განთიადი
1:0 ა. ქეთელაური (61), 1:1 ფეიქრიშვილი (87)
**გაფრთხილება:** მაისურაძე, ა. ქეთელაური (ჟინერი)
**მსაჯი:** ლ. რაზმაძე (გორი)

### ივერია 3:0 დილა 2
1:0 ბაბულაიძე (65), 2:0 ჯიკაევი (75), 3:0 ხმალაძე (88)
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

### ლოკომოტივი 2 1:0 ქარელი
1:0 მ. ძოძუაშვილი (10)
**გაფრთხილება:** შავშიშვილი, ჩხაიძე, ავალიანი (ლოკომოტივი 2), გრიგალაშვილი (ქარელი)
**გაძევება:** გ. ნოზაძე (44, ქარელი), მორჩილაძე (62, ლოკომოტივი 2)
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

*სკ. იბერია — ცხინვალი გადაიდო.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 6 | 6 | 0 | 0 | 25:3 | 18 |
| ლოკომოტივი 2 | 6 | 5 | 0 | 1 | 16:6 | 15 |
| ივერია | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| განთიადი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:10 | 11 |
| ქარელი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| საუ | 6 | 2 | 2 | 2 | 10:11 | 8 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:7 | 7 |
| ცხუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| თორი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | 6 |
| იბერია | 5 | 2 | 0 | 3 | 9:16 | 6 |
| დილა 2 | 6 | 1 | 1 | 4 | 10:14 | 4 |
| მესხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:15 | 4 |
| ჟინერი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:25 | 4 |
| ვარძია | 6 | 0 | 1 | 5 | 7:22 | 1 |

*„ცხინვალს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

## აღმოსავლეთი

30 სექტემბერი

### არსენალი 2 1:1 ყვარელი
1:0 იაკობიძე (2), 1:1 სეფაშვილი (88)
**გაფრთხილება:** თ. გოგიჩაიშვილი, ბერიანიძე (არსენალი 2), ოსეფაშვილი, ავაზაშვილი (ყვარელი)
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

### სამგორი 0:1 დინამო 3
0:1 სალარეიშვილი (88)
**მსაჯი:** მ. ელიკაშვილი (თბილისი)

### ჭაბუკიანი 2:0 ხალიბი
1:0 მჭედლიშვილი (58), 2:0 პაქსაშვილი (72)
**გაფრთხილება:** გაფრინდაშვილი, შუკაკიძე, შეყილაძე (ჭაბუკიანი), ს. სახვაძე, მუსერიძე (ხალიბი)
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### სართიჭალა 2:2 ღარწყალი
1:0 ცერცვაძე (7), 1:1 შალვაშვილი (40), 2:1 გოგოჭური (62), 2:2 შაიშმელაშვილი (70)
**გაფრთხილება:** ხუცურაული, ცერცვაძე, (სართიჭალა), ცისკარაული, კობიაშვილი (ღარწყალი)
**მსაჯი:** ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

### მრეტები 5:3 ალაზანი
0:1 სოსებაშვილი (30), 1:1 მემანიშვილი (44), 2:1, 3:1 ჩალაძე (55, 70), 4:1 ამაშუკელი (75), 4:2 ბანაშვილი (76), 5:2 ამაშუკელი (80), 5:3 იაგანაშვილი (85)
**მსაჯი:** დ. თოდუა (თბილისი)

1 ოქტომბერი

### კახეთი 3:2 ალგეთი
1:0 ნ. დავითაშვილი (4), 2:0 ჯუგაშვილი (35), 2:1 მარქარაშვილი (39), 3:1 ჭერიტიძე (70), 3:2 მარქარაშვილი (75)
**გაფრთხილება:** ბედოიძე (კახეთი), მარქარაშვილი, შუბითიძე, იუსებოვი (ალგეთი)
**მსაჯი:** შ. ბერიძე (ასპინძა)

### აკადემია 2:0 უნივერსიტეტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 14 |
| ღარწყალი | 5 | 4 | 1 | 0 | 14:5 | 13 |
| აკადემია | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| დინამო 3 | 6 | 4 | 0 | 2 | 7:6 | 12 |
| კახეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| ჭაბუკიანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ხალიბი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| ალგეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:9 | 9 |
| უნივერსიტეტი | | | | | | |
| იბერია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| არსენალი 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:5 | 8 |
| ზოოვეტი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:9 | 6 |
| მრეტები | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 |
| ალაზანი | 6 | 1 | 0 | 5 | 7:18 | 3 |
| სამგორი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |
| სართიჭალა | 6 | 0 | 1 | 5 | 6:19 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის

## სვეტი

## შენ ყარაჩოღელი გიჟუა გაგიგონია?

ყველაზე უცნაური რაც ჩვენს ფეხბურთს სჭირს, მედიდურობაა. „დინამომ" რომ „ტილბურგთან" წააგო, სამი დღეა გასული და ამ დღეში, ბარე შვიდი ფეხბურთის მოყვარე კაცი შემხვდა და მითხრა, აგვისტოში რომ დაწერე „დინამომ" გამოიღვიძა, აჩქარდი, ბევრი მოგივიდაო. როცა რაიმე გაგეხარდება, ბევრიც მოგივა ხოლმე. მიუხედავად ამისა, არ ვნანობ, „დინამომ" „ატლეტიკს" მოუგო და რამდენიმე თბილისელმა ფეხბურთელმა მართლაც საუცხოოდ ითამაშა წყვილის ორივე შეხვედრაში.

ახლა „დინამომ" „ტილბურგთან" წააგო და საზოგადოება ხუმრობს კიდეც, კიდევ კარგი, „ვილემ II"-ს არ ვეთამაშეთ, თორემ ის რაღას გვიზამდაო. თამაშის შემდეგ ახალგაზრდობა აბობოქრდა. ხალხი რუსთაველისკენაც კი წავიდა გუნდგუნდად. იქაც იყო გინება და გულისტკივილი — მოგვეცით გუნდი, რომლის ქომაგობასაც აზრი აქვსო.

და საიდან უნდა მისცენ ეს გუნდი?

ჰოლანდიელებთან მატჩის შემდგომ ინტერვიუებში ჩვენმა ფეხბურთელებმა ერთხმად აღიარეს, რომ „ტილბურგი" ძლიერი გუნდია და მასთან ვერაფერს გახდნენ. ჩემთვის ეს დასაჯერებელი ამბავია. დაუჯერებელი ის არის, რომ „დინამოს" შეეძლო „ტილბურგი" გამოეგდო. მურთაზ ხურცილავამ რამდენჯერმე თქვა, ამ კონტინგენტით შორს ვერ წავალთო. ფეხბურთში მართლაც გაჭირდება შორს წასვლა, თუმცა დღევანდელ „დინამოშიც" არის სამი-ოთხი ისეთი მოთამაშე, მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად რომ ღირსეულად გასწევდა ევროპულ ჭაპანს.

სამაგიეროდ, რაშიც შორს წასულა ქართული ფეხბურთი, ეს არის მედიდურობა, ყარაჩოხლური სიტყვა-პასუხი და მტკიცე რწმენა საკუთარი ერთადერთობისა და განუმეორებლობისა.

აბა, როგორ დამავიწყდება შემთხვევითი საუბარი ერთ ქართველ ვარსკვლავთან, ერთ დიდ ქალაქში, არცთუ პატარა აეროპორტში. გაზეთში მისი ფოტო იყო დაბეჭდილი. ღირსეული, ბრძოლის ამსახველი. არ მოეწონა, ნახე რას გვავარო. თამაშია, ფოტოატელიე ხომ არაა? ძალიან ღირსეული ფოტო იყო. მერე ვკითხე, ერთ ჭეშმარიტ ვარსკვლავზე როგორი ფეხბურთელია-მეთქი და ძალიან არ მოეწონა ეს ამბავი. არი რაო. „არი" კი არა, გადახნა ყველაფერი და დღესაც ვერავის დაუკავებია.

კიდევ, ერთმანეთს ადარებენ უცხოელებს. სავსებით სერიოზულად. უპირატესობა, რა თქმა უნდა, ჩვენს მხარეზეა. ალბათ, ერთადერთი მიზეზის გამო — ისინი „გაგებაში" მოიკოჭლებენ. ჩვენ კი გაგებული ხალხი ვართ. ოღონდ არა ფეხბურთში, არამედ ცხოვრებაში. ამ სნეულებით, ჩვეულებრივ, ის მოთამაშენი სცოდავენ, ვისაც ხეირიანი არაფერი გაუკეთებია ქართული ფეხბურთისთვის. არიან სხვანიც. ჩუმი და ადამიანური ფეხბურთელები, რომლებიც გარშემო მყოფთ ხალხად თვლიან და არა ჰგონიათ, რომ მარტო თვითონ იციან ფეხბურთის რაობა. მაგრამ ესენი ამინდს ვერ ქმნიან.

კნიაზ, შენ ყარაჩოღელი გიჟუა გაგიგონია?

ბევრს არავის ახსოვს, რომ გიჟუა ხარაზია. დასამახსოვრებელი ის არის, რომ მან თავის სახარაზოს გარეთ მკლავის გაშლა და პაჟარნული სიტყვა-პასუხი იცის. მთავარიც ესაა და არა მისი შეკერილი წაპუნები.

„გინდა ახლა ეგ ხუხულა ისე მიგინგრ-მოგინგრიო..."

წაპუნები, წაპუნები შეკერე გიჟუავ ისე კი, ჩემის მოკლე ჭკუით, ან სპორტსმენი უნდა იყო, ან ყარაჩოხელი. მაშინ სიტყვა-პასუხიც სხვა იქნება და განცდებიც.

ფეხბურთი

# (გა)დავაქციოთ ქუთაისი?...

### მეტი რაღა გინდათ?

ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 24-25 წელია.

ქუთაისის „ტორპედოში" მოთამაშეთა 80 პროცენტი ქუთაისის საფეხბურთო სკოლების აღზრდილები არიან.

გუნდის შინაურ მატჩებზე, განსხვავებით სხვა ქალაქებისგან, ყველაზე მეტი გულშემატკივარი ესწრება. ფანები საყვარელ კლუბს სტუმრადაც დაჰყვებიან და საოცარ ქომაგობას უწევენ.

საიუბილეო ჩემპიონატში „ტორპედომ" ბრწყინვალე სტარტი აიღო.

„ტორპედო" გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია და მხოლოდ 2 ქულით მეტი აქვს დაკარგული, ვიდრე საქართველოს მარად ჩემპიონს.

მეტი რაღა ჯანდაბა უნდათ? მეტი რაღა ქნან ამ ბიჭებმაო? — შემოგვჩივლა „არსენალი" — „ტორპედოს" თამაშის შემდგომ ქუთაისელმა ფანმა. თანაც დაამატა — თუ ძმა ხარ, დაწერეთ რამე სანამ გვიან არაა, დაწერეთ და დროზე მიხედონ საქმეს, თორემ ამ გუნდის დაშლას არავის ვაპატიებთო! ირგვლივ მყოფმა ქომაგებმა ერთხმად აიტაცეს ეს მუქარა და იგივე თხოვნა გაგვიმეორეს.

საქმეში გაუთვითცნობიერებელ მკითხველს რომ არ გაუკვირდეს, გეტყვით: ბოლო ორი კვირაა, „ტორპედო" არასრული შემადგენლობით ვარჯიშობს. ფეხბურთელებს კარგა ხანია, არ მიუღიათ ხელფასები და პრემიები. უფულობისა და კვების პრობლემების გამო თბილისელები ქუთაისში სავარჯიშოდ ვერ ჩადიან.

გუნდი არმიელებთან სათამაშოდ არ ჩამოდიოდა...

ქუთაისის „ტორპედოს" დაშლა ემუქრება...

### ჩასაფრებულნი

დიახაც, ჩასაფრებულნი, სხვა რა შეიძლება ეწოდოს ქუთაისის მერიისა და რეგიონის გუბერნატორის პოზიციას „ტორპედოს" მიმართ.

„ბათუმთან" შინ დამთავრებულ ფრეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თეიმურაზ შაშიაშვილმა, არიქა ფანებმა ტელეფონის ზარებით ამიკლესო და სასწრაფოდ შეკრიბა კლუბის მწვრთნელ-დირექტორატი. მათ ისეთი რისხვა დაატეხა თავს, კაცი იფიქრებდა, ამ ადამიანმა დღიდან ქალაქის ხელმძღვანელად მოსვლისა, დღე და ღამე გაასწორა იმისთვის, რომ ქუთაისს ასეთი ძლიერი საფეხბურთო კლუბი ჰყოლოდაო. ბატონმა თემურმა ყოველივე გულშემატკივართა სახელითა და ქალაქის ღირსების მოტივით მოიმოქმედა...

არადა, სწორედ იმ გულშემატკივრებმა იციან ყველაზე მეტად, თუ ვინ რა გააკეთა და ვინ რას აკეთებს „ტორპედოსთვის".

თუ საქმე ქალაქის ღირსებაზე მიდგება, ესეც კარგად უწყიან ქუთათურებმა. იციან და ყოველთვის ეხსომებათ, რომ მათი გუნდის ევროსარბიელზე პირველად გასვლა სულ სხვა ხალხის დამსახურება იყო. იმ საქმეში მერიას ყველაზე ცოტა ამაგი მიუძღვის. მერიას, რომელსაც კლუბის აქციათა 40 პროცენტი ეკუთვნის...

გუბერნატორის მიერ ფანთა სახელით რისხვის გამოხატვას პოლიტიკურ ლექსიკონში მხოლოდ ერთი შესატყვისი აქვს. ეს არის არც მეტი, არც ნაკლები — პოპულიზმი. პოპულისტური იყო რამდენიმე წლის წინათ მაშინდელი ქალაქის მერის განცხადება, როცა „ტორპედომ" ჩემპიონატში კარგი სტარტი აიღო — კუპონის „ტორპედო" სჯობნისო დოლარის „დინამოს"...

საფეხბურთო გაგებით, შაშიაშვილის მოქმედება არის ჩასაფრებული კაცის მდგომარეობიდან სასურველ ფაქტზე დროულად რეაგირება და სიტუაციის გამოყენება.

მოდით, ბოლომდე გავერკვეთ...

უკვე აღარავინ მალავს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, კლუბს ჩამოაცილოს ჯიქია და მისი კომპანია. ზუსტად ეს აზრი გამოთქვეს ქუთაისელმა გულშემატკივრებმა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, და არა ერთადერთი, არის „ტორპედოს" პრეზიდენტის გაკოტრების ზღვარზე ყოფნა.

კლუბის ერთ-ერთი მესაკუთრე, ქუთაისის მერია, იმის ნაცვლად, რომ თავის პარტნიორს დაეხმაროს და მხარში ამოუდგეს, მომენტს ელის, რათა იგი გზიდან ჩამოიცილოს.

ერთი ასეთი მომენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო „ტორპედო" — „ბათუმის" მატჩი, რომელსაც ჯერჯერობით გუნდის მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე შეეწირა. ახლა მეორე ხელსაყრელ მომენტს უცდიან ჯიქიას წინააღმდეგ.

ამდაგვარი წინაპირობა ნელ-ნელა მწიფდება. ამის თქმის საფუძველს ის სამარცხვინო ფაქტი გვაძლევს, რომ „ტორპედო 2"-მა ამას წინათ შინაურ შეხვედრაში მსაჯებს ფული ვერ გადაუხადა და 0:3 წაგება ჩაეთვალა.

როგორ ფიქრობთ, ნუთუ არ აღმოჩნდა ქუთაისში ისეთი კაცი, ვინც რუსეთში წასულ ჯიქიას შეენაცვლებოდა და მსაჯებს რამდენიმე ათეულ ლარს გადაუხდიდა? თუ არ იყო ეს ქალაქის სირცხვილი?



ხალხი და გუბერნატორი. დიალოგი კვლავაც მწვავე იქნება

კი მართალია ხელშეკრულება არ ავალდებულებს მერიას, ფინანსურად დაეხმაროს კლუბს, მაგრამ იურიდიულ ვალდებულებასთან ერთად ხომ არსებობს მორალური მხარეც.

ამის შემდგომ ალბათ „არსენალთან" მატჩს ელოდნენ. „ტორპედო" ხომ თბილისში ვერ და არ მოდიოდა. თანაც უფულობას რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი დაემატა.

თუმცა ჯემალ ხერხაძისა და ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდმა, მიუხედავად გაჭირვებისა, 7 მცველითა და 3 თავდამსხმელით (ყველა ნახევარმცველი ტრავმირებული იყო), უპრობლემოდ მოიგო და სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა.

ამ წერილის დაწერა მეორე დღესვე გვსურდა, მაგრამ არ ავჩქარდით, გვეგონა, საქმე გამოსწორდებოდა, მაგრამ ჩვენი ეჭვები იმ დღესვე გაღრმავდა, როცა ერთ-ერთმა ტორპედოელმა გვითხრა, ვიღაც ახალ, ძლიერ სპონსორს გვპირდებიან, მაგრამ სახელს არ გვიმხელენ, თანაც თვენახევარი კიდევ უნდა ელოდოთ, გვეუბნებიანო.

გუშინწინ ბაზაზე 8 ტორპედოელმა ივარჯიშა. თბილისელებს თამაშის წინა დღეს ელიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ფარმ-კლუბიდან მოუწევთ ბავშვების აყვანა და „გურიასთან" თამაში.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

### უჭირს ქუთაისს?

მარტო ქუთაისს კი არა, მთელ საქართველოს უჭირს დღეს. ამას წინათ ქალაქის ხელმძღვანელობას მშიერი პენსიონერებისთვის განუცხადებია — კუთვნილი ფულის მაგივრად პურის ფქვილს, ლობიოს და ბრინჯს დაგირიგებთო. ენამოსწრებულ ქუთათურებს უპასუხიათ, ბარემ გაგვასვენეთ და ეგ იქნებაო.

ამას წინათ ქუთაისის იუბილესთან დაკავშირებით დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა. ლოზუნგმა — „გადავაქციოთ ქუთაისი ევროპული ყაიდის ეროვნულ ქალაქად" — მთელი ქალაქის აქტივი მოიცვა. მთელი მსოფლიოდან ეწვია სტუმრები სატახტო ქალაქს. პარიზიდან დიდი დელეგაცია ჩამოვიდა, შემდეგ ქუთათურები ეწვივნენ საფრანგეთს და ასე შემდეგ. ვინ დათვლის, რამდენი ლარით შემსუბუქდა მაშინ ქუთაისის ბიუჯეტი.

ზეიმის დღეს დავით აღმაშენებლის მართლაც მშვენიერი ძეგლის გახსნაც მოხდა, მაგრამ... იმავე დღეს „გივი კილაძეზე" „ტორპედო" სამტრედიის ძლიერ გუნდს მასპინძლობდა. მატჩი 2:2 დამთავრდა. სტუმართაგან ორივე ბურთი დათო ჯანაშიამ გაიტანა ახლა აღარ მოვყვები, რა მიზეზების გამო თამაშობდნენ დათო და სხვანი სამტრედიის ბრწყინვალე კლუბში, ეს ისედაც ნათელია. მხოლოდ ერთს გავიხსენებ, ქუთათური გულშემატკივრების წარმოთქმულს მატჩის შემდეგ — საზეიმო ჩვენ კი არა, სამტრედიელებს აქვთ საქმე, ნახეთ რა გუნდი შეკრიბესო.

ის ხალხი დღესაც „ტორპედოს" ქომაგობს. მათ მხოლოდ ერთი ლოზუნგი ამოძრავებთ და სწამთ — „საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა!"

ის ხალხი საფეხბურთო ზეიმს ელოდა ქუთაისში და კარგად აკვირდებოდა, ვინ რას აკეთებდა ამისათვის.

### დამცირებულნი

შარშანდელ სეზონში „ტორპედო" — „მერანის" მატჩის შესვენებაზე ფანებში დიდი ფუსფუსი ისმოდა — ბიჭებო, ჩემს მეზობელს ავტობუსი ჰყავს და ასე მითხრა, 150 ლარად წაგიყვანთო. ჩქარა 50 კაცის სია ჩამოწერეთ, მხოლოდ სამსამი ლარის დადება მოგვიწევსო.

რუსთავში მატჩის პირველი ნახევარი იწურებოდა, ქუთაისელი ფანები კი არ ჩანდნენ. ვიფიქრე, ბიჭებმა ალბათ ფული ვერ შეაგროვეს-მეთქი.

დაგვიანებულები შემოცვივდნენ მაშინ ტრიბუნებზე და ერთი ყიჟინა ატეხეს. ერთ-ერთი მათგანი აქტიურობდა — რამ შეგაშინათ, ბიჭებო? ზუგდიდი რაა, რუსეთში დავყვებოდი გუნდს. ზუგდიდშიც აუცილებლად უნდა წავიდეთო.

მატჩის შემდეგ მგზავრობით გათანგულნი ისევ უკან გაბრუნდნენ.

თბილისში წამოსვლისას მეგობარმა მითხრა, წელსაც რომ ვერ გავიდეს „ტორპედო" ევროსარბიელზე, რა გაუძლებს ამ ბიჭების საცოდაობასო...

„არსენალთან" შეხვედრის შემდეგ ქუთაისელ გულშემატკივრებს რომ ვესაუბრებოდით, ერთი აზრი ამეკვიატა.

რა დააშავა ასეთი ამ ხალხმა, სანატრელ გუნდს ასე უსირცხვილოდ რომ უშლიან?

რატომ ამცირებენ ასე სასტიკად?

### პრეზიდენტი

გავა დრო და ისტორია თავის სიტყვას იტყვის.

„ტორპედოს" ისტორია ბესო ჯიქიას სახელს გვერდს ვერ აუვლის.

სწორედ ჯიქიას სახელს უკავშირდება კლუბის პირველი ევროპული ნაბიჯი და გულშემატკივარი დიდი პატივისცემით მოიხსენიებს მის პიროვნებას, რადგან სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს შეიქმნა ქუთაისში ის სანატრელი გუნდი, რომლის მსგავსიც ბოლო 15 წელია, არ ჰყოლიათ ქუთათურებს.

შარშანდელი შემადგენლობიდან „ტორპედომ", განსხვავებით სხვა კლუბებისგან, მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, შალვა ხუჯაძე მოისაკლისა. სამაგიეროდ, მშვენიერი შევსება მიიღო პაატა ჯინჭარაძისა და გიორგი ყიფიანის სახით.

თქვენ წარმოიდგინეთ, არც დათო ჯანაშია წასულა „ლომელში"...

დღეს კი ჯანოს ბუცების პრობლემა აწუხებს.

დღეს „ტორპედოს" პრეზიდენტი ფინანსურ კრიზისშია. იგი თანახმაა, წილი გაუყოს ძლიერ პარტნიორს და დღე და ღამე ასეთი კაცის ძებნაშია.

როგორც გუშინ შევიტყვეთ, ჯიქია დღეს ბრუნდება ქუთაისში უკრაინიდან, სადაც ხუჯაძის სატრანსფერო თანხის ასაღებად იმყოფებოდა. მგონი ყველაფერი დადებითად გადაუწყვეტია.

### ეპილოგი

ამ წერილში ზუსტად გადმოგეცით ქუთათური ფანების ნათქვამი.

მათივე დაჟინებული თხოვნით ვაქვეყნებთ მას და ნურავინ იფიქრებს, კონფრონტაციის გაღრმავება გვსურდეს „ტორპედოს" აქციონერთა შორის, რომლებთანაც სასწრაფოდ შეხვედრას ითხოვენ ქუთაისელი გულშემატკივრები.

ღმერთმა ინებოს, ყველაფერი გაირკვეს და, თუ საჭიროა, კომპრომისებიც გამოინახოს.

ქუთაისის „ტორპედოს" დაშლა ქართული ფეხბურთის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

**ხვიჩა სანიკიძე**
**ბადრი კეთილაძე (ფოტო)**

## სატირბორჯი — კითხვა-პასუხი

**— რამდენიმე შეკითხვა მაქვს.**

— „ინტერზე" არ მკითხო და რაც გინდა ის იყოს.

**— კარგი. რატომ არის, რომ ხალხი ცხრა კაცითაც იგებს თამაშს, ჩვენ კი მთელი სტადიონი რომ ჩავიდეთ მოედანზე, ვაგებთ?**

— იმიტომ, რომ ჩვენ სხვანაირები ვართ.

**— ეგ რას ნიშნავს?**

— ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ რუპერტ მერდოკს უნდა შევეკრათ.

**— ვინ არის რუპერტ მერდოკი?**

— მაგრამ რუპერტ მერდოკი ჩვენ არ შეგვეკვრება.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ სხვანაირები კი ვართ, მაგრამ სუპერლიგაში არავინ დაგვიშვებს.

**— კვლავდაკვლავ რატომ?**

— იმიტომ, რომ ძაან სხვანაირები ვართ. ძაან სხვანაირების კი არ ესმით.

**— რაშია ეს სხვანაირობა?**

— ძალიან სხვანაირად ვთამაშობთ.

**— და რუპერტ მერდოკი ვინ არის?**

— კაცია, სუპერლიგას აარსებს. მთელს მსოფლიოში ეძებს ხალხს, ვისაც შეეკვრება.

**— და ჩვენ რატომ არ შეგვეკვრება?**

— აბა, რა გვაქვს შესაკრავი? ჩვენი „შნუროკი" არავის სჭირდება.

**— რატომ, ჩვენ ხომ ხიდი ვართ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის?**

— მაგ ხიდი ფეხბურთის თავზე გადადის.

**— როგორ?**

— როგორ და მაგ ხიდზე ფეხბურთელები არ დადიან.

**— მაშ, აბა ვინ შეგვეკვრება?**

— ალბანეთი შეგვეკვრებოდა, შესაკრავი რომ ჰქონდეს.

**— ესეც ჩვენსავითაა?**

— არა. ჩვენ ვართ მაგათსავით.

**— ეს სიცრუეა! ჩვენ „აიაქსში" ვთამაშობთ, ალბანეთი კი, არა.**

— „აიაქსი" შორსაა. ახლოში კი რა ხდება?

**— სასიკეთო ძვრები.**

— აი, სულელი. თუ ვინმეს არ შეეკარი, ერთადერთი ძვრა მოხდება.

**— რომელი.**

— მიწისძვრა.

**— ეგ ფეხბურთთან რა კავშირშია?**

— პირდაპირ კავშირში. სტადიონი დაინგრევა.

**— რას ერჩი? მშვენიერი სტადიონია. აი, სკამებიც გვაქვს. ნამდვილი ის არის, რა ჰქვია?**

— „კამპ ნოუ".

**— თუ „ნოუ კამპი".**

— ჩვენს ბავშვობაში „ნოუ კამპი" იყო, მაგრამ ახლა „კამპ ნოუ" გამოდგა.

**— რითი ვართ მაგათზე ნაკლები?**

— მისმინე. ბარსელონაში არის გაჩიანის გადასახვევი?

**— არა.**

— ბარსელონაში, გადახურულში რომ დგახარ, გაწვიმს?

**— არა.**

— და ჩვენსა?

**— რა გინდა?**

— ისა, რომ მერდოკი არ შეგვეკვრება. სანამ გადახურულში დგახარ და მაინც გაწვიმს.

**— და გაზა?**

— გაზასგან რა გინდა?

**— გაზა არ შეგვეკვრება? ხომ ბევრი ფული აქვს?**

— გაზა კი შეგვეკვრება, თუ პეროვზე ჩავატარებთ.

**— პეროვზე რატომ?**

— „გინესი" იყიდება. ჩამოვუსხამთ და მეტი რა უნდა?

**— მერე, შევეკრათ, რაღას ვუყურებთ?**

— ეჰ... ეგ ისეთი ჩანს, აქეთ შეგვეკრება. დაგვილევს „გინესებს" და დაიფსება.

**— მაშ, საშველი აღარ ყოფილა.**

— ჩვენ ხომ სხვანაირები ვართ? მოდი პელე მოვიწვიოთ.

**— ეგ რა ხეირს დაგვაყრის?**

— სულ არაფერს მაინც სჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავმოყვარენი

Cup Winners' Cup

## თასების თასის 1/16 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

ბელგრადის „პარტიზანმა“ პენალტით მოათავა საქმე. ორგანიზებულმა და დაუღალავმა იუგოსლავიელებმა 1:0 სძლიეს ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედს“. პირველ შეხვედრაში, ნიუკასლის „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“, პრემიერლიგელთა 2:1 გამარჯვება არათუ გაბათილდა, სტუმრად გატანილი გოლის გამო ბელგრადელთა უპირატესობად იქცა.

საბედისწერო თერთმეტმეტრიანი ინგლისის ნაკრების მოთამაშის დევიდ ბეტის შეცდომის გამო 53-ე წუთზე დაინიშა. ბეტიმ ვლადიმირ ივიჩი წააქცია, ვუკ რასოვიჩმა კი ზუსტად დაარტყა პენალტი.

პოპულარული რუუდ გულიტის ქვეშევრდომებმა გოლის გაშვების მერე, განსაკუთრებით ბოლოსკენ, ცდა არ დააკლეს პარტიზანული მოძრაობის ჩასახშობად, მაგრამ მათ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

გულიტის ქვეშევრდომთა შორის იყო საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი თემურ ქეცბაიაც. საკუთრივ თემურს ცუდად არ უთამაშია, ორ ეპიზოდში კარგადაც ჩაუდრიბლინგა მოწინააღმდეგის დაცვას, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში, საბოლოო პასი არ მოუხერხდა და ნაცვლად იმისა, რომ ბურთი ალან შირერს მიეღო მას მცველი დაეპატრონა.

ამრიგად, 28 ათასი ბელგრადელი გულშემატკივრის გასახარად „პარტიზანმა“ თასების თასის გათამაშების მერვედფინალს მიაღწია, ხოლო ინგლისურ გუნდთაგან კიდევ ერთმა დაამტკიცა, რომ პრემიერლიგის დიდი რეკლამისა და იქ მოტრიალე უზარმაზარი ფულის მიუხედავად, ლამანშს გადმოღმა გამარჯვება მათთვის ფრიად საძნელო საქმეა.

ერთიც, „პარტიზანს“ რომ წაეგო თავის გამართლებას იოლად შეძლებდა, ვინაიდან მეტოქე „ნიუკასლი“ იყო, გულიტიანი, შირერიანი და სახელიანი გუნდი, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ბელგრადელებს თავის გამართლება არად არგიათ, რადგან თავმოყვარეობა აქვთ.

ზაზა ჯანაშიას მოსკოვის „ლოკომოტივმა“, როგორც მოსალოდნელი იყო, კიევის ცსკას მოუგო. მოსკოველთაგან ორი გოლი უწვერულმა დმიტრი ბულიკინმა გაიტანა, მესამე — ჯანაშიამ. კიეველებმა სამის პასუხად ერთი შეაგდეს, მაგრამ ორ შეხვედრაში ერთის გატანა, როდესაც მოწინააღმდეგე ხუთჯერ აღწევს მიზანს (პირველ მატჩში „ლოკომოტივმა“ 2:0 მოიგო), არაფერს ნიშნავს.

ერთადერთი ინტრიგა ის იყო, რომ კიეველმა სერგეი ბეჟენარმა მოსკოვურ თამაშში ანგარიში გახსნა, მაგრამ ამ ინტრიგას ზემოხსენებულმა ბულიკინმა ექვს წუთში მოუღო ბოლო.

ზოგადად, თასთა თასის მეთექვსმეტედფინალურ ეტაპს ფავორიტთა გაჭირვების ეტაპი შეიძლება ვუწოდოთ. „ნიუკასლის“ ამბავი ვთქვით, მაგრამ ინგლისელებს რა უჭირთ, ბოლოსდაბოლოს „პარტიზანთან“ წააგეს, საოცარი „პარი სენ ჟერმენის“ ჰაიფას „მაკაბისთან“ დამარცხება იყო.

გეხსომებათ, ორი კვირის წინ, პარიზში, „პარკ დე პრენსზე“, ებრაელებმა 1:1 ითამაშეს ამ თასის 1996 წლის მფლობელთან, რაც სენსაციად მიიჩნიეს, მაგრამ თურმე მთავარი სენსაცია წინ იყო.

საპასუხო შეხვედრაში ალონ მიზრაჰის წამატებულ წუთებში გატანილმა გოლმა გამარჯვება „მაკაბის“ მოუტანა. ეს ბოლო წამის გოლი რომ არა გამარჯვება, ოლონდ სტუმრად გატანილი გოლების წყალობით, ფრანგთა გუნდს დარჩებოდა.

სტუმრები პირველ ტაიმში უფრო ძლიერები ჩანდნენ, როდესაც ნიკოლა უედეკმა და იგორ იანოვსკიმ ჰაიფელ გოლკიპერს ნირ დავიდოვიჩს ოსტატობა შეუმოწმეს, მათი მეკარე ბერნარ ლამა კი ფაქტობრივად უსაქმოდ იდგა. ვერც მასპინძელთა მთავარი იმედი, ბოსნიელი გამთამაშებელი იბრაჰიმ დურო ჯაბნიდა მეტოქის მცველებს, მაგრამ შესვენების შემდეგ ადორამ კეისიმ ანგარიში გახსნა. მან თავური დაჰკრა ბურთს, რომელიც მიზრაჰის დარტყმის კარის ბადე შეაწუხა.

ფრანგებმა ისევ გაათანაბრეს, მაგრამ სულ ბოლო წუთს...

ებრაელებიც თავმოყვარე ხალხია და იმიტომ.

— არ მადარდებს ვინ იქნება მომავალ ეტაპზე ჩვენი მოწინააღმდეგე. მთავარი ისაა, რომ დიდებულ წარმატებას მივაღწიეთ და ვიცით, რომ ნებისმიერ მეტოქეს დიდ ბრძოლას გავუმართავთ — თქვა ჰაიფას გუნდის ჩეხმა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა.

— ეს იყო გულის მიერ ოსტატობის დამარცხება — ასე შეაფასა პარიზელთა ძლევა „მაკაბისა“ და ისრაელის ნაკრების მცველმა ალონ ჰარაზიმ.

იტალიური „ლაციო“ ფრეების მეტს ვერაფერს ახერხებს, ვერც იგებს და არც აგებს. ასე იყო სერია A-ს პირველ სამ ტურში და ასევე გახლდათ თასების თასის მეთექვსმეტედფინალში. „ლაციომ“ „ლოზანა“ სტუმრად გატანილი მეტი გოლის წყალობით დაძლია, თორემ რომშიც ფრე იყო (1:1) და შვეიცარიაშიც (2:2).

— ჩემს ფეხბურთელებს ბოლო 10 წუთში ცოტა გუჭირდათ. არ იყო გამორიცხული რომ წაგვეგო კიდეც, მაგრამ მაინც ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გასვლას ვიმსახურებდით. ამით მოწინაალმდეგეს შრომას წყალში არ ვუყრი, „ლოზანამ“ აჩვენა, რომ მართლა კარგი გუნდია — თქვა თამაშის შემდეგ იტალიელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა — ჩვენ დღეს ცხრა ფეხბურთელი გვაკლდა დ ვგონებ ამით შეიძლება ხსენებული სირთულეების ახსნა.




REUTERS ბელგრადიდან

პარტიზანი — ნიუკასლი. თემურ ქეცბაია უთანასწორო ბრძოლაში

მერე ძელს მოხვდა და უკან დაბრუნდა.

ერთი ხნის მერე ჯეი ჯეი ოკოჩას კარგი პასით უედეკმა დაბლა დარტყმული გაუტანა დავიდოვიჩს, თუმცა მერე სტუმრებს ახალგაზრდა იოსი ბენაიუნის ნიჭისა და მონდომების წინააღმდეგ მოუხდათ გაფაციცებული ბრძოლა.

ბენაიუნმა მაინც ივარგა. პარიზელთა ნახევრის შუიდან მის მიერ წამოწყებულმა კომბინაციამ ასეთი გაგრძელება ჰპოვა: მარცხნივ ბურთი 18 წლის ინაივ კატანმა მიიღო და დაბალი პასი მიაწოდა მიზრაჰის, რომელმაც ლამას

ამ შეხვედრაში ანგარიში „ლაციოს“ ჩილელმა ფორვარდმა მარსელო სალასმა მე-7 წუთზე გახსნა. მე-10-ზე ლოზანელმა ფილიპ დუგლასმა გაათანაბრა, 26-ზე რომაელთა პორტუგალიელმა ფეხბურთელმა სერჟიო კონსეისაომ საჯარიმო მოედნის კიდიდან ისევ ერიკსონის გუნდი დააწინაურა, თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე კი სტეფან რენმა გაქვითა ხელმეორედ.

„ჩელსი“ სტუმრად იბრძოდა „ჰელსინგბორგთან“. თამაში 0:0 დამთავრდა და ლონდონელებმა შემდეგ ეტაპს ფრანგი მცველის ფრანკ ლებეფის მიერ ორი კვირის წინ, „სტემფორდ ბრიჯზე“ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მიაღწიეს.

„ჰელსინგბორგი“ პირველ ნახევარში ჯობდა სტუმრებს. არილდ სტავრუმის დარტყმული ძელსაც მოხვდა.

— უკმაყოფილო ვარ შედეგით, რადგან უამრავი მომენტი გვქონდა... აქ იმ ეპიზოდს არ ვგულისხმობ ბურთი ძელს რომ მოვარტყით — განაცხადა შვედური გუნდის თავკაცმა აგე ჰარეიდემ.

დახეთ, ჰარეიდეს არ უთქვამს კმაყოფილი ვარ ცნობილ გუნდს ღირსეულად რომ ვეთამაშეთო. წააგო კაცმა და უკმაყოფილო დარჩა. თავმოყვარეა და იმიტომ.

**ბაბუნა ძიდია**

### თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი

საპასუხო მატჩები. 1 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

*პარტიზანი (ხორვატია)* — რუდარი (სლოვენია) 1:0 (1:0)
ჰაკა (ფინეთი) — *პანიონიოსი (საბერძნეთი)* 1:3 (0:2)
მტკ (უნგრეთი) — რიდი (ავსტრია) 0:1 (0:2)
*კოპენჰაგენი (დანია)* — ლევსკი (ბულგარეთი) 4:1 (2:0)
ამიცა (პოლონეთი) — *ჰერენვენი (ჰოლანდია)* 0:1 (1:3)
*მალიორკა (ესპანეთი)* — ჰართსი (შოტლანდია) 1:1 (1:0)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — *ჩელსი (ინგლისი)* 0:0 (0:1)
*გენკი (ბელგია)* — დუისბურგი (გერმანია) 5:0 (1:1)
სპარტაკი (სლოვაკეთი) — *ბეშიქთაში (თურქეთი)* 2:1 (0:3)
*ვალერენგა (ნორვეგია)* — რაპიდი (რუმინეთი) 0:0 (2:2)
იაბლონეცი (ჩეხეთი) — *აპოლონი (კვიპროსი)* 2:1 3:4პ (1:2)
*პარტიზანი (იუგოსლავია)* — ნიუკასლი (ინგლისი) 1:0 (1:2)
ლოზანა (შვეიცარია) — *ლაციო (იტალია)* 2:2 (1:1)
*მაკაბი (ისრაელი)* — პსჟ (საფრანგეთი) 3:2 (1:1)
*ბრაგა (პორტუგალია)* — ლიეპაია (ლატვია) 4:0 (0:0)
*ლოკომოტივი (რუსეთი)* — ცსკა (უკარაინა) 3:1 (2:0)



## თასების თასის მერვედფინალისა და უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა

### თასების თასი. მერვედფინალი

22 ოქტომბერი — 5 ნოემბერი

Cup Winners' Cup

ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია)
ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი)
ჰერენვეენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია)
გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი)
პანიონიოსი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი)
რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი)
ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია)
კოპენჰაგენი (დანია) — ჩელსი (ინგლისი)

### უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

20 ოქტომბერი — 3 ნოემბერი

UEFA CUP

ვისლა (პოლონეთი) — პარმა (იტალია)
ლივერპული (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი)
დინამო (რუსეთი) — სოსიედადი (ესპანეთი)
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლიონი (საფრანგეთი)
მონაკო (საფრანგეთი) — გრაცი (ავსტრია)
შტუტგარტი (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია)
ტილბურგი (ჰოლანდია) — ბეტისი (ესპანეთი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ფიორენტინა (იტალია)
სელტა (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
სელტიკი (შოტლანდია) — ციურიხი (შვეიცარია)
ვერდერი (გერმანია) — მარსელი (საფრანგეთი)
ბოლონია (იტალია) — სლავია (ჩეხეთი)
ვიტესი (ჰოლანდია) — ბორდო (საფრანგეთი)
ლევერკუზენი (გერმანია) — რეინჯერსი (შოტლანდია)
ცსკა (ბულგარეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი)
რომა (იტალია) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)

# რა დროს ეს იყო?

ოთხშაბათის საღამო. მიუნხენი. ოლიმპიური სტადიონი. მარცხენა კარის მისადგომები. ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიუნხენის „ბაიერნთან“ გამარჯვებას ბევრი არაფერი უკლია. ინგლისელები 2:1 იგებენ. თითქოს სამი ქულაც შინ, „ოლდ ტრეფორდზე“ მიაქვთ, მაგრამ ამ დროს, მასპინძელთა მორიგი შეტევისას ახოვანი პეტერ შმაიხელი ბურთის მოსაგერიებლად კარიდან გამორბის და...



პიტერ შმაიხელი

„დეილი ექსპრესი“: „ალბათ, არავინ უწყის, რატომ მოიქცა ასე სულელურად პეტერი. ნუთუ არ შეიძლება, ბოლო წუთში გაორმაგებული ყურადღებით იფიქრო საკუთარი კარის დაცვაზე? ნუთუ არ შეიძლება, გადამწყვეტ მომენტში რაღაც ბრიყვული გადაწყვეტილება არ მიიღო? ხომ შეიძლება, დარჩე იქ, სადაც შენი ადგილია? რატომ? რისთვის? არა, პეტერ, ეს შენ არ უნდა მოგსვლოდა!“

„სანდი ტაიმსი“: „მოხდა ის, რაც ჩაიდინა შმაიხელმა. ეჰ! ის, რის წამოსაღებადაც მიუნხენში ჩავედით და ის, რაც თან მოგვქონდა, „ოლიმპიაშტადიონზე“ დავტოვეთ. რა გულკეთილები ვართ! რა გულუხვები! მაშინ, როცა თავი ქუდში გვეგონა, აღმოჩნდა, რომ ქუდი სხვას ხურებოდა. ესეც თქვენი ლიგა. შეცდომამ შეიძლება ბოლოს გვანანოს, თან მწარედ, ძალიან მწარედ! ეს იყო უდიდესი სიბრიყვე, რაც კი ოდესმე შმაიხელს ჩაუდენია!“

„ინდეპენდენტი“: „ეს იყო შეცდომა, რომელიც ოცნებებს ასამარებს ხოლმე. ეს იყო შეცდომა, რომელიც ხანდახან ჩემპიონობად, ხან თასად, ხან საერთოდ, ლიდერთა შორის ადგილის დაკარგვად ფასობს. და ბოლოს, ეს იყო შეცდომა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თამაშსა და ამ ეტაპის ტელევიზორით ცქერას განასხვავებს ერთმანეთისგან“.

„დეილი მირორი“: „ნუთუ კიდევ ერთხელ? რატომ? რანაირად? თუმცა, რაღა რანაირად? სწორედ ისე, როგორც შმაიხელმა მოიმოქმედა. ჩვენ შეგვეძლო, შესანიშნავი გამარჯვება მოგვეპოვებინა, თუმცა მხოლოდ შეგვეძლო. ის ისევ ვერ მოვიპოვეთ, არადა, შეგვეძლო. ვფიქრობდით, რომ გავიმარჯვებდით. ვერ გავიმარჯვეთ. დავკარგეთ ის, რასაც ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, არ კარგავენ ხოლმე. არა, ქულას არ ვგულისხმობთ — ჩვენ ორიენტაცია დავკარგეთ“.

„სანი“: „ასე სკოლის ბიჭებიც აღარ თამაშობენ, თუმცა საკითხავია, პეტერი სკოლაში ხომ არ ჩარჩა? საეჭვოა. ისეთი გარეგნობა აქვს, მოწაფე აღარ უნდა იყოს. რა დროს ეს არის? ალბათ, მას კარის ხაზზე გაჩერება ცუდად აქვს დაცდილი“.

ასეთი წერილები, უფრო სწორად, გამოხმაურებები ხუთშაბათის ინგლისურ პრესაში ბევრი, ძალიან ბევრი იყო.

ცხადია, მიხვდით, რომ საქმე შმაიხელის ყოვლად უდროო და მოუქნელ საქციელს ეხებოდა. ეს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ოთხშაბათს გამართული მატჩის ბოლო წუთზე მოხდა.

...ის მომენტი კი, რომლის აღწერაც თავში დავიწყეთ, ელბერის გოლით დასრულდა.

**ირაკლი ილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთლონდონელი ბიჭები

რამდენიმე დღის წინ ინგლისის მეორე დივიზიონში გაიმართა შეხვედრა: „მილუოლი“ — „მანჩესტერ სიტი“, რომელმაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას გამოძიება წამოაწყებინა.

მთავარი ამბები მაშინ დაიწყო, როდესაც ფანებმა სამხრეთ ლონდონის სტადიონი „ნიუ დინი“ დატოვეს.

ამბავი ასეთია: დაახლოებით სამასმა გულშემატკივარმა პოლიციას ბოთლების სროლა დაუწყო. შედეგად ერთი პოლიციელი საავადმყოფოში წაიყვანეს — მას მკლავი მოტყდა.

შემდეგ ეს სამასი კაცი პატარა ჯგუფებად დაიშალა და მიმდებარე ტერიტორიას შეესია. მათ მაღაზიებს ვიტრინები ჩაულეწეს.

სამართალდამცავებმა სამასიდან 18 დააპატიმრეს.

პოლიციის მთავარი ინსპექტორი კრის მაილსი: — ყოველმხრივ შემაძრწუნებელი რამ მოხდა, ასეთი ძალადობა ძალიან დიდი ხანია არ მინახავს.

აყალმაყალი „მილუოლის“ გულშემატკივრებმა დაიწყეს, ხოლო რაც შეეხება „სიტის“ 2500 ფანს, ისინი ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში სტადიონის სექტორზე, მათივე უსაფრთხოების მიზნით ჰყავდათ ჩაკეტილი.

— სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, პოლიციიდან დასკვნას ველოდებით — განაცხადა ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა პრესატაშემ.

ახლა იმის შესახებ, თამაშის დროს რა ხდებოდა: ფეხბურთელები ხშირად ძიძგილაობდნენ და კამათობდნენ. მსაჯმა ორი მოთამაშე, „სიტის“ ტონი ვუგანი და „მილუოკის“ პოლ შოუ მოედნიდან გააძევა და მათ გარდა თითო გუნდიდან სამ-სამს ყვითელი ბარათი ალუმართა.

„სიტის“ მწვრთნელმა ჯო როილმა თქვა, რომ მისი რამდენიმე ფეხბურთელი შეშინებული იყო.

— ზოგი გულშემატკივარი განუწყვეტლივ ხულიგნობდა. რამდენჯერმე მოედანზეც გადმოხტნენ — განმარტა მან.

— გოლის გატანამ ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა, მაგრამ იმავდროულად შევცბი. ვიფიქრე, ვაითუ ამ გოლს ფანების მხრიდან ცუდი რეაქცია მოჰყვეს-მეთქი — დასძინა მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში ანგარიშის გამთანაბრებელმა, მანჩესტერელმა ფეხბურთელმა ლი ბრედბერიმ — ეს იმიტომ გავიფიქრე, რომ ტრიბუნებზე დაძაბული მდგომარეობა იყო და სტიუარდები მოვლენებს კონტროლს ვერ უწევდნენ. როდესაც ფანები მოედანზე შემორბიან, ძნელია თამაშზე იფიქრო.

პოლიციის დასკვნას „სიტიც“ ელოდება, ალბათ, მანჩესტერელებიც აღძრავენ საქმეს სასამართლოში.

# როგორ ებრძვიან გაფიცვას?



პიერ ვან ჰოიდონკი ნოტინგემელი ფანების კერპი იყო

„ნოტინგემ ფორესტი“ პრემიერლიგის ხელმძღვანელებს 4 მილიონ გირვანქიან სესხს სთხოვს, რათა განსაჯოს და დასაჯოს თავისი ჰოლანდიელი ფეხბურთელი პიერ ვან ჰოიდონკი. კლუბს მიზნად ვან ჰოიდონკის სამუდამოდ ჩამოშორება აქვს დასახული. მიზეზი: ჰოიდონკი ზაფხულის მერე გაფიცულია.

გეგმა ასეთია: ნასესხები ფულით ნოტინგემელები ახალ მოთამაშეებს იყიდან, ხოლო როდესაც ჰოლანდიელს გაყიდიან, ვალსაც გაისტუმრებენ.

გუნდის მწვრთნელმა დეივ ბესეტმა ახლახან 1,5 მილიონი გირვანქა გადაუხადა „კრისტალ პალასს“ და მისგან ნილ შიპერლი შეიძინა, მაგრამ უთუოა, რომ მარტო შიპერლით მაღალ ამოცანებს ვერ დაისახავ. მოკლედ, სანამ ვან ჰოიდონკი არ გაიყიდება, ნოტინგემში შეჭირვებულად იქნებიან.

თუ პრემიერლიგის თავკაცები სესხის გაცემას დათანხმდებიან, „ფორესტი“ ჰოლანდიელის გაგდება-გასხვისებას შეეცდება.

ბესეტი ამბობს: — ეს აზრი სხვა გუნდების მწვრთნელებმა და თავმჯდომარეებმაც მოგვიწონეს. ნუ გგონიათ, რომ რაღაც უტოპიურს ვამბობთ, ყველაფერი ძალიან რაელურია. რასაც ვაპირებთ, თუ განხორციელდა, ერთი რომ ჩვენს საქმეს გავაკეთებთ, მეორეც, სხვა ფეხბურთელებს ვაჩვენებთ, რომ თუ პიერივით მოიქცევიან, ისევე დაასრულებენ.

ფეხბურთის ასოციაციიდან გამოსული ხმების თანახმად „ფორესტს“ მათთვის ოფიციალურად არ მიუმართავს, მაგრამ იქ უკვე ფიქრობენ როდესაც ბესეტი მათ ოფისში განცხადებით შევა.

L'OLYMPIEN FELICITE CHALEUREUSEMENT LE MACCABI HAIFA

POUR AVOIR VIRE DE LA SCENE EUROPEENNE LE PARIS ST-GERMAIN

[ HAIFA 3-2 PSG ]

*როგორც იცით, დასავლეთის ქვეყნებში და, არა მარტო იქ, არსებობს გუნდები, რომლებიც ერთმანეთს დასანახადაც ვერ იტანენ. ესპანეთში „ბარსა“ — „რეალის“ ანაც „ატლეტიკ“-„რეალ სოსიედადის“, იტალიაში „ინტერ“-„მილანის“ ანაც „იუვე“-„ფიორენტინას“ შორის არსებულ ქიშპსა და შფოთზე ბევრი დაწერილა და თქმულა. საფრანგეთში კი „მარსელი“ და პსჟ არიან ერთმანეთთან დანასისხლად. მათ შორის არსებული სიტუაცია თითქმის ყველა ზღვარსაა გადასული. ამის უკანასკნელი მაგალითი კი გუშინ ვნახეთ. ინტერნეტის საშუალებით მარსელის „ოლიმპიკის“ სერვერის ნახვა გადავწყვიტეთ და რაოდენ იყო ჩვენი გაოცრება, როცა მარსელელთა ემბლემის ნაცვლად ხაიფას „მაკაბისას“ წავაწყდით. სურათის ქვეშ არსებული წარწერა კი ჩვენს კომენტარს ნაღდად არ საჭიროებს: „ხაიფას „მაკაბის“ ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს გულმხურვალედ ვულოცავთ პსჟ-ს ევროპული სარბიელიდან გამოპანღურებას.“*

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

1965

ეუსებიო

# ფეხბურთის ერთგული

*ლაშა გოდუაძე*

1962 წელს პორტუგალიის ნაკრებმა კიდევ ერთხელ სცადა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოეპოვებინა, თუმცა არ გაუმართლათ. წილისყრამ პირველსავე მეტოქედ ინგლისის საკმაოდ ძლიერი გუნდი არგუნა. საბოლოოდ საქმემ ისეთი სახე მიიღო, რომ ჩილეში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებლად პორტუგალიელებს აუცილებლად უნდა მოეგოთ ლონდონში, დიდებულ „უემბლიზე“ მასპინძელთათვის. სტუმართა იმედები არ გამართლდა, ოკეანისგაღმა ინგლისელები გაემგზავრნენ. მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა, ზემოხსენებული შეხვედრის შემდეგ კი პორტუგალიელ მოთამაშეთაგან ერთ-ერთი მინდორზე დაემხო და მწარედ აქვითინდა. აცრემლებული ფეხბურთელი ეუსებიო და სილვა ფერეირა გახლდათ, 18 წლის მოზამბიკელი ბიჭი, რომელმაც იმ დღეს ვერა და ვერ შეძლო სანატრელი გოლის გატანა — მან ოთხჯერ (!) შეაზანზარა ძელი.

...მოზამბიკის პატარა ქალაქი ლოურენსუ-მარკიში. 1962 წლის 21 იანვარს ფერეირების ოჯახში მეექვსე ბავშვი დაიბადა. პატარას ეუსებიო და სილვა უწოდეს. მაშინ გალატაკებული პინუედო ჟოზე მარია ფერეირა ვერც წარმოიდგენდა, რომ მის ოჯახში მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე დაიბადა.

წლები გადიოდა, პატარა ეუსებიო და სილვაც იზრდებოდა, მეგობრებთან ერთად ეზოში ბურთს აგორებდა და მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წლისას მამა გარდაეცვალა, ცხოვრება უხაროდა. ეუსებიოს თავისუფალი დრო მხოლოდ ფეხბურთს ეთმობოდა — ბურთი და მოედანი მისთვის უძვირფასესი რამ იყო. ეს იყო ის, რასაც ეუსებიოს ვერავინ შეეცილებოდა და ვერავინ წაართმევდა.

ლოურენსუ-მარკიში პატარების თამაშებს მუდამ ჰყავდა ბევრი მაყურებელი. უკლებლივ ყველა მათგანი მიიჩნევდა, რომ ეუსებიო და სილვა ფეხბურთისთვის გახლდათ დაბადებული. ეუსებიო ლოურენსუ-მარკიშის კლუბ „სპორტინგის“ საუკეთესო ფეხბურთელის ჰილარიოს მეზობლად ცხოვრობდა. სწორედ ამ კაცის დამსახურება გახლდათ, რომ მალე ფერეირებმა სამუდამოდ ზურგი აქციეს სიღარიბეს — 16 წლის ეუსებიოს წყალობით ოჯახი წელში გაიმართა, შემოფლეთილი სამოსელი კოხტა ტანსაცმელმა შეცვალა, დაბზარული ქოხი — ლამაზმა სახლმა. ცხოვრება მათთვის თავიდან დაიწყო.

— არასდროს დამავიწყდება ის დღე, 1958 წლის 20 ივლისი — იტყვის სახელგანთქმული ეუსებიო მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ. იმ დღეს მან ოფიციალურ მატჩში ითამაშა, პირველში იმ ათასზე მეტი შეხვედრიდან, რომლებშიც მან თითქმის ოცწლიანი კარიერის მანძილზე მიიღო მონაწილეობა. ზაფხულის იმ დღეს ლოურენსუ-მარკიშის „სპორტინგი“ „ჟუვენტუდს“ ხვდებოდა. დებიუტანტი ეუსებიოს ზღაპრული თამაშის წყალობით მასპინძლებმა 3:1 მოიგეს. ყველა გოლი 16 წლის ჭაბუკმა შეაგდო. ნამდვილ, დიდ ლისაბონის „სპორტინგამდე“ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, მაგრამ...

— ხომ გვჭირდება დიდი ფეხბურთელი, პელეს მსგავსი? — იკითხა არვალიო ფიზუ გომეშმა, მოხეტიალე სელექციონერმა. ლისაბონის „ბენფიკას“ უნგრელმა მწვრთნელმა ბელა გუტმანმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

— მაშინ წავიდეთ ლოურენსუ-მარკიშში. მე თქვენ ერთ პატარა ბიჭს განახებთ.

ბელა გუტმანმა და და ფიზუ გომეშმა კიდევ ერთხელ ნახეს „შავი მარგალიტის“ ბრწყინვალება. ერთ კვირაში ეუსებიომ დატოვა მოზამბიკი და პორტუგალიის დედაქალაქს, ლისაბონს მიაშურა. პატარა ბიჭმა წარმოუდგენლად დიდი თანხა 250 ათასი ესკუდო მიიღო. ლოურენსუ-მარკიშის „სპორტინგი“ სთხოვდა დარჩენას, 110 ათას ესკუდოსაც აძლევდა, მაგრამ ეუსებიო არ დარჩა. კიდევ კარგი, წავიდა. იქ პატარა ქალაქში, დარჩენა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა „სპორტინგს“ უმდიდრესი ლისაბონელი სეხნია პატრონობდა, ეუსებიო მაინც „ბენფიკაში“ აღმოჩნდა, დიდებისკენ მიმავალ გუნდში.

იმ ხანებში „ბენფიკა“ უძლიერესის სახელს იგდებდა შინაურ ასპარეზზე, ევროსარბიელზე კი ვერაფრით დაიკვეხნიდა. გამოცდილ ბელა გუტმანს საერთაშორისო აღიარების მოპოვება სურდა. სახელმოხვეჭისთვის გადადგმულ უდიდ-



**ეუსებიო და სილვა ფერეირა**

დაიბადა 1942 წლის 21 იანვარს მოზამბიკის ქალაქ ლოურენსე-მარკიში

თავდამსხმელი

სიმაღლე: 1,75 სმ

წონა: 73 კგ

კლუბები: „ლოურენსე მარკიში“ (მოზამბიკი, 1957-59), „ბენფიკა“ (პორტუგალია, 1960-74), „ბოსტონ მიუნითმენი“ (აშშ, 1974-75), „ტორონტო მეტროსი“ (კანადა, 1975-76), „ბეირა მარი“ (პორტუგალია, 1976-77), „ლას ვეგას ერქსილვერსი“ (აშშ, 1977-78), „ბეირა მარი“ (პორტუგალია, 1978-79), „უნიაო დე ტომარი“ (პორტუგალია, 1979-80)

ტიტულები: პორტუგალიის ჩემპიონი — 1961, 63, 64, 65, 67, 68, 69, 71, 72, 73; პორტუგალიის თასი — 1962, 64, 69, 70, 72; კანადის ჩემპიონი — 1976; ჩემპიონთა თასის მფლობელი — 1962; მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე პრიზიორი — 1966

ნაკრებში: 64 მატჩში 40 გოლი (1961-73)

ეს ნაბიჯად მან ეუსებიოს შეძენა მიიჩნია: „ეუსებიო ბრწყინვალე ფეხბურთელია, შესანიშნავი და, რაც მთავარია, შეუზღუდავი შესაძლებლობების მქონე. ბურთს თავისუფლად ფლობს, ძალიან ტექნიკურია. მეტად ინტელექტუალურია. მე მჯერა მისი“.

გამოცდილი უნგრელი არ შემცდარა — ეუსებიომ უმალ მოიხვეჭა ქომაგთა სიყვარული, მოიპოვა უდიდესი აღიარება და ლამის თვით ფეხბურთის მეფეს პელეს შეეცილა ტახტს. საბოლოოდ შეუდარებელი ბრაზილიელი მეფედ დარჩა, ეუსებიო კი „უფლისწულობით“ დაკმაყოფილდა.

იმ დროს, როცა ეუსებიო „ბენფიკაში“ მივიდა, ლისაბონური გუნდის ხერხემალი იკვეთებოდა. ხდებოდა შედუღაბება იმ გუნდისა, რომელიც 60-იან წლებში ევროპის უძლიერეს კლუბთაგანი გახდება. თავდაპირველად ეუსებიოს გაუჭირდა — 17 წლის ბიჭისთვის ძნელი იყო ლიდერებთან შეპაექრება. ჟოზე აუგუსტო პინტო დე ალმეიდა, იგივე აუგუსტო, ჟოაკიმ სანტანა გიმარაეში, იგივე სანტანა, ჟოზე პინტო კარვალიო დუშ სანტუშ აგუაში, იგივე აგუაში, ანტონიო სიმოეშ კოშტა იგივე სიმოეში, — ესენი „ბენფიკას“ ლიდერები გახლდნენ, გამოცდილი, ბევრისმნახველი ფეხბურთელები, მაგრამ მიუხედავად ასეთებთან ჭიდილისა, ეუსებიომ მაინც შეძლო ძირითადში დამკვიდრება.

1961 წელს, რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, „ბენფიკამ“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მომავალ სეზონში კი ყველაზე პრესტიჟული ევროთასის, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაება. ჯერ იყო ვენის „აუსტრია“, შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ნიურნბერგი“. ორივე წინაღობა პორტუგალიელებმა ადვილად დაძლიეს. მესამე მეტოქე „ტოტენჰემი“ წინა ორთან შედარებით გაცილებით სერიოზული მოწინააღმდეგე გახლდათ.

პირველი შეხვედრის წინ, რომელიც ლისაბონში გაიმართა, ინგლისელთა თავკაცმა ბილ ნიკოლსონმა ეუსებიოს ორი მცველით შებოჭვა სცადა, რითაც სხვა თავდამსხმელებს მისდაუნებურად ხელ-ფეხი გაუხსნა. ის შეხვედრა მასპინძლებმა 3:1 მოიგეს. ორი მეურვის წინააღმდეგ მებრძოლმა ეუსებიომ გოლი მართლაც ვერ გაიტანა, მაგრამ სამაგიეროდ აუგუსტომ და სიმოეშმა იყოჩაღეს. საპასუხო შეხვედრა ლონდონში „ბენფიკამ“ 1:2 დათმო, თუმცა ფინალს მაინც უწია.

„რა უნდა დააკლოს „ბენფიკამ“ დი სტეფანოს?“ „განა შეიძლება პორტუგალიური დაცვა ჰენტოს გაუმკლავდეს?“ — ასეთი კითხვები ფინალის წინ ხშირად ისმოდა, გამარჯვებაში ნაადრევად დარწმუნებულმა „რეალის“ პრეზიდენტმა სანტიაგო ბერნაბეუმ კი ისიც განაცხადა, რამდენსაც არ უნდა ეცადოს თქვენი ნაქები ეუსებიო, მაინც ვერაფრით შეედრება ჩვენს „პანჩო“ პუშკაშსო.

ფინალმა ყოველგვარი ეჭვი გაფანტა ეუსებიოს თაობაზე. დამტკიცდა რომ, იგი გენიალური მოთამაშე გახლდათ.

მატჩის პირველი ტაიმი ესპანელებმა 3:2 მოიგეს, მაგრამ მეორე ნახევარში შესვენებამდელი ცეცხლოვანი ტემპით გადაღლილი 36 წლის დი სტეფანო და მასზე ერთი წლით უმცროსი პუშკაში აშკარად დასუსტდნენ, „რეალის“ გული მოიშალა, პორტუგალიელებმა კი ბოლომდე ივარგეს. „ბენფიკამ“ 5:3 მოიგო. ბოლო ორი გოლი ეუსებიომ გაიტანა.

უამრავი მითი არსებობს ჰერაკლეზე, გაუთავებლად ჰყვებიან ამ დევგმირის მიერ ჩადენილ სასწაულებზე. ეუსებიოზეც უამრავი საინტერესო ამბის მოყოლა შეიძლება, მაგრამ ყველა ამბავი, ისევე როგორც ჰერაკლეს შემთხვევაში, ერთ აზრამდე მიგვიყვანს — ეუსებიო ერთადერთი და განუმეორებელი იყო. იგი გენიალური ფეხბურთელი გახლდათ.

ბევრ ფეხბურთელს მოუპოვებია საერთაშორისო აღიარება საკლუბო დონეზე, მაგრამ მათგან უამრავი სანაკრებო დონეზე დიდებას ვერ ეწია. ეუსებიომ ეს შეძლო — 1966 წელს, მიუხედავად იმისა, რომ იმ წელს პორტუგალიელთა შორის ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოასპარეზე პორტუგალიელთა მესამე ადგილი აშკარად ეუსებიოს დამსახურება გახლდათ.

...ერთ-ერთი საერთაშორისო მატჩის შემდეგ გფრ-ის ნაკრების მცველი კარლ ჰაინც შნელინგერი, რომელიც კარგა ხანი იტალიაში თამაშობდა ეუსებიოს, დაეკითხა:

— რატომ არ მიდიხარ იტალიაში? იქ უფრო მეტ ფულს იშოვნი, გამდიდრდები!

— იტალიაში არასდროს წავალ. იქ სადაც მოთამაშეები გოლის არგაშვებაზე ფიქრობენ, ფეხბურთს არ თამაშობენ. კატენაჩიო ფეხბურთის აღსასრულია!

— მესმის, მაგრამ იქ, სადაც შენ ითამაშებ, განა დაცვაზე იფიქრებენ?

— არ ვიცი. არა, იტალიაში არასდროს წავალ, რადგან ყველაზე უკეთესად „ბენფიკა“ თამაშობს. ის, რასაც აქ მაძლევენ, მყოფნის, თან ჩვენთან ფეხბურთს თამაშობენ. ფეხბურთის არსი ხომ გოლია?!

ეუსებიო ბოლომდე ფეხბურთის ერთგული დარჩა.

**ვაგრძელებთ დიდი ჰოლანდიელი ფეხბურთელისა და მწვრთნელის იოჰან რუიფის სტატიათა სერიის გამოქვეყნებას, სერიისა, რომელიც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისა და საერთოდ, ფეხბურთის აგ-კარგს ეხება. დღეს გთავაზობთ მეორე წერილს, რომელიც მერვედფინალების ჩატარების შემდეგ გამოქვეყნდა ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ ყოველკვირეულ დამატებაში.**

# კულუარის მოთამაშე ფეხბურთისთვის დამღუპველია



იოჰან კრუიფი

მსოფლიოს ჩემპიონატის ამ სტადიაზე სულ ვეკითხები საკუთარ თავს: ნუთუ დღევანდელ ფეხბურთში აღარაა ადგილი სხვანაირი, უფრო მიმზიდველი თამაშისათვის? ოცდათორმეტი ნაკრები, ოცდათორმეტი მწვრთნელი და თითქმის არ შეიმჩნევა კონცეფციებსა და სტრატეგიებს შორის განსხვავება. ერთადერთი რამ, რაც სხვადასხვა გუნდებს ერთმანეთისგან განარჩევს, ფეხბურთელთა ინდივიდუალური ხარისხია. ესაა ერთადერთი ფაქტორი, რომელიც საბოლოო ჯამში წყვეტს მატჩთა ბედს. ერთი თუ ორი თავდამსხმელი, 4-4-2 თუ 5-3-1, ყველაფერი ამაზეა დაფუძნებული. ჩემი აზრით, ამაში „ძირითადი დამნაშავე“ „კულუარის მოთამაშენი“, ანუ განაპირა მცველები არიან, რომლებსაც დაცვის გარდა მთელ ფლანგზე სირბილი და შეტევათა აქტიური დახმარება ევალებათ. ვფიქრობ, ეს ფეხბურთისთვის დამღუპველია და პიროვნებას, რომელმაც ეს სიახლე შემოიტანა, საერთოდ უნდა აეკრძალოს ფეხბურთთან ურთიერთობა, რათა ეს სახეობა მეტად აღარ დააზარალოს. „კულუარის მოთამაშეები“ ის ტაქტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც გუნდს საშუალებას აძლევს, დაცვისას მეტი ფეხბურთელი ჰყავდეს უკან და ამავე დროს შეტევაში გადასვლისას ფლანგებიც ნაყოფიერად გამოიყენოს. საკითხის უფრო ძირეულად შესწავლისას ჩანს, რომ ეს მაინც უფრო უარყოფითი რამაა, ვიდრე დადებითი.

განვიხილოთ ნაბიჯ-ნაბიჯ. ფეხბურთიდან გარემარბთა სულ უფრო მზარდი გამოძევება მწვრთნელთა უმეტესობის გაძლიერებული დაცვითი ინსტიქტის შედეგია. მათ მიაჩნიათ, რომ ფლანგებზე მიწებებული ორი მოთამაშე, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ შეტევის დროს მოქმედებენ, ამცირებს გუნდის შედეგიანობას. თუმცა ეს თეორია სასტიკი შეცდომაა: თუ ორ ძლიერ გარემარბს გაიყვანთ მოედანზე, აბსოლუტურად ყველა მოწინააღმდეგე იძულებული იქნება, მათ ორი პერსონალური მეურვე მიუჩინოს. გარდა ამისა, საჭიროა ამ მცველთა დაზღვევაც, ასე რომ, ჩვენ ორი ფეხბურთელი მეტოქის რამდენიმე მოთამაშეს დაცვაში იჭერს და საშუალებას არ აძლევს, თავიანთ თავდასხმას დაეხმარონ, რადგან მათ სულ ჩვენი გარემარბების სისწრაფისა და მოხერხებულობის შიში ექნებათ — ეს ხომ ყოველ წამს შეიძლება მათთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. გჯერათ, რომ „კულუარის მოთამაშე“ შეძლებდა დაცვაშიც და თავდასხმაშიც თავისი საქმის კეთებას და წამდაუწუმ სამოცი მეტრის გარბენას, მეტოქის შემადგენლობაში გარინჩა, ჟაირზინიო, ხენტო, ბესტი, რეპი ან ბლოხინი რომ იყვნენ?

„ბარსელონას“ მწვრთნელად ჩემი რვაწლიანი მოღვაწეობის დროს გარემარბებით თამაში ის დეტალი იყო, რომელიც სხვა გუნდებისგან გამოგვარჩევდა. ოთხჯერ გავხდით ესპანეთის ჩემპიონები და ამდენჯერვე ვიყავით ევროთასების ფინალში — ორჯერ ჩემპიონთა თასზე და ორჯერაც თასების თასზე. მთავარი იყო ფლანგებზე ორი თავდამსხმელით თამაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფეხბურთელების უმეტესობას შეიძლება ადრე ამ პოზიციაზე არც ეთამაშა. ლინეკერი, ხულიო სალინასი, სტოიჩკოვი თავიანთ ძველ კლუბებში ცენტრალური თავდამსხმელები იყვნენ, ჩვენთან კი, ტაქტიკური და გუნდური ინტერესებიდან გამომდინარე, გარემარბებად გარდაიქმნენ და თუმცა ამ ადგილზე თამაშის ოსტატები არ იყვნენ, დიდებულად გაართვეს თავი დაკისრებულ მისიას.

ყველა გუნდი, ვინც „ბარსელონას“ ხვდებოდა და ჩვეულებრივ „კულუარის მოთამაშეებით“ თამაშობდა, თავის ტაქტიკას ცვლიდა , ესე იგი, თავიდანვე უპირატესობას ვიღებდით: მოწინააღმდეგე მისთვის უჩვეულო სტილში თამაშობდა, თავს განაპირა მცველებით იცავდა.

თუ ბრაზილიის ნაკრებში კაფუ და რობერტო კარლოსი შეტევებში ძალიან აქტიურად ერთვებიან, ეს იმიტომაა, რომ მათ დაცვაში არავინ ჰყავთ სამეურვეო. ყველა გუნდს, ვინც ბრაზილიელთა წინააღმდეგ ითამაშა, შეტევაში ერთი ან ორი თავდამსხმელი ჰყავდა, ასე რომ, ალდაირი და ჟუნიორ ბაიანოც სავსებით საკმარისი ძალა იყო მათ გასაკონტროლებლად. ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: დავუშვათ, ბრაზილია შეხვდა ჰოლანდიას და გუს ჰიდინკმა ერთ ფლანგზე ოვერმარსის, მეორეზე ბერგკამპის, შუაში კი კლუივერტის დაყენება გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში ვერც კაფუ და ვერც რობერტო კარლოსი ვერ მოახერხებდნენ ყოველ წამს შეტევებში ჩართვას, თუ ისინი ბურთს დაკარგავდნენ, თავიანთი მეტოქის „დაწევას“ ვეღარ შეძლებდნენ. (კრუიფის ამ ჰიპოთეზის ხორცშესხმას ოვერმარსის ტრავმამ შეუშალა ხელი, თუმცა მის ადგილზე გამწესებულმა ზენდენმა, ბერგკამპმა და კლუივერტმა მაინც მიაღწიეს იმას, რომ რობერტო კარლოსისა და კაფუს შემცვლელი ზე მარია დაცვას მიაჯაჭვეს. გ.გ.)...

სინამდვილეში „კულუარის მოთამაშეები“ იმიტომ არსებობენ, რომ გარემარბებზე ითქვა უარი. მაგრამ თუ მწვრთნელთა ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ხელახლა გააკეთებენ აქცენტს შემტევ ფეხბურთზე, ამ ულამაზესი სპორტიდან „კულუარის მოთამაშეები“ გაუჩინარდებიან. ეს კი მშვენიერი რამ იქნება, რადგან მაშინ ცენტრალური თავდამსხმელებიც თავიანთ ნამდვილ ფუნქციას დაიბრუნებენ. დღეისთვის კი რა ხდება: ეს უკანასკნელნი გარემარბთა არყოფნის გამო იძულებულნი არიან, ფლანგებზე ირბინონ და როცა საჯარიმო მოედანში შედიან, თავიანთი საქმის უმაღლეს დონეზე შესრულებას ვეღარ ახერხებენ. წლების განმავლობაში ცენტრალური თავდამსხმელებისგან მხოლოდ გოლების გატანას მოითხოვდნენ. ისინი ყოველთვის მეტოქის საჯარიმო მოედანში ტრიალებდნენ და შეტევის დასაგვირგვინებლად გარემარბთა ჩაწოდებებს ელოდნენ. არ იყო აუცილებელი, ისინი მეტად სწრაფები და ბრგენი ყოფილიყვნენ, მათ არ მოეთხოვებოდათ დიდი ფიზიკური გამძლეობა, მხოლოდ საკუთარი თანაგუნდელების მიერ შესრულებული სამუშაო უნდა დაესრულებინათ კარგად. დღეს კი საჭიროა სირბილი, ხტუნვა, სამ მცველთან ჭიდილი და ამასთან, „მკვლელის ინსტიქტი“ ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშისას.

„კულუარის მოთამაშეებმა“ „მოკლეს“ გარემარბები, შეცვალეს ცენტრის ფუნქცია და ეს კიდევ არ არის ყველაფერი. მათ თამაშიდან გამოთიშეს ძველი № 10-იც. ჩემთვის ათი ნომერი ისაა, ვისაც ყველაზე დახვეწილი ტექნიკა აქვს, ვინც ყველაზე მეტად წარმართავს მატჩს, ვინც ყველაზე უკეთ ამარაგებს პასებით თავდამსხმელებს და ვისაც ყოველივე ამასთან ერთად მშვენიერი დარტყმაც აქვს. ამის მაგალითებია ჟერსონი, ნეტცერი, პლატინი. დღეს კი ასეთი გამთამაშებლები თითქმის გაქრნენ, რადგან როცა რობერტო კარლოსი, იარნი, სერხი, ცაგე ან ლიზარაზუ უტევენ, საჭიროა მათი დაზღვევა, ეს საქმე კი ნახევარდაცვის გასაკეთებელია...

ჩემი აზრით, განაპირა მცველებმა დაცვა და შეტევებში მხოლოდ ეპიზოდური ჩართვა რომ იკმარონ, გუნდების დონე საკმაოდ გაუმჯობესდება.

ყველა, ვინც მიცნობს, დამეთანხმება — ჩემი მთავარი პრინციპი ფეხბურთში ისაა, რომ მოთამაშეებმა რაც შეიძლება ნაკლები უნდა ირბინონ, ბურთმა კი შეუჩერებლივ უნდა იმოძრაოს. ხშირად მითქვამს ჩემი ფეხბურთელებისთვის, რა თქმა უნდა ხუმრობით, რომ მხოლოდ ლაჩრები დარბიან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „კულუარის მოთამაშეები“ მოედანზე სპრინტერებად იქცნენ. ვერავინ შეძლებს 60 მეტრის არაერთხელ გარბენის შემდეგ კარგად და ზუსტად ჩაწოდებას. გარემარბმა ერთ ჯერზე 25 მეტრი უნდა იკმაროს, რათა მერე ადვილად მოიკრიბოს ძალა შემდეგი შეტევისთვის, „კულუარის მოთამაშე“ კი მით უმეტეს, 60 მეტრის გარბენის შემდეგ დაცვაში უნდა დაბრუნდეს და გუნდს დაეხმაროს.

ფეხბურთში თითქმის ყველაფერი უკვე გამოგონებულია და ამიტომ ძალიან გამკვირვებია სპეციალისტებისა და ანალიტიკოსებისა, რომლებიც ვერ ხვდებიან, რა ვნებს, ანაც პირიქით, ზრდის მატჩის სანახაობრივ მხარეს. ბევრჯერ მითქვამს, დამიწერია და თუ საჭიროა, კიდევ გავიმეორებ: ლამაზი, ლაღი თამაშით უფრო იოლად გაიმარჯვებ, ვიდრე ისე, რომ მაყურებელი მოაწყინო. უბრალოდ, კარგი ფეხბურთელები უნდა შეარჩიო და შეათამაშო. ყველა ერთად თავდასხმაშიც და თავდაცვაშიც ისე გაირჯება ვერც მიხვდები, როდის უტევენ და როდის თავს იცავენ. ამისთვის საჭიროა, ყველა ჯგუფურად წავიდეს წინ ბურთის დაუკარგავად, მეტოქე კი, „კულუარის მოთამაშეთა“ თუ უმათოდ, იძულებული იქნება, ირბინოს და ირბინოს შეუჩერებლივ, ირბინოს იმისთვის, რაც საერთოდ საფუძველია — ბურთისთვის.

**თარგმნა ბაბი გურულმა**

გაგრძელება მომდევნო შაბათის „სარბიელში“

# ოლის ვალი მოემატა

*გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა ოლივერ ბირჰოფმა სახელი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ გაითქვა. მაშინ, გემახსოვრებათ, გერმანელები ჩეხეთის ნაკრებს ხვდებოდნენ. ანგარიში 1:0 იყო ჩეხების სასარგებლოდ, როდესაც გერმანიის ნაკრების იმჟამინდელმა თავკაცმა ბერტი ფოგტსმა მინდორზე ქომაგთა უმეტესობისათვის აბსოლუტურად უცნობი თავდამსხმელი, ოლივერ ბირჰოფი გამოიყვანა. ბირჰოფი გერმანელებს მხსნელად მოევლინა. მან მატჩის მიწურულს ჯერ გაათანაბრა ანგარიში, დამატებით დროში კი „უეცრადაც მოკლა“ მეტოქე. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ფეხბურთელის კარიერაში აღმავლობა, რომელმაც სახელი და დიდება მოუტანა. მისი კარგი თამაშით იტალიური „უდინეზე“ გასულ სეზონში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა, თავად ბირჰოფი კი 27 გატანილი გოლით სერია A-ს ბომბარდირი გახდა, ერთ სეზონში ამდენი ბურთი კი იტალიაში 1961 წლის შემდეგ ვერავის გაეტანა. წლეულს გერმანელთა მრისხანე თავდამსხმელი „მილანში“ გადავიდა და უმალ შავ-წითელთა მთავარ გოლეადორად იქცა.*

*კლინსმანის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ფოგტსმა „ოლი“ (როგორც მას ხალხმა სიყვარულით შეარქვა) კაპიტნად დანიშნა. ეროვნულის სათავეში ერიხ რიბეკის მოსვლის შემდეგ ბევრმა იფიქრა, ახალი მწვრთნელი კაპიტნად სხვას აირჩევსო, მაგრამ რიბეკმა პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, გუნდს მინდორზე კვლავაც ბირჰოფი გაუძღვებაო. პოპულარულმა გერმანულმა ჟურნალმა „შპორტბილდმა“ თავდამსხმელს ეს ინტერვიუ მაშინ ჩამოართვა, როცა ფოგტსი ახალი წასული გახლდათ, რიბეკი კი ჯერ კიდევ არ იყო ნაკრების მწვრთნელად დანიშნული. მიუხედავად ამისა ჩავთვალეთ, რომ გერმანელი ვარსკვლავის ნაუბარი ქართველ გულშემატკივარსაც დააინტერესებდა.*

**— თქვენს კაპიტნად დანიშვნას ნაკრების ბევრმა ფეხბურთელმა დაუჭირა მხარი. ელოდით გუნდში ასეთ აღიარებას?**

— ბოლო დროს ვგრძნობდი, რომ სულ უფრო პოპულარული ვხდებოდი, ასე რომ, ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

**— კაპიტანს ყოველთვის მეტი მოეთხოვება, ალბათ თქვენი როლიც გაიზრდება ეროვნულ გუნდში.**

— რა თქმა უნდა. მე ახლა ბევრად მეტი მევალება, ვიდრე უწინ. მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. თანაც უკვე 30 წლის ვარ, შეიძლება ითქვას, საკმაოდ დაღვინებული და გამოცდილი. მე მაგალითად უნდა ვიქცე იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ჩემს გვერდით გამოვლენ. გარდა ამისა, გოლების გატანაც უმთავრესად მე მევალება, ეს ნაკრების სხვა წევრებს მეტ თვითდაჯერებულობას და რწმენას შემატებს. ჩემი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია გუნდის და მწვრთნელის შეკავშირებაცაა.

**— მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებიდან უკვე საკმაო დრო გავიდა, მაგრამ მივუბრუნდეთ ჩვენთვის სამწუხარო გერმანია-ხორვატიის მატჩს. როგორ ფიქრობთ, მაჯს ვიორნსი რომ არ გაეძევებინა, ნაკრები მაინც დამარცხდებოდა.**

— დიახ, ჩვენ იმ შეხვედრას მაინც წავაგებდით. იმ მარცხში კრისტიან ვიორნსის დადანაშაულება ოდნავადაც არ შეიძლება. გერმანიის ნაკრები საფრანგეთში აშკარად არ იდგა სათანადო დონეზე. ეს მთელი ტურნირის მსვლელობის დროსაც ნათლად ჩანდა. ძლიერი გუნდი კი ათი კაცითაც უნდა იგებდეს, მით უმეტეს, ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

**— რა იყო იმის მიზეზი, რომ გუნდი ასე დაშლილად გამოიყურებოდა?**

— თავიდათავი უსისტემო თამაში გახლდათ. ყველა იმას ელოდა, როდის აფეთქდებოდა ვთქვათ იგივე ჰესლერი, მიოლერი, კირსტენი და თუ გინდ ბირჰოფი და როდის შეძლებდნენ ინდივიდუალური თამაშით წარმატების მიღწევას.

**— როგორ შეიძლება ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრა?**

— ამის ასე მარტივად თქმა შეუძლებელია. თუმც ერთ ფაქტორს მაინც აღვნიშნავ — მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხივე ნახევარფინალისტი თამაშობდა ოთხკაციანი დაცვით. მართალია, ჩვენც ამდენივე მცველი გვყავდა, მაგრამ მათ კაცზე თამაში ჰქონდათ დავალებული, რაც ფოგტსის უხეშ შეცდომად მიმაჩნია. ასე აღარავინ თამაშობს. ნაკრები და ბუნდესლიგის კლუბები დროის დინებას უნდა მიჰყვნენ.

**— თვლით, რომ ახალმა მწვრთნელმა ნაკრებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, საფეხბურთო რევოლუცია უნდა მოახდინოს?**

— ერთი რამ ნაღდია, ნაკრების ახალმა თავკაცმა სერიოზული ცვლილებები უნდა განახორციელოს. ვიცი, ეს საკმაოდ ძნელია, მაგრამ დრო არ ითმენს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კარს მოგვადგა (გერმანია შესარჩევ ეტაპს 10 ოქტომბერს იწყებს), ჩვენი უმთავრესი მიზანიც მასში გამარჯვებაა. ამ დროს კი ნაკრები ერთ ადგილს ტკეპნის. იგივე ითქმის მიუნხენის „ბაიერნზეც“, რომელიც გერმანული ფეხბურთის სახეა.

**— როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონატისდროინდელი შემადგენლობის ძირეულად შეცვლაა საჭირო?**

— ყველაზე ხელაღებით უარის თქმა, ბუნებრივია, არ შეიძლება. ბაბელი, იერიმისი, ჰამანი, ციგე, კირსტენი და ზოგიერთი სხვაც, ის ფეხბურთელები არიან, რომლებზეც ვერც ერთი მწვრთნელი უარს ვერ იტყვის. მაგრამ ახალი სისხლიც საჭიროა.

**— როგორ აფასებთ ბერტი ფოგტსის ნაკრებში მოღვაწეობას, წარმატებულად?**

— მოდით, სანამ ფოგტსის ერას შევაფასებდეთ, გადავხედოთ სხვა ძლიერი ნაკრებების შედეგებს. ვნახავთ, რომ მათ ბევრად ნაკლებს მიაღწიეს, ვიდრე ჩვენ. ავიღოთ ესპანეთი და ინგლისი. ამ გუნდებს რვა წლის განმავლობაში სათქმელი არაფერი შეუქმნიათ. იტალია 1996 წელს ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფიდან ვერ გავიდა, გერმანიამ კი იმავე წელს კონტინენტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მაშინ მწვრთნელი ბერტი ფოგტსი იყო.

**— ახლა „მილანზეც“ ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ბოლო ორი წელია, ეს იტალიური გრანდი თავის თავს აღარ ჰგავს. ევროტურნირებზეც ვერ მოხვდა. „უდინეზეში“ კი სახელი დაიგდეთ, თანაც თქვენი უდიდესი დახმარებით უეფას თასის საგზურიც მოიპოვა. მიუხედავად ამისა, მაინც „მილანი“ აჰჯობინეთ, რამ გამოიწვია თქვენი ასეთი არჩევანი?**

— ჩემს გადაწყვეტილებაზე რამდენიმე ფაქტორმა იქონია გავლენა. უპირველეს ყოვლისა იმან, რომ „მილანი“ უდიდესი კლუბია. მართალია, ახლა ფორმაში ვერაა, მაგრამ პატარა ჩავარდნა ყველას ჰქონია. დღევანდელ „მილანს“, ვგონებ, უკვე შესწვეს უნარი, სერიოზულ შედეგებზე იფიქროს. გარდა ამისა, ბევრმა ახლობელმა მირჩია, მილანელთა წინადადებას დავყოლოდი — შენი და ვეას დუეტი შეუდარებელი იქნებაო.



ოლივერ ბირჰოფი გერმანელებს კიდევ გაახარებს

**— ალბათ წელსაც ბომბარდირობაზე იფიქრებთ?**

— ბომბარდირობა ჩემი მიზანი სულაც არ არის. ჩემი ამოცანა მოედანზე გასვლა და გოლების გატანაა. თუ ჩემს ამოცანას შევასრულებ, ბომბარდირობაც თავისთავად მოვა. ყოველი თამაშის შემდეგ, როცა გოლი ვერ გამაქვს, ჩემს თავს ვუსვამ კითხვას: „რა მოგივიდა დღეს?“ წარმოუდგენელია, თავდამსხმელი მოედანზე შედიოდეს და გოლის გატანაზე არ ფიქრობდეს.

ბირჰოფი კი მხოლოდ გოლის გატანაზე ფიქრობს. ამას იტალიის სერია A-ს მორიგი ჩემპიონატიც მოწმობს — პირველი სამი ტურის შემდეგ „ოლის“ უკვე ოთხი ბურთი აქვს გატანილი.

**ვანო ოქროპირიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ვენესუელის** ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად გამოცდილი არგენტინელი სპეციალისტი ხოსე ომარ პასტორიზა დაამტკიცა. ვენესუელაში ფეხბურთი მაინცდამაინც პოპულარული არაა და ამიტომაცაა ნაკრები სამხრეთ ამერიკაში უსუსტესად რომ ითვლება — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გნებავთ თუ კონტინენტის პირველობა, გუნდი ყველა შემთხვევაში ბოლო ადგილზე გადის. საფრანგეთი 98-ის შესარჩევ ტურნირშიც ასე მოხდა — გუნდმა 16 თამაშიდან მხოლოდ სამი ქულის მოპოვება შეძლო და ცხადია ბოლო ადგილზე გავიდა. ვენესუელელები პასტორიზაზე დიდ იმედებს ამყარებენ. არგენტინელ მწვრთნელს 20 წლიანი მუშაობის სტაჟი აქვს. თავის დროზე იგი არგენტინის უძლიერეს კლუბებში „ინდეპენდიენტესა“ და „ბოკა ხუნიორსში“ მუშაობდა, ბოლო ხანებში კი სალვადორის ნაკრებს წვრთნიდა. პასტორიზამ ვენესუელის ნაკრების თავკაცის პოსტზე ედუარდო ბორერო შეცვალა.

**გერმანიის ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ტომას შტრუნცი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მოახლოებულ ორ თამაშში თავისიანებს ვერაფრით დაეხმარება — ექსტრავაგანტული ვარცხნილობის მქონე ფეხბურთელს ოპერაცია ელის. მიუნხენური კლუბის განცხადებით, 30 წლის შტრუნცმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მეორე ტურის მატჩში შინ, „ოლიმპიაშტადიონზე“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ფრედ 2:2 დასრულებული შეხვედრისას მარჯვენა ბარძაყის კუნთი დაიზიანა. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ თუ დროზე არ იმკურნალა, შესაძლოა გართულებები მოჰყვეს. თავად შტრუნცი ძალიან ნანობს ტრავმას, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა. შტრუნცი ფეხბურთს დაახლოებით ერთი თვით გამოეთიშვიდობება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაკრების თურქებთან და მოლდოვასთან დაპირისპირების გარდა, ბუნდესლიგის რამდენიმე მატჩსაც გამოტოვებს.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლის, ჯეისონ დონოვანის განცხადებით, 18 ნოემბრისთვის დაგეგმილი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ინგლისსა და იუგოსლავიას შორის, რომელიც „უემბლიზე“ უნდა გამართულიყო, აღარ შედგება. „გავითვალისწინეთ რა კოსოვოს რეგიონში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა, ავწონ-დავწონეთ რა იუგოსლავიის ხელისუფლების მოქმედება, გადავწყვიტეთ, ამხანაგური მატჩი გაგვეუქმებინა. ამ ეტაპზე, ჩვენი აზრით, ასე აჯობებს“. ერთი სიტყვით, იუგოსლავია ინგლისელებს ველარ შეხვდება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ შეცვლის იუგოსლავიას, ეს საკითხი მალე გადაწყდება. იმავე ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით, ნაკრების შესაძლო სპარინგპარტნიორებად ეკვადორს, აშშ-სა და რუმინეთს მიიჩნევენ.

**შოტლანდიის „ჰართსმა“ ესპანეთის თასის ფინალში დამარცხებული „მალიორკას“ უეფაში უჩივლა მოედნის ორივე კარს თითო მეტრი დაშვებულზე მაღალი იყოო. თასების თასის მერვედფინალის ეს მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა, ორი მატჩის ჯამში შემდეგ ეტაპზე „ჰართსმა“ გააღწია, თუმცა სათქმელი სქოტებმა მაინც თქვეს. „ჩვენ „ჰართსისგან“ ოფიციალური წერილი მივიღეთ, სადაც ისინი ირწმუნებიან, რომ „მალიორკას“ სტადიონზე გარკვეული სტანდარტული დარღვევები შეინიშნებოდა. უეფა ამ საკითხს შეისწავლის და 8 ოქტომბერს, ჟენევაში გასამართ სადისციპლინო კომიტეტზე დამნაშავეს საჯაროდ დასჯის“ — განაცხადა უეფას წარმომადგენელმა, ტანია ბაიმმა. სხვათა შორის, სქოტთა აზრის შეცვლას კომისარმაც დაუჭირა მხარი.**

**პარაგვაელი** ხოსე ლუის ჩილავერტი შესაძლოა, მალე ინგლისური „ლივერპულის“ მეკარე გახდეს. მერსისაიდელები რამდენიმე დღის წინ კვლავ შეეხმიანნენ ჩილავერტის ახლანდელ კლუბს, არგენტინის „??? სარსფილდს“ და მეკარის სანაცვლოდ ორნახევარი მილიონი გირვანქა შეაძლიეს. საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. მეკარემ გაზეთ „ოლეს“ განუცხადა, არგენტინელებთან 2002 წლამდე კი მაქვს კონტრაქტი, მაგრამ იმედია, ლივერპულელები ცდას არ დააკლებენ, რომ გადამიბირონო. სხვათა შორის, ცნობილი გახდა, რომ „ლივერპულს“ შვედი იოჰან მიოლბუს (მან ევრო 2000-ის შესარჩევ მატჩში ინგლისს გოლიც გაუტანა) და ჰოლანდიას აზ-67-ის ნახევარმცველ პეტერ ვიკეროს შეძენაც სდომებია.

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — V ჯგუფი. ბულგარეთი - შვედეთი

14 ოქტომბერს ბურგასში ინგლისის მძლეველი შვედეთის ნაკრები მასპინძელი ბულგარეთის დამარცხებას შეეცდება. შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა გუშინ ნაკრების შემადგენლობა დაასახელა და იქვე დასძინა, ორ ფეხბურთელს ორშაბათს დავამატებო. გუნდის შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი), მაგნუს კილშტედტი (ლილესტრიომი); მცველები — პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია), პონტუს კამარკი (ლესტერი), ტედი ლუჩიჩი (გიოტებორგი), იოჰან მიოლბუ (აიკი), როლანდ ნილსონი (ქოვენთრი), გარი სუნდგრენი (სარაგოსა); ნახევარმცველები და თავდამსხმელები — დანიელ ანდერსონი (ბარი), იესპერ ბლომკვისტი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაგნუს ერლინგმარკი, ჰაკან მილდი (გიოტებორგი), ჰენრიკ ლარსონი (სელტიკი), ფრედრიკ ლუნდბერგი (არსენალი), შტეფან შვარცი (ვალენსია), პერ ზეტერბერგი (ანდერლეხტი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი).

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — VI ჯგუფი. ესპანეთი - ისრაელი

კვიპროსთან წაგებული თამაშის შემდეგ ესპანელთა შანსები ცოტა არ იყოს გართულდა, თუმცა ისინი ყველაფრის მიუხედავად ჯგუფის ფავორიტებად რომ ითვლებიან, ცხადია. ისრაელთან დაპირისპირებამ ხოსე ანტონიო კამაჩოსთვის პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. მწვრთნელმა აქცენტი ძირითადად ვეტერანებზე გააკეთა, თუმცა, ნაკრებში ახალწვეულებიც არიან. გუნდის შემადგენლობა: მეკარეები — სანტიაგო კანისარესი (ვალენსია), ტონი ხიმენესი (ესპანიოლი); მცველები — რაფაელ ალკორტა (ბილბაო), სერხი ბარხუანი (ბარსელონა), ალბერტ ფერერი (ჩელსი), მიჩელ სალგადო (სელტა), ფერნანდო იერო (რეალი), ვისენტე ენგოგა (მალიორკა), პაკო ხემესი (სარაგოსა); ნახევარმცველები — ლუის ენრიკე (ბარსელონა), იტო ალვარესი (ბეტისი), ბიტორ ალკისა (ბილბაო), ფრანსისკო დე პედრო (სოსიედადი); თავდამსხმელები — ხოსება ეჩებერია, ისმაელ ურსაისი (ბილბაო), კიკო (ატლეტიკო), მარკოს ვალესი (სარაგოსა), რაული (რეალი)


**საბერძნეთი — საქართველო**
**14 ოქტომბერი**

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში**

750 დოლარად გთავაზობთ 4-დღიან მოგზაურობას საბერძნეთში ფეხბურთზე დასასწრებად.

თქვენი მხარდაჭერა ჩვენების გამარჯვების საწინდარია

**ფირმა „ჰებე“**

თავისუფლების მოედანი 7. ტელ: 92-15-59, 99-79-35.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ბოხუმი — აინტრახტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნიურნბერგი — მიუნხენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფრაიბურგი — ჰამბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ჰანზა — ვერდერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| დუისბურგი — შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბაიერნი — დორტმუნდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |

**გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. IX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 ოქტომბერი | | | |
| კოტბუსი — ჰანოვერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბერლინი — ფიურტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გიუტერსლო — მაინცი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კიკერსი — ვატენშაიდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 5 ოქტომბერი | | | |
| ფორტუნა — კიოლნი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**ინგლისიის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ბლექბერნი — ვესტ ჰემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქოვენთრი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დერბი — ტოტენჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიდსი — ლესტერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| მიდლსბრო — შეფილდ უენსდეი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნოტინგემი — ჩარლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| საუთჰემპტონი — მანჩესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| უიმბლდონი — ევერტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| არსენალი — ნიუკასლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლივერპული — ჩელსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ბარნსლი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბირმინგემი — ტრანმერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბერი — ბრისტოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქრიუ — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — ოქსფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| იფსვიჩი — კრ. პალასი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| პორტ ვეილი — ნორვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ქუინზ პარკი — გრიმსბი | 2,0 | 2,9 | 3;4 |
| შეფილდ იუნაიტედი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სანდერლენდი — ბრედფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| სვინდონი — სტოკპორტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| ვესტ ბრომვიჩი — უოტფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IV ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 ოქტომბერი | | | |
| ბოლონია — პარმა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ფიორენტინა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ინტერი — პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| იუვენტუსი — პიაჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| ლაციო — კალიარი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სალერნიტანა — ემპოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სამპდორია — რომა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვენეცია — მილანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ვიჩენცა — ბარი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. V ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ნაპოლი — ატალანტა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| კიევო — ბრეშა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კოზენცა — ფ. ანდრია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კრემონეზე — ვერონა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ლეჩე — ტორინო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლუკეზე — ჩეზენა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მონცა — ტრევიზო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პესკარა — რეჯანა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| რავენა — რეჯინა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ტერნანა — ჯენოა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**ესპანეთიის ჩემპიონატი. I დივიზიონი. V ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ვალენსია — ბარსელონა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| ტენერიფე — მალიორკა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ოვიედო — ატლეტიკო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სოსიედადი — დეპორტივო | 1,8 | 2,9 | 3,6 |
| ესპანიოლი — ვილიარეალი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| სალამანკა — ვალიადოლიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სელტა — ბილბაო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეალი — ბეტისი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| ესტრემადურა — სარაგოსა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ალავესი — რასინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. VI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3-5 ოქტომბერი | | | |
| მერიდა — მალაგა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლეგანესი — რეკრეატივო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბადახოსი — ორენსე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ოსასუნა — სევილია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ერკულესი — კომპოსტელა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ბარსელონა B — ნუმანსია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ალბასეტე — ლეიდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ტოლედო — ლოგრონიესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ეიბარი — რაიო ვალეკანო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სპორტინგი — ატლეტიკო B | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლას პალმასი — მალიორკა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**საფრანგეთიის ჩემპიონატი. VIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ლე ავრი — სოშო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| რენი — მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მარსელი — ტულუზი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბასტია — ბორდო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ნანტი — ლიონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ოსერი — სტრასბური | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| მონპელიე — ლორიანი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| პსჟ — ლანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მეცი — ნანსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. VI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| რიუ ავე — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| ამადორა — კამპომაიორესე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ფარენსე — შავეში | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მარიტიმუ — სეტუბალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გიმარაეში — ბენფიკა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ალვერკა — პორტუ | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| ლეირია — სალგეირუში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 5 ოქტომბერი | | | |
| ბოავიშტა — ბრაგა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

**რუსეთის ჩემპიონატი. XXVII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ტიუმენი — როტორი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ბალტიკა — შინიკი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კრ. სოვეტოვი — ჩერნომორეცი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ურალანი — ზენიტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ალანია — ლოკომოტივი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჟემჩუჟინა — დინამო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| სპარტაკი — ტორპედო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ცსკა — როსტსელმაში | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| მაასტრიხტი — კამბური | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ეინდჰოვენი — სიტარდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| ტილბურგი — როდა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| სპარტა — აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| უტრეხტი — ნაიმეგენი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ვალვაიკი — აზ 67 | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ჰერენვენი — ბრედა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ტვენტე — ფეიენოორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| გრააფსხაპი — ვიტესი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

**ბელგიის ჩემპიონატი. IX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ოსტენდე — ბრიუგე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| სტანდარდი — ვესტერლო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლოკერენი — სტ. ტრიუდენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლიერსი — ეკერენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| გენკი — ბევერენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| კორტრაიკი — შარლერუა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ჰარელბეკი — ლომელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| აალსტი — ანდერლეხტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**პოლონეთიის ჩემპიონატი. XI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3-4 ოქტომბერი | | | |
| ვისლა — ვიძევი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რუხი — ბელხატოვი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლკს — ლეგია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| გურნიკი — კატოვიცე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| პოგონი — ამიცა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ოდრა — რაძიონკოვი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| პოლონია — ლეხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზაგლებე — სტომილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი. IX ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| ჰართსი — სტ. ჯონსტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მოზერველი — სელტიკი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| რეინჯერსი — დანდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| დანდი იუნაიტედი — აბერდინი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**ავსტრიის ჩემპიონატი. XI ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| აუსტრია — შტურმი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გრაცერი — შტაირი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ლუსტენაუ — ლინცერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| რიდი — ტიროლი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. XIII ტური**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ოქტომბერი | | | |
| გრასჰოპერი — იანგ ბოისი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| სენტ გალენი — ლუგანო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ქსამაქსი — სიონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სერვეტი — ციურიხი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 4 ოქტომბერი | | | |
| ბაზელი — არაუ | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლუცერნი — ლოზანა | 2,9 | 2,8 | 2,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ფრთხილად: გამოცდილია და ეშმაკი!



სდასუმ ვერც ამჯერად შეაჩერა ტუღუში (5)

| 2 ოქტომბერი. ვერის ბაღი |
|---|
| **სდასუ 80:96 სტუ** |
| სდასუ: ორჯონიკიძე, ჩხეიძე (30), გიგაური (15), გიგაშვილი (3), ქევხიშვილი (4); ხარაძე (2), ახობაძე (12), მაჭარაძე (2), არჩვაძე, აბულაძე (12) |
| სტუ: მიქაძე (8), ტუღუში (18), ნაცვლიშვილი (6), ნოზაძე (6), ოთიურიძე (20); ჩავლეიშვილი (4), მოისწრაფიშვილი (9), სუხიშვილი (1), ჩერქეზიშვილი (4), ლოსაბერიძე (13), მინაშვილი (7) |
| მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, დავით ბერეკაშვილი |
| დელეგატი: როლანდ ხომერიკი |

სდასუ-ს ერთი ცუდი თვისება დასჩემდა, რასაც ვერაფრით მოვუწონებთ. მეოთხე წელია, ქვეყნის უმაღლეს ლიგაში გამოდის და თუ წინა წელს პრიზიორთა მარაქაშიც გაერია, იქამდეც ერთობ საპატიო, პლეი ოფის სერიებამდე აღწევდა, რაც თვითმყოფადი უნივერსიტეტისთვის, დამეთანხმებით, კარგ შედეგად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ წერილის თავში გამოთქმული გულისწყრომა უსაფუძვლო როდია — სეზონი დამთავრდება თუ არა, ტრადიციისამებრ, გუნდიც იშლება. მოთამაშეები აქეთ-იქით მიმოიფანტებიან და...

ასე იყო შარშან, იმის წინაც... ჰოდა, გუშინ, ვერის ბაღში, ორი სტუდენტური გუნდის შეხვედრისას სდასუელთა შარშანდელი შემადგენლობიდან ოდენ სამი კაცი რომ ამოვიცანით, თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არ გაგვკვირვებია. არა, ესქსდასუელები სხვებიც ვიხილეთ, მაგრამ უკვე მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

სიტყვა კი გაგვიგრძელდა, მაგრამ მთავარი ჯერ არ გვითქვამს. რა თქმა უნდა, გვიხარია, რომ გუნდი, რომელიც შინაურ პირველობას თავისებურ ხიბლს ჰმატებს და მუდამ ფავორიტებში ტრიალებს, ღვთის წყალობით თუ კეთილი ადამიანების შემწეობით კვლავაც გაახარებს ერთგულ ქომაგთ, მაგრამ იმაზე რაღას იტყვით, რომ სდასუ პირველად 18 სექტემბერს შეიკრიბა, ჩემპიონატამდე სულ რაღაც ათი დღით ადრე. მართალია, მოასწრო და ფოთური შეკრებაც მოიწყო, მაგრამ იქ ხომ ძირითადად „ფიზიკაზე" იმუშავა, რაც მერე და მერე უფრო წაადგებათ. აი, ბურთთან მიმართებაში კი, ნუ მიწყენენ და, მწყრალადაც გამოიყურებოდნენ.

აკი მატჩის შემდეგ მათმა მთავარმა მწვრთნელმა, ნუგზარ კანდელაკმაც გვითხრა: გუნდი კი დავაკომპლექტეთ, მაგრამ ბურთთან მუშაობა ნამდვილად ვერ მოვასწარით, ბიჭებიც შეუთამაშებელნი არიან. ერთი ამხანაგური თამაშიც არ გვქონია და აბა, რა იქნებოდაო.

ახლა ცოტა სტუ-ზეც ვთქვათ და შემდეგ თანმიმდევრულად მივყვეთ მატჩის მსვლელობას.

ეს გუნდი ამ ზაფხულს ძალიანაც მოძლიერებულა. ჩერქეზიშვილი, ნაცვლიშვილი, ოთიურიძე, მიქაძე, ლოსაბერიძე, ტუღუში — ეს ის ბიჭები არიან, წლეულს სტუ-ს წარმატებულ გამოსვლას საფუძველი რომ უნდა ჩაუყარონ. მათი მწვრთნელებიც, თამაზ ოქრუაშვილი და მერაბ ცირეკიძე, ქართულ კალათბურთში ჭიპმოჭრილი ხალხია და ამჯერადაც საინტერესო გუნდით წარდგნენ მაყურებელთა წინაშე. მათ წინასაჩემპიონატო მოსამზადებელი ეტაპიც საკმაოდ ნაყოფიერად განვლეს და, ბუნებრივია, შეგირდების უკეთ მზადყოფნამ და საბრძოლო შემართებამ ნაყოფიც გამოიღო.

თუმცა ანგარიში გიგაშვილის ზუსტი პერსონალურის შემდეგ სდასუელებმა გახსნეს, რასაც ვასილ ოთიურიძემ მალევე უპასუხა. ამის შემდეგ გუნდები ზედმეტად ანერვიულდნენ, რაც უამრავ ტექნიკურ წუნში გამოიხატა. მთელი ორწუთნახევარი ორივე მხარე უშედეგოდ უტევდა, რასაც ქევხიშვილმა მოუღო ბოლო. ისევ ოთიურიძემ გამოიდო თავი და — 3:3. ამის შემდეგ ინიციატივას მთლიანად სტუ დაეუფლა. ნოზაძის სწრაფი გარღვევის შემდეგ წინაც გავიდნენ და აღარც მისცეს სდასუელებს დაწევის საშუალება.

მაგრამ არ იფიქროთ, სდასუ-მ ფარხმალი დაყარა. მოწინააღმდეგის სწრაფ და გააზრებულ თამაშს მათ შედარებით „დამდგარი" კალათბურთი დაუპირისპირეს. პირველი ტაიმის ათწუთეული მეტნაკლებად თანაბარ ბრძოლაში გაილია. სტუ ძირითადად გონივრული დაცვითა და უსწრაფესი კონტრშეტევებით ინარჩუნებდა ლიდერობას. აქ კი მატჩი დროებით შეწყდა. არა, ინციდენტი არ მომხდარა. სდასუ-ს ერთ-ერთი შეტევისას მათმა გამთამაშებელმა დუდუ ორჯონიკიძემ ერთ ეპიზოდში ფეხი ცუდად დადგა და... როგორც გაირკვა, იგი სერიოზულად დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. მის ნაცვლად შემოსული ახობაძე კი კარგად ჩაერთო თამაშში, საჭირო 3-იანიც ჩააგდო, მაგრამ თამაშის იმპაზე მოსულ სტუ-ს დაცვაში ძნელადღა უმკლავდებოდა. ამად იყო, ერთხანს მეტოქე 13 ქულით რომ გაექცათ, მაგრამ პირველი ნახევრის მიწურულს სდასუ-ს პრესინგმაც გამოიღო შედეგი და სტუ შესვენებაზე 4-ქულიანი უპირატესობითღა გაუშვა 36:40.

მეორე ნახევარიც დაძაბულად დაიწყო. ჯერ ლოსაბერიძემ და ჩხეიძემ ჩააგდეს რიგრიგობით, შემდეგ აბულაძემ და იმავე ლოსაბერიძემ, მაგრამ ოთიურიძის შეჩერება შეუძლებელი იყო. ქულები ხომ აგროვა და გამოცდილების თუ საკალათბურთო ეშმაკობის ხარჯზე ტანმაღალი მეურვეები თანდათან გზიდან ჩამოიშორა — თავდაპირველად მსაჯებს გიგაშვილი გააგდებინა, კახას ქევხიშვილი და ხარაძეც მიადევნა და სდასუელებს სიმაღლეში უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაუქარწყლა.

ამის შემდეგ უკვე ლოსაბერიძემ და ტუღუშმა აიწყვიტეს. ისედაც დაშლილი სდასუელთა დაცვა კიდევ უფრო შეავიწროვეს და კალათიც ბლომად „უბომბეს". თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთი რჩებოდა, რომ 79:59 დაწინაურდნენ.

მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. სდასუელებმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, სტუ-ს ვერაფერი მოუხერხეს და მეტოქეთა ბოლო ჩხვლეტებმა მხოლოდ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 80:96.

**გიორგი ბიძაშვილი**

## 1 ტური

| 2 ოქტომბერი. ვერის ბაღი |
|---|
| **თსუ 93:89 მაკაბი** |
| თსუ: მგალობლიშვილი (18), წოწელია (10), გელაშვილი (3), ხელაშვილი (17), ცქიტიშვილი (14); არსიაშვილი (5), დოლიძე (14), მარკოიშვილი (12) |
| მაკაბი: ჩხაიძე (9), ანდღულაძე (13), პაპასკირი (16), ტალაბაძე (22), ფერიაშვილი (27); რიჟინაშვილი, მჭედლიშვილი (2) |
| მსაჯები: ლაშა თოიძე, ალექსანდრე როსტომაშვილი |
| დელეგატი: ქიქოძე |

# მაკაბელები ბოლომდე ვერ აჯანყდნენ

გუშინ ევრის პარკში მოსულ კალათბურთის მცირერიცხოვან ქომაგთ იმედები არ გაცრუებიათ. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი მეტად საინტერესო და დაძაბული გამოდგა...

ალბათ გახსოვთ, რომ თსუ-ს თავკაცობამ კორაჩის თასზე მოასპარეზე რუსთაველებს ჟღენტი და ბაბიაშვილი ათხოვა. ახლა კი აღმოჩნდა, რომ განათხოვრებულნი ეროვნულ ჩემპიონატში საასპარეზოდ „აზოტის" რიგებში დარჩებიან. ამით სტუდენტების ძლიერება საკმაო შეირყა. ძნელია სეზონის წინ ორი წამყვანი მოთამაშის დაკარგვა, როცა გუნდი ჩემპიონობაზე ფიქრობს... მაგრამ თსუ-ს მწვრთნელებს ნუგეშად ის რჩებათ, რომ ტანმაღალი ცქიტიშვილი დაიმატეს და ერთგვარი კომპენსაცია შესძლეს. ასე რომ, პრობლემების მიუხედავად, თსუ მეტოქეებისთვის მაინც ანგარიშგასაწევ ძალად რჩება.

რაც შეეხება „მაკაბის", პრობლემები მათაც აქვთ. მიუხედავად ამისა, მაინც გაძლიერებულნი ჩანან, რადგან ახალწვეულნიც ჰყავთ. ჩხაიძე და პაპასკირი შარშან ასკ-ში იყვნენ და იქ ლიდერის ჭაპანსაც ეწეოდნენ. „მაკაბი" საფუძვლიანად არის მომზადებული წლევანდელი ჩემპიონატისთვის და, შესაბამისად, ამბიციაც მოემატათ.

ასე რომ, მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ორი ტოლ-სწორი მეტოქე იდგა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ორივე გუნდი პირველ შეხვედრას მართავდა, დაძაბულობა და ვნებათაღელვა ამ მატჩს არ უნდა მოჰკლებოოდა და ასეც მოხდა.

პირველი შეტევის უფლება სტუდენტებმა მოიპოვეს და გამოცდილ ხელაშვილს ორი ქულის მოპოვება არ გასჭირვებია. „მაკაბის" საპასუხო შეტევამაც არ დააყოვნა და ანდღულაძემ ზუსტი სამქულიანი მიითვალა. შემდეგ ერთხანს ორივე გუნდი უშედეგოდ უტევდა ერთმანეთს. პირველად გონს სტუდენტები მოეგნენ და ისევ ხელაშვილის სროლით იხეირეს. პასუხად კი კვლავ ანდღულაძის სამქულიანი მიიღეს.

უნდა ითქვას, რომ ორივე გუნდის მოთამაშეები ხშირად სცოდავდნენ და შესაბამისად ჯარიმდებოდნენ კიდეც. ჯარიმებით თავიდან თსუ დაწინაურდა: საწყის ხუთ წუთში მგალობლიშვილს ორი პერსონალური მოუგროვდა. მას არც თანაგუნდელი ცქიტიშვილი ჩამორჩა. მერე „მაკაბიც" არ დარჩა ვალში და წონასწორობაც დამყარდა.

და მაინც, პირველი მეშვიდე გუნდური ჯარიმა ტაიმის შუაში თსუ-მ მიიღო. ამდროისთვის იგი სამი ქულითაც წინ იყო (20:17). ამის შემდეგ „მაკაბი" პრესინგზე გადავიდა და სწრაფი კონტრიერიშები დაიწყო. ფერიაშვილის და ჩხაიძის ხეირიანი გარჯით „მაკაბი" მატჩში პირველად დაწინაურდა — 22:20.

დაწინაურებით ფრთაშესხმული „მაკაბი" სტუდენტებს შეტევას შეტევაზე უჭერდა და კონტრიერიშებსაც აგვირგვინებდა. თსუ-ს დაღლა დაეტყო და მხოლოდ ორი ქულის გაკეთება შეძლო. ამას საკუთარ ფარზე ცუდად გარჯას დაემატა. ნერვიულობის გამო თავდასხმაში ჯარიმდებოდნენ. მართალია, „მაკაბის" საჯარიმოების გამოყენება უჭირდა, მაგრამ ასხლეტილი ბურთი მათ რჩებოდათ და ზუსტი ორქულიანებით თანდათან ზრდიდნენ სხვაობას. ასე რომ, ორწუთიან მონაკვეთში „მაკაბიმ" 31:22 დაწინაურდა.

15 წლის ცქიტიშვილი და გამოცდილი ხელაშვილი ცდილობდნენ, თსუ-ს თამაშში გარდატეხა შეეტანათ. მათ გარჯას მგალობლიშვილის ზუსტი სამქულიანით დაემატა. ახლა „მაკაბის" დაეტყო დაღლა — არაზუსტ შეტევებს არაზუსტი გადაცემები მიაყოლეს, რის შედეგადაც სტუდენტებმა სხვაობა ორ ქულამდე შეამცირეს — 33:31.

ტაიმის დამთავრებამდე დარჩენილ ოთხ წუთში მეტოქეები ეშხში შევიდნენ და თამაში სწრაფ ტემპი წარიმართა, თუმც ეს ანგარიშს დიდად არ დასტყობია, რადგან მოწინააღმდეგენი ხშირად ცდებოდნენ. ტაიმის კულმინაცია ბოლო წამებში დადგა, როცა 3 ქულით წინ „მაკაბი" იყო და ბურთსაც ისინი ფლობდნენ. თსუ-მ გადაცემა ჩაჭრა და წოწელია კალათში ორქულიანს ათავსებს.

მგალობლიშვილი შეგნებულად ჯარიმდება ჩხაიძესთან ორთაბრძოლაში. ეს უკანასკნელი ორი სროლიდან ერთს ათავსებს კალათში. თსუ-ს ამანაც ვერ უშველა, რადგან დარჩენილი ორი წამი შეტევის დასაგვირგვინებლად არ ეყო. 42:40 მაკაბელთა სასარგებლოდ — ასეთი ანგარიშით გავიდნენ შესვენებაზე გუნდები.

მეორე ტაიმში თამაშის სადავეები „მაკაბიმ" იგდო ხელთ. მის მეტოქეს დასვენება სასიკეთოდ ვერ წაადგა. თსუ დაბნეული ჩანდა, ხშირად ჯარიმდებოდა. ერთადერთი კაცი, ვინც სტუდენტების გამოფხიზლებას ცდილობდა, ხელაშვილი იყო, მაგრამ მარტო რას გახდებოდა. „მაკაბი" კი მოწინააღმდეგეს უზუსტობით კარგად სარგებლობდა და ანგარიშსაც თავის სასარგებლოდ ზრდიდა. პირველი 5 წუთი „მაკაბის" ცხრაქულიანი უპირატესობით მიილია — 53:44. ამასობაში ხელაშვილის გარჯამ ნაყოფი გამოიღო და პარტნიორებმაც მხარი აუბეს. მგალობლიშვილის სამქულიანმა თსუელები გამოაცოცხლა, ხოლო მაკაბელები საკმაოდ დააბნია. თამაშში გარდატეხა შეიტანა დოლიძის გარღვევამ და საჯარიმოში ერთი ქულით თსუ წავიდა წინ — 61:60. ამას კი მაკაბელთა ორი არაზუსტი შეტევა და ხშირი დაჯარიმება მოჰყვა. მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე 7 პერსონალურიც პირველად მათ დაუგროვდათ.

მალე ჩხაიძე ხუთი პერსონალურის გამო ტოვებს მოედანს, რასაც „მაკაბის" დაცვაში სუსტი თამაშიც ერთვის. მალე ჩხაიძეს მჭედლიშვილიც უერთდება და თითქოს თსუ-ს აღარ უნდა გაუჭირდეს მოგება, მაგრამ ახალთაობას ხელისშემშლელად ტალაბაძე მოევლინა — ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და „მაკაბი" მეტოქეს ერთ ქულაზე მეტით არ უშვებს წინ.

„მაკაბის" მოგების შანსს ისიც მატებს, რომ ხელაშვილი ხუთი პერსონალურის გამო ტოვებს მოედანს, მაგრამ ანდღულაძე არაზუსტად ესვრის სამქულიანებს და წუთით ადრე თსუ წინაა — 90:87. „მაკაბი" პრესინგს მიმართავს, მაგრამ ამანაც ვერ უშველა და საბოლოოდ მგალობლიშვილის ზუსტი სროლით თსუ-მ მძიმე ბრძოლაში გაიმარჯვა.

**მამუკა ტუღუში**

| ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური |
|---|
| 30 სექტემბერი — 1 ოქტომბერი |
| **A ჯგუფი** |
| **ფენერბაჰჩე 96:75 ტაუგრესი** |
| ფენერბაჰჩე: აბდულ რაუფი (21), აბი, აფაიდინი (2), ენდენი (2), კალამიზა, ქუთლუაი (28), მაკრეი (14), მილიჩი (12), ტაბაკი (17), თოფსაკალი |
| ტაუგრესი: ანგულო (9), ბენეტი (13), ბერიჩი (8), ქაპილი (10), გარბახოსა (7), გერკე, მახოვსკი, მილერა (3), ვინტერსი (20), ცვიკერი (5) |
| **ჟალგირისი 97:81 ვარეზე** |
| ჟალგირისი: ადომაიტისი (16), ბოუი (18), ედნი (7), მასიულისი (16), მასოკლიუნასი (8), შტომბერგასი (17), ზიდეკი (2), ჟუკაუსკასი (13) |
| ვარეზე: დე პოლი (12), გალანდა (5), ჯადინი, მენეგინი (14), მრშიჩი (17), პოცეკო (18), სანტიაგო (12), ვესკოვი (3), ზანუსი |
| **პო ორტეზი 74:71 ავტოდორი** |
| პო ორტეზი: აიშა (6), ფატუ (10), ფუარე (16), გადუ (9), გრანტი (9), ლორთრიჯი (7), სხოლტენი (4), სმიტი (13) |
| ავტოდორი: ეინიკისი (14), ფეტისოვი, ხრიაპა, მილოსერდოვი (8), ნვოსუ (15), ზ. პაშუტინი (16), ე. პაშუტინი (14), შეპელევი, შტელმახერსი (2), ჩიკალკინი (2) |
| **B ჯგუფი** |
| **პანათინაიკოსი 77:71 ცრვენა ზვეზდა** |
| პანათინაიკოსი: ალვერტისი (4), ბოდიროგა (18), ბუდურისი (2), ეკონომუ (10), ჯენტილე (7), კოხი (6), მალოსი, პატავუკასი (3), რაჯა (27) |
| ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (10), იქსტრატიევიჩი (6), პავიჩევიჩი (3), პეკოვიჩი (7), პოპოვიჩი, რადმანოვიჩი (8), სტანოიევიჩი (14), ტოპიჩი (15), ვიდაჩიჩი (8) |
| **ციბონა 54:61 ტდკ** |
| ციბონა: ატკინსი (10), გირიჩეკი (4), გრეი (10), გრგატი (2), კრსტიჩი (2), მარცელიჩი (8), ნიჩევიჩი (2), პრკაჩინი (16), ვრანკოვიჩი |
| ტდკ: კაპდევილა (11), კრეუსი (10), გონსალესი, მილზი (14), მოტი (22), ვასკესი (4), მონტანესი, სინგლა |
| **მაკაბი 66:68 ეფესი** |
| მაკაბი: ალექსანდერი (16), ანდერსონი (9), გუდესი (5), ჰენფელდი (4), ლოჩარი (5), პოპა (5), შარფი (4), შეფერი (18) |
| ეფესი: აიდინი (6), ბესოქი (7), დრობნიაკი (18), ევლიაოღლუ (2), ნაუმოსკი (16), სარიჯა (15), თურქოღლუ (4) |
| **C ჯგუფი** |
| **ალბა 83:85 ოლიმპიაკოსი** |
| ალბა: ალექსისი (23), ბოგოევიჩი (7), ფემერლინგი (9), გარისი (16), ჰამინკი (9), ლუტკე (8), ნაკიჩი (9), პეშიჩი (2) |
| ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (3), ფასულასი (11), გოლდვაიერი (20), კომაზეცი (19), ობერტო (2), პაპანიკოლაუ (3), როჯერსი (5), სულისი, ტარლაკი (11), ცალიკისი (11) |
| **ცსკა 82:76 ულქერი** |
| ცსკა: დაინეკო (18), დომანი (2), კარასიოვი (20), კისურინი (6), კუდელინი (8), ნოსოვი (5), პანოვი (18), ტიხონენკო, ვეტრა (2), ფაითი (3) |
| ულქერი: ალიპოჯიჩი (4), ანდერსონი (17), ერდენაი (14), ფირინჯიოღლუ (16), კოტუროვიჩი (9), რენკინი (9), თექინალფი, ილდირიმი (7) |
| **ზადარი 55:65 კინდერი** |
| ზადარი: ერიავეცი, კოვაჩიჩი (14), ლუისი (4), მალოჩა (2), მუიაჯიჩი (10), ნაგლიჩი (12), პესტიჩი, ი. რუჟიჩი (9), მ. რუჟიჩი (4), ზორზი |
| კინდერი: აბიო (12), კრიპა, ფროსინი, მაკრისი (21), ოსალივანი (4), პასპალი (10), რიგოდო (12), სკონოჩინი (6) |
| **D ჯგუფი** |
| **ვილერბანი 80:66 პაოკ** |
| ვილერბანი: რადი (12), სონკო (14), პერსევო, დიგბო (15), ბლომი (1), ჰენრი (15), ადამსი (3), ბილბა (13), პალმერი (7) |
| პაოკ: კოლდებელა, ნიკოლაიდისი (7), ბერი (7), მასლარინოსი, ბალოიანისი (18), კინგი (24), მორალესი (6), დესპოსი, იანულისი (4) |
| **ოლიმპია 76:84 რეალი** |
| ოლიმპია: მაკდონალდი (5), ზდოვცი (24), ტეილორი (6), კრალევიჩი (4), იურკოვიჩი (5), სტეფანია (17), მუტავჯიჩი (2), დანეუ (9), დუშჩაკი (4) |
| რეალი: ლასა (8), სანტოსი (5), ერეროსი (24), სტრიულესი (16), ბერდი (16), მარტინი, ანგულო (8), ლიუკი (7) |
| **ტიმსისტემი 77:58 სამარა** |
| ტიმსისტემი: ჩაკიგი (9), დილგლაი (5), ფუჩკა (10), გაი (2), კარნიშოვასი (23), ლაცისი (11), მულაომეროვიჩი (6), მაიერსი (11) |
| სამარა: ანციფეროვი, დოლოპჩი (2), ევანსი (21), გრაჩოვი (7), ჰიუსტონი (17), კოსელიოვი, მალცევი (2), მელეშჩენკო, პეტენევი (9), საიტანი |

ევროლიგა. ოლიმპია — რეალი

# სტეფანია: თავდაჯერებამ დაგვღუპა

გუშინ სლოვენიაში ვლადიმერ სტეფანიას შევეხმიანეთ და „ოლიმპია" — „რეალის" ევროლიგის მატჩზე დავეკითხეთ.

**— ვოვა, აქი „რეალს" მოვუგებთო?**

— დარწმუნებული ვიყავით და ამ თავდაჯერებამ დაგვღუპა. თამაში რაღაც მოშვებულად დავიწყეთ, ესპანელებიც თავიდანვე დაწინაურდნენ, მერე კი, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მატჩში გარდატეხა ველარ შევიტანეთ, მადრიდელმა ერეროსმა კი გაგვაწამა, რამდენიც ისროლა, თითქმის ყველა ჩააგდო.

**— მწვრთნელმა არც ამჯერად დაგაყენა ხუთეულში...**

— ეგ არაფერი, საკმაო ხანს დავყავი მოედანზე და 17 ქულაც მოვაგროვე, მაგრამ „ოლიმპიას" კი ველარ ვუშველე.

**— მესამე ტურში სალონიკში პაოკ-ს ხვდებით...**

— ბერძნებთან სტუმრად გაგვიჭირდება, მაგრამ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

# ევროლიგაში შექსიუგოსლავიელებოდ?

ჩამთავრდა ევროლიგის მეორე ტური და უდანაკარგო ქვეყანაც აღარ დარჩა. კლუბთაგან კი ექვსნი აგრძელებენ წაუგებელ სვლას — ორ-ორი ბერძნულ-თურქული, თითოც რუსული და ფრანგული.

ბერძნული და თურქულიო ვთქვით, მაგრამ ისიც გავარკვიოთ, ვილა დარჩა ამ გუნდებში ნაღდად ბერძენი და თურქი. ამ მხრივ ყველაზე შორს პირეოსის „ოლიმპიაკოსი" წასულა — მეორე ტურში, გერმანული „ალბას" წინაამდეგ სამი ბერძენი გამოიყვანა. დანარჩენები ფრანგ-ხორვატ-ესპანელ-ამერიკელები არიან. არა, კიდევ ორი კაცი პასპორტით ბერძენია, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა ვინმეს დაავიწყდეს დრაგან ტარლაკის (ბერძნულად — კონსტანტინიდისი) ხორვატობა ან დუშან ცალიკისის (ნამდვილი გვარი — ვუკჩევიჩი) იუგოსლავიელობა. ეს კიდევ რაა, „ოლიმპიაკოსს" ორი ამგვარი გადაჯიშებული სათადარიგოებში უზის: ექს-ხორვატი მილან ტომიჩიანაკოპულოსი და ექს-ყაზახი ალექსიოს სავრასენკო-ამანატიდისი. რას ერჩი, მოაქვს ამ ხალხს საბერძნეთისთვის დიდება და...

„პანათინაიკოსს" უნამუსია და ერთბაშად ხუთი ნაღდი ბერძენი გაუყვანია პირწმინდა იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან". ესენი კი ყოფილმა და ახლანდელმა თანამემამულეებმა ხორვატმა დინო რაჯამ და იუგოსალვიელმა დეიან ბოდიროგამ მასიკვდილეს. რაჯამ 27 ქულას 9 მოხსნა დაურთო, ხოლო ბოდიროგამ 18 ქულა არ იკმარა და თანაგუნდელებს 5 პასიც ჩამოურიგა, იმის ნახევარი, რაც მთელმა „ცრვენა ზვეზდამ" ერთად აღებულმა. ამ ორმა ვარსკვლავმა კი ერთად ერთნახევარჯერ მეტი ქულა გააკეთა, ვიდრე „პანათინაიკოსის" დანარჩენმა შვიდმა კაცმა.

ასევე დაუმარცხებელი თურქული „ეფესის" ქულათა ნახევარი იუგოსლავიელმა ღრობნიაკმა და მაკედონელმა ნაუმოსკიმ მიითვალეს. თუმცა, ამ გუნდს მეტი უცხოელი არც ჰყოლია და საკმაოდ ინტერნაციონალური „მაკაბის" დასამარცხებლად ესეც ეყო. „ფენერბაჰჩეში" ყველაზე შედეგიანი თურქი ქუთლუაი კი იყო, მაგრამ ხორვატ ტაბაკს, სლოვენ მილიჩს და ამერიკელ აბდულ რაუფსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას. ამ ხალხს მოკრძალებულად შეეწია ქართველი ზაზა ენდენი (ენდელაძე): მან სულ 4 წუთი ითამაშა, ერთხელ ისროლა კალათში და ისიც ზუსტად.

ევროლიგის ძველი ბინადარი ქართველის ვლადიმერ სტეფანია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და როცა „რეალი" 26:14 დაწინაურდა, მერე შეუშვეს მოედანზე. სტეფანიასთან ერთად თამაშში დანეუც ჩაერთო და ამათ უცებ გამოასწორეს საქმე. შესვენებაზე „რეალი" 5 ქულას იგებდა. 31-ე წუთზე წინ უკვე „ოლიმპია" იყო — 60:55, 35-ე წუთზე კი უპირატესობას ინარჩუნებდა — 65:62, მაგრამ...

სანამ არსებობს ალბერტო ერეროსი, საფრთხეს მუდამ ელოდე. რამდენადაც კარგი იყო ოლიმპიელი ზდოვცი შეტევაში, იმდენად შეარცხვინა ერეროსმა იგი დაცვაში. თუმცა, რატომ მარტო ზდოვცი? შესანიშნავმა ესპანელმა არავინ დაინდო.

ესპანეთი ტდკ-მაც გაახარა, როცა ხორვატულ „ციბონას" ზაგრებში მოუგო. ხორვატია კი მეორედ „ზადარმა" დაამწუხრა — მანაც შინ წააგო „კინდერთან". ვისი ხელით? რა თქმა უნდა, პირველ რიგში ექს-იუგოსლავიელებისა: მკრის-ნესტეროვიჩის და პასპალის. კიდევ ერთ ამათ თანამოძმეს პრედრაგ დანილოვიჩს ტრავმის გამო კვლავ არ უთამაშია. ისე, ევროპული გუნდების შემადგენლობების გადახედვისას ძნელია დაიჯერო, რომ ხორვატიაში კიდევ დარჩა ძლიერი კალათბურთელი. ასეცაა, მაგრამ პირტიტველა ყმაწვილებიანი და ერთ-ორ ვეტერანიანი ხორვატული კლუბები ევროლიგაში მაჩანჩალებად მაინც არ ითვლებიან.

მეორე ტურში ასპროცენტიანი შედეგი ფრანგულ კლუბებს ჰქონდათ. თუკი „ვილერბანმა", ასე თუ ისე იოლად მოუგო სტაბილურ პაოკ-ს, „პო ორტეზს" ერთობ გაუჭირდა ბოლო წლებში მომძლავრებულ რუსულ „ავტოდორთან". უსახურმა რუსულმა „სამარამ" კი ამნაირადვე წააგო „ტიმსისტემთან". დერჟავის პრესტიჟი აგერ უკვე მერამდენედ არმიამ დაიცვა — ცსკა-მ შინ აკადემიურად მოუგო „ულქერს".

| A ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფენერბაჰჩე | ● | 96:75 | 99:84 | 19.11 | 15.10 | 22.10 | 2 | 0 | 195:159 | 4 |
| 2 | ტაუგრესი | 12.11 | ● | 15.10 | 88:84 | 17.12 | 19.11 | 1 | 1 | 163:180 | 3 |
| 3 | ქალგირისი | 5.11 | 10.12 | ● | 22.10 | 19.11 | 97:81 | 1 | 1 | 181:180 | 3 |
| 4 | პო ორტეზი | 8.10 | 5.11 | 17.12 | ● | 74:71 | 10.12 | 1 | 1 | 158:159 | 3 |
| 5 | ავტოდორი | 10.12 | 22.10 | 8.10 | 12.11 | ● | 73:70 | 1 | 1 | 144:144 | 3 |
| 6 | ვარეზე | 17.12 | 8.10 | 12.11 | 15.10 | 5.11 | ● | 0 | 2 | 151:170 | 2 |

| B ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | ● | 21.10 | 14.10 | 18.11 | 77:71 | 5.11 | 2 | 0 | 161:133 | 4 |
| 2 | ეფესი | 16.10 | ● | 5.11 | 14.10 | 8.10 | 12.11 | 2 | 0 | 136:133 | 4 |
| 3 | ტდკ | 10.12 | 67:68 | ● | 12.11 | 22.10 | 8.10 | 1 | 1 | 128:122 | 3 |
| 4 | ციბონა | 8.10 | 9.12 | 54:61 | ● | 5.11 | 17.12 | 1 | 1 | 123:127 | 3 |
| 5 | ცრვენა ზვეზდა | 11.11 | 19.11 | 17.12 | 66:69 | ● | 15.10 | 0 | 2 | 137:146 | 2 |
| 6 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 19.11 | 22.10 | 10.12 | ● | 0 | 2 | 128:152 | 0 |

| C ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცსკა | ● | 22.10 | 15.10 | 82:76 | 5.11 | 19.11 | 2 | 0 | 152:139 | 4 |
| 2 | ოლიმპიაკოსი | 17.12 | ● | 5.11 | 8.10 | 12.11 | 15.10 | 2 | 0 | 157:150 | 4 |
| 3 | კინდერი | 9.12 | 67:72 | ● | 22.10 | 8.10 | 12.11 | 1 | 1 | 132:127 | 3 |
| 4 | ულქერი | 12.11 | 19.11 | 17.12 | ● | 15.10 | 62:55 | 1 | 1 | 138:137 | 3 |
| 5 | ალბა | 63:70 | 83:85 | 18.11 | 10.12 | ● | 22.10 | 0 | 2 | 146:155 | 2 |
| 6 | ზადარი | 7.10 | 10.12 | 55:65 | 4.11 | 16.12 | ● | 0 | 2 | 110:127 | 2 |

| D ჯგუფი | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვილერბანი | ● | 80:66 | 17.12 | 9.12 | 7.10 | 4.11 | 2 | 0 | 158:140 | 4 |
| 2 | პაოკ | 11.11 | ● | 7.10 | 87:71 | 9.12 | 22.10 | 1 | 1 | 153:155 | 3 |
| 3 | ოლიმპია | 22.10 | 19.11 | ● | 76:84 | 57:45 | 10.12 | 1 | 1 | 133:129 | 3 |
| 4 | რეალი | 15.10 | 5.11 | 12.11 | ● | 17.11 | 8.10 | 1 | 1 | 159:163 | 3 |
| 5 | ტიმსისტემი | 18.11 | 14.10 | 5.11 | 21.10 | ● | 77:58 | 1 | 1 | 122:115 | 3 |
| 6 | სამარა | 74;78 | 17.12 | 14.10 | 19.11 | 11.11 | ● | 0 | 2 | 132:155 | 2 |





თორმეტი წლის შერპი

**გუშინწინ, საქართველოს მთამსვლელთა მეორე ქართული ჰიმალაური ექსპედიციის ბოლო ამბებს რომ გაცნობდით, გახსენეთ შერპებიც, რომელთა დახმარება ჩვენებს დასჭირვებიათ: ორი შერპი მზარეულად დაუქირავებიათ. ამას გარდა, ჩვენს ბიჭებს მანასლუს ფერდობებზე, სადღაც 7000 მეტრის სიმაღლეზე, სხვა ექსპედიციის შერპებთან ერთად მარშრუტიც დაუმუშავებიათ. ახლა სწორედ შერპებზე მოგითხრობთ.**

# შერპები

ოციანი წლების დასაწყისში შერპები პირველად მიიზიდეს თავიანთ ექსპედიციებში უცხოელმა ჰიმალაის მკვლევარებმა. მას შემდეგ ჰიმალაის მთებში არც ერთი ექსპედიცია — მთამსვლური, სამეცნიერო თუ ტურისტული ჯგუფი აღარ შედიოდა შერპების გარეშე.

ეს იყო ტრადიცია, გნებავთ კანონი, რომელსაც გვერდს ვერავინ უვლიდა. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ეს ტრადიციაც ბოლო წლებში დაირღვა. როგორც ჩვენი ექსპედიციის მეთაურმა გია თორთლაძემ გვითხრა, ბოლო წლებში ჰიმალაის მწვერვალებზე თავმოყვარე, სერიოზული და ძლიერი მთამსვლელები შერპთა გარეშე ადიან. მათი აზრით, შერპთა დახმარება ბარგის საზიდად, მარშრუტის დასამუშავებლად, გზის გასაკვალად და ბანაკის მოსაწყობად დასავლეთელ მთამსვლელთა პრესტიჟს არას მატებს.

მაგრამ, როგორც ვთქვით, წინათ შერპთა გარეშე ჰიმალაის მთებში არავინ დადიოდა. 1982 წელს, როცა საბჭოთა მთამსვლელებმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრეს, მათი ჯგუფთან ერთად ჩვენც ვიარეთ.

მაღალმთიან სოფელ ლუკლში, რომელიც 3400 მეტრზე მდებარეობს, შერპები და მზიდავები თავიანთი იაკებით ჩვენც დაგვხვდნენ. ოცდაორ კაცს ამდენივე მზიდავი, 10 იაკი, 6 მზარეული, 2 შეფემზარეული და 5 შერპი გვემსახურებოდა. ამ ლაშქარს სათავეში ედგა შერპი ზამბა შერპა, რომელიც მაკალუზე 8000 მეტრამდე ასული და სირდარის წოდებაც დაუმსახურებია. მის ხელმძღვანელობით ჩვენი რაზმი დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ძირში მდებარე საბაზო ბანაკებისკენ (5600მ) დაიძრა. იქით მიმავალ ბილიკზე მრავლად გვხვდებოდა ბრტყელი ქვის გროვები, რომლებზეც ბუდისტთა ლოცვების ტექსტი იყო ამოტვიფრული. იქვე ალემართათ ჭოკები, რომლებზეც ასევე სალოცავი დროშები ფრიალებდნენ.მდინარეებზე გვხვდებოდა ჩვენებური წისქვილის მსგავსი ხუხულებიც, სადაც წყლის ჭავლი სალოცავ ბორბლებს ატრიალებდა, რაც შერპთა ბედის ჩარხის ტრიალსაც გვახსენებდა, რადგან ისინიც ბუდისტები არიან.

შერპებმა იმთავითვე გამოიჩინეს თავი როგორც ძლიერმა მთამსვლელებმა. დედამიწის უმაღლეს მწვერვალებზე პირველამომსვლელთა სიაში მრავლად არიან შერპები, მაგრამ ისინი ყოველთვის როდი იმარჯვებენ.

წეს-ჩვეულებისამებრ კოცონზე კი არ წვავენ, არამედ თოვლის სამარეში ასაფლავებენ, მაგრამ ბევრი მათგანი თოვლს მიუბარებლად ჰპოვებს ხოლმე სამარეს, რადგან ისინი ზოგჯერ უგზო-უკვალოდ იკარგებიან.

ამბობენ, ნ.მდვილი შერპი მთაში იღუპებაო, როგორც ნამდვილი ჯარიკაცი ბრძოლის ველზე და ამით ყველაფერია ნათქვამი. ჰიმალაის მთებში შერპებზე ბევრი, ალბათ, არც ერთი ხალხი არ დაღუპულა. 1922 წელს ევერესტის კალთებზე შვიდმა შერპმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

1937 წელს ნანგა ჰარბატის დასამორჩილებლად გერმანელებთან ერთად შერპებიც წავიდნენ. შვიდი გერმანელი და ცხრა შერპი ცოცხალი ველარ დაბრუნდა — ღამით მოულოდნელად მომწყდარმა ზვავმა კარვებში მძინარენი თან ჩაიტანა.

შერპებს უყვართ მთები და ადამიანები. ამ სიყვარულის სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლე დაუფიქრებლად მიაქვთ ზვარაკად. ისინი იღუპებიან არა მხოლოდ ზვავსა და ქვათა ცვენაში, ყინვასა და ქარბუქში, არამედ სხვათა გადარჩენის დროსაც.

1934 წელს შერპები გერმანელ მთამსვლელებთან ერთად შორეულ ქაშმირში წავიდნენ, რათა ნანგა ჰარბატზე ასვლა ეცადათ. იქიდან ოთხ გერმანელთან ერთად ექვსი შერპი ცოცხალი ველარ დაბრუნდა. ისინი ძლიერ ქარბუქში დაიღუპნენ. მათი ჯგუფიდან ერთი შერპი ექსპედიციის მეთაურ ვილი მიორკლთან ერთად მიზანთან სულ ახლოს იყო, როცა ქარბუქი ამოვარდა და დაშვება დაიწყეს, მაგრამ ისედაც ილაჯგაწყვეტილი მიორკლის სულ უფრო და უფრო ეცლებოდა ძალა. ბოლოს ქანცგაწყვეტილს განძრევაც აღარ შეეძლო, გაიალს კი მუხლში ძალა საკმაოდ შერჩენოდა, მაგრამ მიორკლის ჩამოყვანა მაინც არ შეეძლო. ექსპედიციის ხელმძღვანელის მარტოდ დატოვებას გაიალმა მასთან დარჩენა და სიკვდილი ამჯობინა. მათ გვამებს ოთხი წლის მერე მიაგნეს. ერთმანეთის გვერდით იწვნენ. მნახველთათვის აშკარა იყო, რომ გაიალმა მეტხანს იცოცხლა.

ასეთი თავგანწირვა ნიშანდობლივია შერპისთვის, რაშიც ამ ტრაგედიის მერეც მრავალჯერ დარწმუნდნენ და ახლაც რწმუნდებიან დასავლეთელი მთამსვლელები.

შერპების გამძლეობაზე საარაკო ამბებს ჰყვებიან.

როცა იკვლევდნენ დიდ სიმაღლეზე ადამიანის შესაძლებლობებს, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი და სხვა ორგანოების შემგუებლურ თვისებებს ჟანგბადის ნაკლებობის პირობებთან, აღმოჩნდა, რომ პროფესიონალი მთამსვლელებისგან განსხვავებით სიმაღლე შერპებს, ძილისას სუნთქვის რიტმი დარღვეული არ ჰქონდათ მაშინაც კი, როცა ჩასასუნთქ ჰაერში საგრძნობლად შემცირდა ჟანგბადი.

შერპების საოცარი ამტანობა ნაწილობრივ, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ ისინი დიდ სიმაღლეზე ცხოვრობენ. ამასთან, შერპი ჩვილობიდანვე ეჩვევა ლაშქრობას. დედა ბავშვს კალათში სვამს და ბარგთან ერთად წვიმასა თუ სიცხეში, თოვლსა თუ ქარბუქში ზევით-ქვევით დაჰყავს სადაც ულამდებათ, იქვე უთენდებათ.

ბევრს შერპი მზიდავის სინდრომი ჰგონია. ალმოსავლეთში მზიდავს ყლი ჰქვია. ჰოდა, თუ გინდათ რომ შერპს აწყენინოთ და გული მოუკლათ, უთხარით ყლი ხარო.

ისინი, რომლებიც კარგად იცნობენ შერპ მთამსვლელებს, მათ „ჰიმალაის ვეფხვებს" უწოდებენ. შერპს, რომელიც 8000 მეტრს გადალახავს, ოფიციალურად ანიჭებენ „მყინვართა ვეფხვის" ტიტულს. „ვეფხვთა" შორის გამორჩეულნი კი სირდარები არიან.

სირდარი შერპებისა და მზიდავების ხელმძღვანელი გახლავთ. იგი იმავე დროს ექსპედიციის უფროსის მოვალეობასაც ასრულებს.

მაშინ, 82-ში ჩვენს სირდარს კახური ქუდის მსგავსი ქუდი ეხურა. ასეთი ქუდები თურმე მხოლოდ იმ ნეპალელებს ახურავთ, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში არიან, სირდარი კი სახელმწიფო სამსახურში ითვლება. საკმარისია შერპთა და მზიდავთა მუშაობაზე ვინმემ აუგი თქვას, რომ სირდარს სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვენ. ამიტომ შერპები კეთილსინდისიერად ემსახურებიან მთამსვლელებს თუ ტურისტებს. ნიადაგ თვალებში შესციცინებენ და იმაზე მეტს აკეთებენ, რაც ევალებათ.

შერპი, ვიდრე სირდარი გახდება, მკაცრად განსაზღვრულ იერარქიულ საფეხურებს გადის. ექსპედიციასთან სიარულს ბავშვობიდანვე იწყებს, როგორც ჩვეულებრივი მზიდავი. მერე მზარეულის დამხმარე ხდება და იმავე დროს ქვედა საიერიშო ბანაკებში გადააქვს საჭურველი. მერე იგი შეფმზარეულიც ხდება და მთამსვლურ სკოლაში ეუფლება ალპინიზმის ტექნიკას. ყოველივე ამის მერე იგი მთამსვლელის მეწყვილე ხდება. შერპთაგან ყველაზე ნიჭიერნი, ძლიერნი და ამტანნი ხდებიან სირდარები ანუ ბარა-საიბები, როგორც აქ მათ უწოდებენ.

და მაინც, ეს ყველაფერი საკმარისი არაა სირდარობისთვის. საჭიროა ავტორიტეტიც.

შერპები საბაზო ბანაკამდე მზიდავებს ხელმძღვანელობენ ბარგის გადაზიდვაში. მერე ზედა ბანაკებში, სადაც მთამსვლელური გამოცდილებაა საჭირო, შერპები ეზიდებიან საჭურველს. ყოველივე ამისთვის, ცხადია, შერპებს ფულს უხდიან, მაგრამ თუ ისინი 8000 მეტრამდე აალწევენ და მწვერვალზე ასვლის სურვილსაც გამოთქვამენ, მთამსვლელებს უარის თქმის უფლება არა აქვთ. 8000 მეტრის ზემოთ შერპები მოიერიშე ჯგუფის სრულუფლებიანი წევრები ხდებიან, ალპინისტებთან ერთ თოკში ებმებიან და მიდიან. თუ მთამსვლელები კარგად იცნობენ რომელიმე შერპის ოსტატობას, ის წინასწარაც შეჰყავთ მოიერიშე ჯგუფში.

შერპები უწიგნურები არიან, მაგრამ მრავალი ქვეყნის ექსპედიციის წევრებთან ურთიერთობაში პოლიგლოტები გამხდარან.

ჰო, „შერპი" მზიდავის სინონიმი ჰგონიათ. შერპი ეროვნებაა. ამ ტომს ტიბეტურ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა უწოდა „შერპა", რაც ნიშნავს „ადამიანს აღმოსავლეთიდან".

ჯერ კიდევ ახლო წარსულში შერპების ისტორია ბურუსით იყო მოცული. მრავალი გამოკვლევის მიხედვით დასტურდება, რომ შერპები წინათ ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ ტიბეტის პროვინცია კხამში, რომელიც თანამედროვე ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ჩრდილოეთით მდებარეობს.

XV-XVI საუკუნის მიჯნაზე მონღოლთა თარეშის გამო თანამედროვე შერპების წინაპართა პირველი ოჯახები თავიანთი მამაპაპისეული მიწა-წყლიდან აყრილან და სამხრეთ-დასავლეთისკენ დაძრულან. მაგრამ მონღოლთაგან თავდაღწეულთ ახლა კამგარელი ფანატიკოსი მუსულმანის სულთან საიდ ხანის არმიამ შეუნთო ცეცხლი, როცა 1531-1533 წლებში თავს დაესხა ტიბეტს.

ისედაც განაწამები ლტოლვილები კვლავ აიყარნენ და ტანჯვა-ვაებით სამხრეთისკენ განაგრძეს გზა. მერე ჰიმალაის ნანგა-ლას ზეკარი (5716 მ.) გადმოლახეს და აღმოსავლეთ ჰიმალაიზე, უკაცრიელ ადგილზე გადმოვიდნენ.

ამ ადგილს დღეს სოლო კხუმბუს უწოდებენ. ახლა სწორედ სოლო კხუმბუ ითვლება შერპთა სამშობლოდ, სწორედ აქაა მათი საკუთარი მიწა-წყალი.

მერე და მერე, მთამსვლელობის განვითარებასთან ერთად, შერპები მთელს ჰიმალაის მოედნენ. მათი სალოცავი დროშები ფრიალებენ ინდოეთშიც, კერძოდ დარჯილინგში, განტოკში, კალიმპონგეში.

შერპები ძალზე პატარა ერის წარმომადგენლები არიან. ყოველ ათას ნეპალელზე მხოლოდ ორი შერპი მოდის, მაგრამ ამ პატარა ერმა დიდად გაითქვა სახელი, როგორც მთამსვლელთა ჩინებულმა დამხმარეებმა. მაგრამ ისინი მხოლოდ დასავლელ ალპინისტთა დამხმარეები როდი არიან. შერპები დამოუკიდებელ ექსპედიციებსაც აწყობენ, წარმატებებსაც აღწევენ, თუმცა მათი პროფესია მაინც სხვათა დახმარებაა, რაშიც ფულს იღებენ და დუხჭირ ცხოვრებას ოდნავ იუმჯობესებენ.

მაგრამ მთაში მხოლოდ ფულის გულისთვის როდი დადიან შერპები, 8000 მეტრის ზემოთ ისინი ანაზღაურებას აღარ იღებენ. შერპები თავიანთი სურვილით ადიან მწვერვალზე. მათ იციან, რას ნიშნავს მწვერვალზე ასვლა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



შერპთა ბილიკი ხან უთოვლოა, ხანაც თოვლიანი

## მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი ოცდამეერთე

# ჩემპიონის ერთი დღე



ოსკარ დე ლა ჰოია ცივ ზამთარში

ოსკარ დე ლა ჰოია დღევანდელი მსოფლიო კრივის უძლიერესი მებრძოლია. მის შესახებ ბევრსაც წერენ და მისი საქმენიც ცნობილია. დაუმარცხებელ ჩემპიონს (28-0) გადაუწყვეტია ხუთი წონის ტიტულები მოიგოს. ამ ჯერზე ის ველთერის წონაში (148 ფუნტი) პირველობს და ახლა სურს ველთერის მცირე (140 ფუნტი) წონის განთქმულ ვიცე-ჩემპიონს, რუს-კორეელ-ავსტრალიელ კოსტია ძიუს შეხვდეს. ძიუს თავად გადაუწყვეტია შვიდი ფუნტის მომატება და ველურში აბარგება. წონით თამაში, რაც ასე გავრცელებულია ველთერსა და ქვემო წონებს შორის, დე ლა ჰოიასთვისაც არ არის უცხო.

დე ლა ჰოია ნელ-ნელა იმატებს წონას და ის დასახული მიზნისკენ მიდის, მსუბუქიდან — საშუალოსკენ.

დე ლა ჰოია ჭკვიანია და ინტელიგენტური იერის ბიჭია, 25 წლისა მოყრილა და არქიტექტორობაზე ოცნებობს. ჩვენთვის კი საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ ატარებს ვარჯიშის დღეებს მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ოსკარი.

მოქმედების ადგილი: ბიგ ბეა, კალიფორნია, ლოს ანჯელესიდან ორსაათნახევრის სავალზე წარმართული ბერნარდინოს მთები.

აქ, ერთ-ერთი ბრძოლისთვის ემზადება ოსკარ დე ლა ჰოია. ის ბერივით ცხოვრობს. კრივში ასეა, გამარჯვებას და დიდ ხელფასს კარჩაკეტილი, მოუღლელი და მშვიდი ყოფა სჭირდება. სხვანაირად არაფერი გამოვა. ვარჯიში არ ნიშნავს აუცილებლად გამარჯვებას, მაგრამ ვარჯიში და რეჟიმი მთავარია. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ნიჭსა და ტაქტიკაზე ლაპარაკი.

### დილა

7 საათი: დე ლა ჰოია დგება, შხაპს იღებს და იმოსება. ჩაცმა საგანგებო სჭირდება, რადგანაც გარეთ თოვლია და გვარიანადაც ყინავს. საზამთრო პიჟამო და ფეხსაცმელი, სქელი, ნაქსოვი ქუდი და ქურთუკი. ეს ყველაფერი თბილი, მაგრამ მსუბუქი უნდა იყოს, რადგან ოსკარს აღმართებში მოუწევს სირბილი.

მოკრივე ქუჩაში გამოდის. დიდი კოპწია ვინმე არ გახლავთ. ეს ამ სავარჯიშო დღეებშიაც კარგად ჩანს — მის ბანაკში სულ მამაკაცები არიან. არავინ ზრუნავს ფასონსა და ფერთა გამაზე. პრინციპში, სახლიც, საგანგებოდ მისთვის ნაქირავები კოტეჯი, დასალაგებელია. ერთი კარგი ჰაუსქიფერი არ აწყენდა, მაგრამ ოსკარი ამაზე არ ფიქრობს. ჯერჯერობით მარტოხელაა და მთლიანად კრივს უძღვნის თავის დროს.

7 საათი და 30 წუთი: ჯო პახარი, ოსკარის ბავშვობის ძმაკაცი მანქანას ქოქავს და იმ კოტეჯისკენ მიდის, სადაც ოსკარი ცხოვრობს. ჯოს რობერტო ალკასარი უზის გვერდით, დე ლა ჰოიას მწვრთნელი. გარშემო თოვლია. ოსკარი მანქანაში ჯდება, სალამს ამბობს და ყველანი მთებისკენ მიეშურებიან. გზად ჩემპიონი ახალ საკრივო ჟურნალებს ათვალიერებს.

7 საათი და 45 წუთი: დე ლა ჰოია მანქანიდან გადმოდის და ძუნძულით შეუყვება აღმართს. მთელს ნახევარ საათს ასე დარბის, მერე კი ორწუთიან სპრინტზე გადადის.

8 საათი და 17 წუთი: თავდაღმართში მომავალი ოსკარი მსუბუქ საკრივო მოძრაობებს აკეთებს. თითქოს, თავს ირთობს. „ბემ! ბემ!„ სიჩუმეში მისი შეძახილები ისმის. სახე სულ ოფლიანი აქვს. შემდეგ ის და ჯო დიდ თოვლის გუნდებს აკეთებენ და დაღმართში აგორებენ.

8 საათი და 30 წუთი: დე ლა ჰოია შინაა. კვლავ შხაპი, ახალი ტანსაცმელი. ჯო კვლავ საჭესთანაა, საუზმობის დრო მოსულა.

9 საათი: საუზმე „შუგარ ბეას“ რესტორანში, სუფთა, მშვიდ ადგილას. არავითარი ფუფუნება: თეთრი ხელსახოცები და ხის მაგიდები. მიმტანი გოგო კრისტა საუკიდო მეტად მომხიბვლელი ვინმეა და დე ლა ჰოიას ისე ექცევა, თითქოს ეს უკანასკნელი მრისხანე ჩემპიონი კი არა, ბავშვი იყოს.

„იცი რა უნდა მიირთვა დღეს?“ — ეკითხება კრისტა და პასუხსაც არ ელოდება. დე ლა ჰოია კი გავაზე წაუთათუნებს ხელს.

მისი საუზმე მსუყეც არის და არც არის მსუყე. რძე, ნახევარი ლიტრი ფორთოხლის წენი, ხუთი მოხარშული კვერცხი, ბოსტნეული და ბეკონი.

„არ მინდა ამდენის ჭამა“, — ამბობს ოსკარი — „ბეკონი საშინლად მძიმე დასაძლევია, მაგრამ რახან თანდათან ვიმატებ წონაში, ამიტომაც მტენიან ცხიმით“.



მტევნის გადახვევა სერიოზული საქმეა — ალკასარიც ამიტომაა სერიოზული

საუზმობისას მსუბუქი საუბარი მიმდინარეობს.

ოსკარს ერთი კარიერაწამხდარი მოკრივე ახსენდება, რომელთან ერთადაც შეერთებული შტატების ოლიმპიურ გუნდში გამოდიოდა და რომელიც უიღბლო პროფესიონალი შეიქნა.

„მისი დახმარება ვცადე“, — მოიწყენს დე ლა ჰოია — „მაგრამ არაფერი გამომივიდა. მას ეზიზღება დახმარება“. ჩემპიონის სიტყვებში არანაირი ღვარძლი არ არის. ის, უბრალოდ, ამბავს ყვება. როგორც მითხრა, ბევრ ადამიანს აღიზიანებს სუპერვარსკვლავი, რდგან მისი არსებობა საკუთარ უიღბლობას ახსენებს.

ფორთოხლის წვენს რომ წრუპავს, ოსკარი საკრივო ჟურნალ „ქეიოს“ ათვალიერებს. იქ მასზეა დაბეჭდილი სტატია.

„ყოფილა ვინმე ზედიზედ ორჯერ წლის საუკეთესო მოკრივე?“ კითხულობს ის. „ქეიომაც“ და „რინგმაც“ ამ ჟურნალების ისტორიაში პირველად მას მიაკუთვნეს ზედიზედი წოდება. უარყოფითი პასუხი თითქოს ახარებს ოსკარს. ის თავს გადააქნევს, ორიოდე ვიტამინის აბს ჩაყრის რძიან ჭიქაში და სწრაფად სვამს. მერე საუზმის საფასურ ჩეკს წერს და დგება.

9 საათი და 45 წუთი: დასვენების ჟამი დამდგარა. დე ლა ჰოია უკვე შინაა. ტელევიზორის წინ, დივანზე წამოგორებულა და ხელში პულტი უჭირავს. უყურებს და არც უყურებს ტელევიზორს. თუმცა ამგვარი კოტრიალი კარგახანს გრძელდება.

ჩემპიონის დილაც აქ მთავრდება. მერე ყველაზე დატვირთული ჟამი, შუადღე მოდის.

### შუადღე

პირველი საათი და 45 წუთი: დე ლა ჰოია სავარჯიშო დარბაზში შედის. იქ მას უკვე ელის ალკასარი, რომელიც თორმეტი წელიწადია ოსკარის მწვრთნელია. სავარჯიშო დარბაზი იმ სახლის გარაჟის ახლოს მდებარეობს, რომელიც ბიგბეაში ყოფნისას მოწონებია ოსკარს და რომლის ყიდვასაც აპირებს.

სახლი დიდია, ქვით ნაშენი, მანსარდებითა და მინით გაწყობილი სახურავებით.

დარბაზი სუფთა და თანამედროვეა, აქ ყოველგვარი საკრივო მოწყობილობა მოუტანიათ: ორი მძიმე ტომარა, ორ სისწრაფეზე სამუშაო ტომარა, სარკეები ჩრდილებთან ბრძოლისთვის და სტანდარტული ზომის რინგი. ტრადიციისამებრ, კედლებზე პლაკატებია გაკრული, მათზე ოსკარის საგმირო საქმენია აღბეჭდილი.

დე ლა ჰოიას სპარინგ-პარტნიორები, დამხმრენი და ძმა, ჯოელი ელიან. ლათინური მუსიკის ხმა მოისმის. რა გასაკვირია? ვიღაცას „სიდი“ მოუტანია. აქ ყველანი ლათინოსები არიან და ამის გარეშე არავის შეუძლია. მთელი ვარჯიში ამ ჰანგების თანხლებით მიმდინარეობს.

2 საათი და 45 წუთი: უშუალო საკრივო ვარჯიში ამ დროს იწყება. ალკასარი ფრთხილად ახვევს ბანდებს ოსკარის მტევნებს. მისი თითები პიანისტსაც შეშურდებოდა, ამბობს პახარი, მწვრთნელი კი ძალიან ფრთხილობს, ცუდად გადახვეული მტევნები ტრავმის საწინდარია. ყველაზე სახიფათო კი მოკრივესთვის, ხელის ტრავმაა.

3 საათი: ოსკარი რინგზე ადის და შორიახლოს დამონტაჟებული სარკისკენ იცქირება. ასე იწყება ჩრდილებთან ბრძოლა, მუშტების ქნევა არარსებული მოწინაალმდეგის თავპირისკენ. ნამდვილი მოძრაობა, ნამდვილი დარტყმა, ნამდვილი უკანდახევა. ომი ჰაერთან.

სანამ ოსკარი ჩრდილებს ებრძვის, ალკასარი კალიფორნიის სავარჯიშო დარბაზებში გავრცელებულ ჭორს მიყვება. თურმე აქ ხმა დადის, რომ დე ლა ჰოიასა და ლეგენდარულ მექსიკელს, ხულიო სეზარ შავესს ერთობლივი ვარჯიში და სპარინგი ჰქონიათ, რომლის დროსაც შავეს ნოკაუტში ჩაუგდია ოსკარი.

„სისულელეა“, — ამბობს ალკასარი — „სპარინგი მართლაც იყო, მაგრამ უფრო ლლაბუცი ეთქმოდა. ოსკარი თავად გაიშხლართა ხალიჩაზე“.

არადა, ოსკარს ორჯერ სასტიკად დაუმარცხებია ასი ბრძოლის მომგები დიდი მექსიკელი.

პირველი შერკინების დროს შავესს იმდენი სისხლი გასდინდა, რომ ამ დამსახურებული კაცის ყველა მეტსახელი დაივიწყეს და „ბლადიბოი“ სისხლიანი ბიჭი) შეარქვეს.

თანაც, სპარინგი შვიდი წლის წინათ ყოფილა, როცა ოსკარი ჯერ კიდევ მოყვარული იყო, შავესი კი ჯერაც ჩემპიონი, რომელიც ნუ იტყვით და, თვრამეტუნციანი ხელთათმანებით გამოსულა სასპარინგოდ.

რინგიდან კი ოსკარის შეძახილი ისმის: „ბემ! ბემ!“

„შეხედე ამ ჯებებს“, — ამაყობს ალკასარი — „ვინ დაუდგება წინ?“

3 საათი და 18 წუთი: დე ლა ჰოია თვრამეტწუთიან უწყვეტ ჩრდილებთან ომს წყვეტს და ღიმილით ამბობს: „არ სცადოთ ეს სახლში, სარკის წინ. დაიხოცებით“.

3 საათი და 19 წუთი: ოსკარი თორმეტუნციიან ხელთათმანებს მოირგებს და პირველ სპარინგ-პარტნიორს იწვევს რინგზე. ამ ბიჭს ჯოვანი სერვანტესი ჰქვია. თითო პარტნიორი ორ-ორ რაუნდს შეებრძოლება ოსკარს. დე ლა ჰოია ხისტად ჩხუბობს, მაგრამ არ ანადგურებს მოწინაალმდეგეს. ეს ხომ სპარინგია. ის კომბინაციებს ამუშავებს. ეს საუცხოო კომბინაციებია, მაგრამ არც ერთი არ არის სამ-ოთხ დარტყმაზე მეტის შემცველი.

სერვანტესი ჯებით, ჰუკით უტევს, გრძელი ხელები აქვს, მაგრამ ცხვირიდან სისხლი სდის. ალკასარი სპარინგ-პარტნიორებს ხელმძღვანელობს რინგს გარედან. ეძახის, რა დროს როგორი მოიქნიონ. ეს ყველაფერი ოსკარის შესამოწმებლად კეთდება, მაგრამ სერვანტესი ვერაფერს ახერხებს და ოთხმოქნევიანი კომბინაცია საბოლოოდ აწყნარებს მას.

3 საათი და 28 წუთი: რინგზე დანიელ ერნანდესი, „ელ ჩოკოლატე“ გამოდის. დე ლა ჰოიას პირველივე ჯები მას ნიშანს ადებს ლაწვზე. ერნანდეს უვლიან და ბრძოლა გრძელდება. „ელ ჩოკოლოტე“ ახლო ბრძოლაში შესვლას ლამობს. მაგრამ ორთაბრძოლის ბოლო ოსკარს მარცხენა-მარჯვენა-მარცხენათი ისჯება. ბოლოს ოსკარი მუცელში ამოჰკრავს გემრიელ აპერკოტს.

3 საათი და 46 წუთი: რინგზე მესამე, გელბერტო სარატე ამოდის. დარბაზში კი შორიახლოს მშენებარე სახლის მუშები შემოდიან, რათა ჩემპიონს უყურონ. ასეა, როცა იღბლიან ადგილას, იღბლიან დროს მუშაობ. სარატე სწრაფია, დე ლა ჰოია კი თავის მეხუთე და მეექვსე რაუნდებს ჩხუბობს. და მაინც, ბრძოლის მიწურულს მისი აპერკოტი სწვდება გელბერტოს.

3 საათი და 55 წუთი: სპარინგი მთავრდება და ოსკარი ერთწუთიანი შესვენების შემდეგ მძიმე ტომარასთან იწყებს მუშაობას. ოთხწუთიანი სერია, რომელსაც მწვრთნელი გაფაციცებით ადევნებს თვალს.

„ბემ! ბემ!“ — კვლავ ისმის.

4 საათი: ოსკარი „დაბმულ მსხალთან“ მიდის და მრავალგვარ კომბინაციას ატარებს ხუთი წუთის განმავლობაში. ალკასარ აქაც უფროსობს.

4 საათი და 5 წუთი: დე ლა ჰოია ხელთათმანებს იხსნის და კვლავ ჩრდილებს ეომება.

4 საათი და 10 წუთი: სამუშაო შესრულებულია! ის აბაზანისკენ გარბის და ნახევარ საათს შხაპს ქვეშაა.

### სამხრობა

სრულ ხუთ საათზე ოსკარი, პახარი, ალკასარი, ჯოელი, გილბერტო, დანიელი და ჯოვანი კვლავ „შუგარ ბეას“ რესტორანში მიდიან, რათა პატიოსნად აღსრულებული სამუშაოს შემდეგ კუთვნილი ტრაპეზი მიიღონ.

სამწუხაროდ, კრისტა აღარ არის, ახლა მისი ემცვლელი ემსახურებათ და ოსკარიც მოიწყენს, ვის გაეარშიყოს?

თუმცა, ეს გოგოც ღიმილით დასტრიალებს თავს.

დე ლა ჰოია ვიტამინიზირებულ, ლიმნიან ჩაის სვამს და მერე შემწვარ წიწილს და ბოსტნეულს მიუჯდება, მაგრამ ის თეფშს არ ასუფთავებს. ყველაფერი განსაზღვრულია. დიეტა მკაცრია. სამაგიეროდ, დესერტად ნაყინი და შოკოლადი მოდის. ახლა ექვსი დაიწყო და დღე ისე ჩამთავრდება, ოსკარი ისე წავა დასაძინებლად, რომ ლუკმასაც არ შეჭამს.

ბიგ ბეა წყნარი ადგილია. აქ არ არის საქეიფო ბარები და რესტორნებშიც ყოველთვის იპოვი ადგილს, მაგრამ ოსკარი დღეს აღარ დაბრუნდება „შუგარში“. მისთვის ეს სამხარი სადილიცაა და ვახშამიც. ალკოჰოლი კი ჩემპიონებს ხელს უშლის. შემდეგ ის ქალაქში სეირნობს, კინოს ან ვიდეოს უყურებს და სრულ ათ საათზე შუქს აქრობს საწოლ ოთახში.

დე ლა ჰოია გეგმაზომიერად მიდის წინ. აპირებს, რომ ორ წელიწადში ასსამოცფუნტიან წონას მიაღწიოს და იქაც ჩემპიონი გახდეს. ახალი ყაიდის მოკრივეა, უფრო სწორად, ახალი აზროვნებისა. ასეთი „კარგი ბიჭი“ დღეს კრივს არა ჰყავს.

ამიტომაც გიამბეთ მისი ოფლისღვრის შესახებ.



ომი დაბმულ „მსხალთან“



„შუგარ ბეაში“ — კრისტა და ოსკარი არშიყობენ

ცხენოსნობა

# ყველაფერი იყო ქართული, ყველაფერი იყო ძმური

## ისინდიც, ცხენბურთიც, გაწევ-გამოწევაც



ახლახან აბაშის იპოდრომზე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. ჩვენი დღევანდელი სიდუხჭირის გამო მონაწილეთა სიმრავლეს, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, თუმცა თბილისის, ქუთაისის, ფოთის, სენაკის, სამტრედიის, ხონის, აბაშის და აფხაზეთის ცხენოსნებმა მაინც შეძლეს ჩემპიონატში მონაწილეობა და შეჯიბრისთვის ხიბლისა და ლაზათის მიცემა.

პირველობის პროგრამაში იყო ისინდი, ცხენბურთი, ორკილომეტრიანი დოღი და ექვსკილომეტრიანი მარულა.

შარშანდელი პირველობა სენაკელ და ფოთელ ცხენოსანთა უშეღავათო ბრძოლებით აღინიშნა, წელს კი თბილისელები ჩაერივნენ მათ ბრძოლაში და პირველი ადგილიც ღირსეულად ირგუნეს.

განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული იყო ისინდში ფინალური შეხვედრა, სადაც ერთმანეთს სენაკელი და თბილისელი ცხენოსნები შეხვდნენ. გარეგნულად სენაკელები თითქოს უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ მსაჯებმა გამარჯვება დედაქალაქელ სპორტსმენებს არგუნეს. ამ გადაწყვეტილებამ დიდი გაწევ-გამოწევა გამოიწვია, ოღონდ ხანჯლების გარეშე. მსაჯთა კოლეგიამ ჯერ სენაკელები დაწყნარა, შემდეგ თბილისელები გაბრაზდნენ და შეჯიბრების მიტოვებით დაიმუქრნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, კონფლიქტი ამით ამოიწურა და პირვანდელი გადაწყვეტილებაც ძალაში დარჩა.

ცხენბურთელთა ასპარეზობის ფინალშიც თბილისელი და სენაკელი მხედრები შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად დედაქალაქელთა ბევრად ჯიშიანი ცხენების უპირატესობა თვალნათელი იყო. სენაკელები უფრო ტექნიკურნი კი იყვნენ, მაგრამ ძალა ხომ იმისაა, აღმართი მოხნას.

საბოლოოდ, თბილისელებმა 9:6 გაიმარჯვეს. ცხენბურთში ტაიმი 15 წუთს გრძელდება, ასე რომ, ნახევარ საათში გატანილი 15 ბურთი ამ შეხვედრის სილამაზესა და ჯიგრიანობას ადასტურებს.

ორკილომეტრიანი დოღი, 8 მხედრის მონაწილეობით, აშკარა უპირატესობით აფხაზეთის წარმომადგენელმა ირაკლი ნარმანიამ მოიგო. უფრო დაძაბულად და საინტერესოდ ჩატარდა ასპარეზობა ექვსკილომეტრიან მარულაში. სტარტზე 11 მონაწილე დადგა. გამარჯვებულის ვინაობა სულ ბოლო მომენტში გაირკვა: თბილისელ ბულესკირიას „პასიმმა“ ზედ ფინიშის ხაზზე აჯობა ფოთელ მირუაშვილის „სინკოპას“.

დასასრულ მონაწილეთ გადაეცათ საჩუქრები და ეს საინტერესო შეჯიბრება ამით დამთავრდა, თუმცა ეროვნული დროშის დაშვება ერთი ხანობა გადაავიწყდათ და, კაცმა რომ თქვას, ცხენოსნობაში არსებულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, დროშა აღმართულიც უნდა იყოს, რადგან ყოველ კაცს, რომელიც ცხენოსნობაში მოღვაწეობს, მუხლჩაუხრელი შრომა მართებს ამ უძვირფასესი ეროვნული სახეობების შესანარჩუნებლად.

**ბიძინა დარჩია**



### ტექნიკური შედეგები

ისინდი

1. თბილისი 2. სენაკი 3. ფოთი

ცხენბურთი

1. თბილისი 2. სენაკი 3. ფოთი

დოღი

| | | |
|---|---|---|
| 1. ირაკლი ნარმანია | „დებორა“ | აფხაზეთი |
| 2. გიორგი სამხარაძე | „ჩალა“ | თბილისი |
| 3. ალექსანდრე მირუაშვილი | „სინკოპა“ | ფოთი |

მარულა

| | | |
|---|---|---|
| 1. ირაკლი ბულესკირია | „პასიმი“ | თბილისი |
| 2. ალექსანდრე მირუაშვილი | „სინკოპა“ | ფოთი |
| 3. ცოტნე ლაბაშია | „მარწყვი“ | აფხაზეთი |

გუნდური პირველობა

1. თბილისი 82 ქულა; 2. ფოთი 62; 3. სენაკი 57; 4. აბაშა 29,5; 5. ხონი 34,5; 6. სამტრედია 27; 7. აფხაზეთი 21; 8. ქუთაისი 15.

წერილი „სარბიელს“

# ცხენბურთი — ჩვენი მთვლემარე «მე»

თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ ცხენზე არასოდეს ვმჯდარვარ და ამ საქმის არა გამეგება რა.

ერთხელ სრულიად შემთხვევით ვნახე ტელეგადაცემა, რომელშიც ბრიტანელებს თავი მოჰქონდათ დიდყურა უელსის უფლისწულ ჩარლზის ვაჟკაცობით პოლოს თამაშისას. პოლოს კი ხის გრძელტარიანი უროებით შეიარაღებული ცხენოსნები თამაშობენ და ამ უროებს მოედანზე მგორავ ბურთს ურტყამენ. გულში რაღაცამ გამკენწლა და მოსვენება დამაკარგვინა. კარგახანს ვიყავი ასე, გონებამ იწვალა და ბოლოს იპოვა ერთი ძველი, ბავშვობაში ნანახი 50-60-იანი წლების ფილმი, რომლის სათაურიც ვერ აღვიდგინე, მაგრამ ცხადლივ გავიხსენე რამდენიმე კადრი, სადაც ჩოხაახალუხიანი, ყაბალახით თავწაკრული მხედრები, რომლებსაც მოთამაშის ნომერწარწერილი თეთრი ქსოვილის კვადრატები ჰქონდათ მიმაგრებული მკერდსა და ზურგზე, ხოლო ხელთ ხმალივით მოღერებული, წვერზე თოკით მოწნული კალათიანი ჩოგნები ეპყრათ, მოედანზე მოხდენილად დააჭენებდნენ ცხენებს. ამას კი თავისთავად სახელიც მოჰყვა — ცხენბურთი. ბევრი აღარ მიფიქრია და იპოდრომისკენ გავწიე. იპოდრომის დირექციაში გავიგე, რომ იქ არსებობს ერთი გუნდი, ამ საქმის გულშემატკივართაგან შემდგარი, შევხვდი ამ გუნდის წევრს, რომელმაც მითხრა, რომ სამეგრელოში საგანგებოდ იყო წასული თამაშის სანახავად და ჩოგნების ჩამოსატანად, მირჩია კაპიტონ ნაჭყებიას წიგნის „ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი“ მოძიება და წაკითხვა, გარდა ამისა, მამცნო რომ ეს თამაში იპოდრომზე ადრე ყოველი წლის გაზაფხულზე იმართებოდა, ბოლოს კი სადღაც 1987 წელს ჩატარდა, რომ არცთუ დიდი ხნის წინ ცხენებს ულმერთოდ კლავდნენ და ზოოპარკში მიათრევდნენ მტაცებელთა გამოსაკვებად, რომ ცხენბურთის აღორძინებაზე საუბარი ძნელია, რადგან ჯიშიანი ცხენები დიდძალი ფული ღირს და არცთუ ცოტა მათი ვარჯიში და მოვლა-პატრონობა ჯდება. არა, მათ გული არ გასტეხიათ, პირიქით, მიზნად საჩვენებელი თამაშის გამართვა განუზრახავთ, რათა ვინმეს ყურადღება მაინც მიიპყრონ. მანვე დიდი გულისტკივილით აღნიშნა, რომ არცერთ საინფორმაციო საშუალებაში ეს საკითხი არ შუქდება და ამ საქმის მცოდნე სპორტული ჟურნალისტებიც არ ჩანან.

ჩემი მხრივ დავამატებდი, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოში ეროვნული საცხენოსნო შეჯიბრებები ჯერ კიდევ 20-იან წლებში აკრძალა. ხმამაღლა ის ითქვა, ეს ყოველივე წარსულის გადმონაშთი და ცრურწმენის ნაწილიაო, აკრძალვის ნაღდი და სიღრმისეული მიზეზი კი ის იყო, რომ ეს თამაშობანი თვითმყოფადობისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლოდ აღიქმებოდა. რუსეთი კი, მოგეხსენებათ, „ბაბილონის გოდოლში“ ხალხებისა და ერების საყოველთაო ათქვეფა-აღრევისა და წაშლა-გათანაბრების დაუოკებელი სურვილით ანთებულიყო. მიუხედავად ამისა, ზემოთ ნახსენებ კაპიტონ ნაჭყებიას წიგნიდან გავარკვიე, რომ სწორედ საბჭოთა დროში, ამ საქმის გულშემატკივართა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით ისტორიული წყაროების მოხმობით ზუსტად დადგენილია ამ თამაშის სახელი, მისი სახეობები, სათამაშო იარაღები, ილეთები და 1947 წელს თბილისის მილიციის ცხენოსანთა ესკადრონის მხედრებს დიდი ხნის მზადების შემდეგ პირველი საჩვენებელი შეჯიბრიც გაუმართავთ დიდი ხნის მივიწყებული ამ უაღრესად დახვეწილი, სანახავად ლამაზი, მოქნილი და რთული თამაშისა.



1629 წლიდან საქართველოში მოსაქმიანე იტალიელი მისიონერისა და მხატვრის დონ კრისტოფორო დე კასტელის ნახატი „მამუკა ბატონიშვილი ჩოგანბურთის თამაშობისას“

ცხენბურთს წარსულში თურმე საქართველოს დასავლეთშიც თამაშობდნენ და აღმოსავლეთშიც.

რატომ არის საშური ამ თამაშის აღორძინება და საქართველოს ყოველწლიური პირველობის მოწყობა?

ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ცხენბურთი მხოლოდ თამაში როდია. ის არც იცნობა და არც გახსენება სჭირდება, ერთი შეხედვა და უკვე იცი, რომ ის ყოველთვის იყო, არის და იქნება შენში, იქნება, ვიდრე თავად იქნები. იგი, ჩემი აზრით, არის ქართული სიმღერის, ცეკვის, ჭიდაობის ტოლი და სწორი. ამ დაუნდობელ დროში, საყოველთაო საკომუნიკაციო ქსელების არნახული ზრდა-გაფართოებისა და ყოფა-ცხოვრებაში შეღწევის, აგრესიული ინდუსტრიალიზაციის ფონზე სულ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა საყოველთაოსაც ფეხი აუწყო, არ ჩამორჩე, ნაცარტუტად არ იქცე და შენიც არ დაკნინო, არ დაკარგო, ვიღაცის უსუსურ აჩრდილად არ გადაიქცე. ამის ნიმუშად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალდატანებით ამერიკანიზებული იაპონიის მაგალითიც იკმარებს, სადაც ჭიდაობა სუმო ათობით მილიონი იაპონელისთვის უწმინდესია, რადგან ის მისია, მხოლოდ მისი და იქ იოხებს სულს, იქ მოდის თანხმობაში საკუთარ დიდ „მე“-სთან, რის გარეშეც პიროვნებაც და საზოგადოებაც საშინლად საჩირდება.

და სწორედ ამიტომ თავისთავად მოვიდა ფრაზა, რომელიც, ვგონებ, ზუსტად ასახავს ამ ეროვნული სპორტის სახეობის დღევანდელ მდგომარეობას:

ცხენბურთი — ჩვენი მთვლემარე „მე“.

**ღრმესი პატივისცემით**
**თედო ქახელი**

ჭადრაკი

# არქიმედეს კანონი ელისტაში უკუღმა მოქმედებს




ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადა, რიგით 33-ე, გახურდა და სატურნირო ცხრილიც ნელ-ნელა დაწმენდას იწყებს. ოღონდ აქ ყველაფერი არქიმედეს კანონის საწინააღმდეგოდ ხდება: ძლიერები და წონიანები აღმა მიიწევენ, უწონონი და უღონონი, ანუ ისინი, ვისაც ჭადრაკის თამაში ხეირიანად ვერ უსწავლიათ და ზედაპირზეც მხოლოდ პირველი ტურების იღბლიანმა კენჭისყრამ წამოატივტივა, ნელ-ნელა ეშვებიან ფსკერზე. და მაინც, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არიან მავანნი, რომელთაც განუზრახავთ დაამტკიცონ, რომ ალმაცერ შეხედვას არ იმსახურებენ. პირველ რიგში, ეს ვიეტნამის ქალთა ნაკრებზე ითქმის, მე-20-ედ განთესილ გუნდზე, მშობლიური ნაკრები რომ გაგვიმწარა. ანდა ვინ იფიქრებდა, 36-ედ განთესილ მონღოლებს ლიდერებში თუ ვიხილავდით. არის კიდევ რამდენიმე ასეთი ფაქტი (მაგალითად, მოლდოვის ვაჟთა ნაკრები), თუმცა ეს ყველაფერი ალბათ მაინც დროებითია და, დიდი-დიდი, კიდევ ორიოდ ტური გასტანოს.

წლევანდელი ოლიმპიადა უწინდელებს შემადგენლობით აშკარად ჩამორჩება. მსოფლიოს უძლიერესი ათეულიდან ხალხი აქ ნაკლებადაა და, ვინც არის, ისინიც, ვგონებთ, მოვალეობას თუ იხდიან. ქალებს შორის ვერ დალანდავთ ვერცერთ პოლგარს და ვერც ალისა გალიამოვას, რომელიც ფიდესთან ბუტიაობს. არის ერთი სიახლე: რუსეთმა ოლიმპიადაზე ერთბაშად 7 (!) ნაკრები გამოიყვანა — 4 ვაჟთა და 3 ქალთა. არ ვიცით, სადაური წესია ეს, მაგრამ იმას რომ ვკითხოთ, ვისაც ჯერ არს, ეჭვი არაა, ასეთ პასუხს მივიღებთ — სადაური წესია და აქაური. ერთი კია — რუსთა ვერცერთ გუნდს ჯერჯერობით მაჩანჩალად ვერ მივიჩნევთ. ის კი არა, თავისი ქვეყნის პირველ ნაკრებთან ერთად რუსეთის ქალთა მესამე გუნდიც ლიდერთა შორის იმყოფება. რაც შეეხება ფართოდ რეკლამირებულ პირდაპირ ჩართვას ინტერნეტში და „ელექტრონული მაგიდის“ პროექტის რეალიზაციას, ეს საქმე, ისევე როგორც ჭადრაკის სასახლის მშენებლობა, ალბათ რუბლის ინფლაციამ შეაფერხა და ჰორიზონტზეც არაფერი მოჩანს საიმედო.

ჯერჯერობით სულ ეს არის. მთავარი წინაა და მომავალშიც ყველაფერს ერთგულად გიპატაკებთ.

**დავით გულუა**



Elista Olympiad 1998

**ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!**

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრა[მა]
④ მისაღები ფასები

# არც ჰინგისი და არც პირსი



ელენა მაკაროვა

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

გუშინვე გაიმართა წყვილთა მერვედფინალური და მეოთხედფინალური მატჩები. ქართველებს, მაკა ჩახნაშვილსა და სოფიკო მანაგაძეს მეოთხედფინალში თამაში განაღდებული ჰქონდათ, მათ წინა ეტაპზე ოსტროვსკაია — ჟუკოვეცკაიას დუეტს 7:5, 3:6, 6:2 სძლიეს და ახლა მეტოქეებს ელოდნენ, რომლებიც დემენტიევა— გოლოვიზინასა და გერმანელი დების, ანკე და ადრიანა ბარნების შეხვედრას უნდა გაერკვია. რუსებმა ორ სეტში შეძლეს გერმანელთა დამარცხება და ლეილა მესხის აკადემიის ცენტრალური კორტის ტრიბუნებზე რუს-ქართველთა დუელმა ჩოგბურთის მრავალი მოყვარულიც შეჰყარა. მატჩის ფავორიტები ლამაზმანი დემენტიევა და გოლოვიზინა იყვნენ, აკი ორგანიზატორებმაც წყვილთა ტურნირში მესამედ განთესეს. ჩვენ კი ჩვენი გაგვჭირვებოდა, ერთეულებში ყველა ქართველი გამოვარდა და ერთადერთი იმედი სწორედ ჩახნაშვილი-მანაგაძის დუეტიღა იყო. ჰოდა, სოფიკომ და მაკამაც იმედი გაგვიმართლეს, პირველ სეტში მეტად დაძაბულ ბრძოლაში 7:5 იმარჯვეს. მეორეში კი უფრო ლაღად ითამაშეს და რუსები 6:3 დაამარცხეს.

ერთიც ვთქვათ, ჩვენების მოგებამ, ცხადია, ყველა გაახარა, თუმცა რუსთა და განსაკუთრებით ელენა დემენტიევას ტურნირიდან გამოთიშვამ ბევრს დაწყვიტა გული, ალბათ მიმიხვდით, ჩვენი ჩრდილოელი „დაიკოს" სილამაზით მოხიბლულ თბილისელ რაინდებზე მოგახსენებთ.

წყვილთა კიდევ ერთ, ბულგარელ გუშევა ფრანგ იაგინიაკისა და უკრაინელების კორნიენკო-კრუტკოს შეხვედრაზე გვინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა. ხაზოლმა ქალებმა იმდენი და ისეთი სიტყვებით ლანძღეს და აგინეს ქართველი მსაჯი, რომ მრავლისმნახველი და მრავლისგამგონე ჩვენებური ძველი ბიჭებიც კი გაოცებისგან პირს დააღებდნენ, თუმცა ყამყრალობას უკრაინელთათვის სასიკეთო არაფერი მოუტანია და მატჩიც გუშევა-იაგინიაკის გამარჯვებით 6:2, 1:6, 6:3 დასრულდა.

ამ მატჩმა იმითაც მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ ფრანგი გოგოს ახლოს გაცნობა გვქონდა განზრახული და ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ იქნებოდა. კაროლინაც, ოღონდ ცოტა ხნით დავისვენებო და, ინტერვიუზე თავაზიანად დაგვთანხმდა:

**— თამაშს თვალს ვადევნებდი და მგონი ფეხს იტკიებ, ტრავმა ხომ არ გაწუხებს?**

— არა, არა, ღმერთმა დამიფაროს, თქვენი კორტები ცოტა არ იყოს უხარისხოა, როგორც ყინულზე, ისე ვსრიალებ, სპეციალური ფეხსაცმელი არ წამომიღია და აქ შევიძინე მაღაზიაში. პატარა მომივიდა და გამტანჯა კიდეც. ამიტომაც ვკოჭლობდი.

**— კორტი დაგვიწუნე, გუშინწინ კი მაყურებლებს ეჩხუბე.**

— იმიტომ, რომ ცუდად იქცეოდნენ, ჩახნაშვილის კარგ თამაშს რომ აღფრთოვანებით ხვდებოდნენ გასაგებია, მაგრამ ჩემს ორმაგ შეცდომებზე ყივილ-ხივილის ატეხვა სადაური წესი იყო?! მეც ნერვები ვერ მოვთოკე, ავღელდი და ტრიბუნებს მწარედაც შევუძახე.

**— მაინც რა თქვი?**

— არ ვიცი, აღარ მახსოვს. ისე, რომც მახსოვდეს, მაინც არ გეტყოდით.

**— ეტყობა, ჩვენი ტურნირი მაინცდამაინც არ მოგწონს.**

— ვინ გითხრათ? პირიქით, საკმაოდ მაღალ დონეზეა ორგანიზებული. წელან კორტებზე რომ ვთქვი, ეს არაფერს ნიშნავს, ასეთი საფარი სხვაგანაც ბევრია.

**— მოდი, კორტებზე, ჩხუბზე და ტრავმებზე ლაპარაკს თავი გავანებოთ და, თუ შეიძლება, შენზე გვითხარი რამე, ახლოს გაგვეცანი.**

— კი ბატონო. პოლონეთში ვარ დაბადებული. ორი წლის რომ გავხდი, ოჯახი საცხოვრებლად საფრანგეთში, ქალაქ დიჟონში გადავიდა. იქ დავიწყე ჩოგბურთის თამაში. მერე კი პარიზს მივაშურე და როლან გაროსის კორტებზე განვაგრძე დაოსტატება. ამჟამად კი პოლონელი მწვრთნელი მავარჯიშებს და უმეტესწილად ვარშავაში ვარ. აქვე გეტყვით: ორი ქვეყნის, საფრანგეთისა და პოლონეთის მოქალაქე ვარ.

**— ალბათ მრავალ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობ და გამარჯვებებიც გიზეიმია.**

— ჩემს კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებად, ჯერჯერობით, იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვება მიმაჩნია. სულ ერთი წელია პროფესიონალებში გადავედი და ბევრ ტურნირშიც ვითამაშე. სახელოვან ჩოგბურთელებსაც შევხვედრივარ და რამდენიმე დამიმარცხებია კიდეც, მაგალითად, ანა კურნიკოვა.

**— ამჟამად რეიტინგში რომელი ხარ?**

— 230-ე, მაგრამ მალე ასეულშიც მიხილავთ.

**— მერე კი ალბათ ჰინგისს და კომპანიას პირველობას შეეცილები.**

— რატომაც არა! ისე კი, მარტინა ჰინგისი მაინცდამაინც გულზე არ მეხატება. კი ბატონო, ის უდავოდ ძლიერი ჩოგბურთელია, მაგრამ ისეთ დროს გამოჩნდა ასპარეზზე, როცა შტეფი ველარ გრაფობდა. მონიკა სელეში კი სულაც დაჭრეს და ფორმიდან ამოაგდეს.

**— გრაფი და სელეში ახსენე, ამათგან რომელს გამოარჩევდი?**



ევგენია კულიკოვსკაია

— მე უფრო მონიკას თამაში მხიბლავს, სელეში ალბათ საუკეთესოა.

**— შენი თანამემამულე მარი პირსი?**

— ოო, მარი ცოტა არ იყოს ამპარტავანი გოგოა. მას რომ მოუსმინო, მისი დარი ჩოგბურთელი და მისებრ ლამაზი ქალი ამქვეყნად არავინ დაიარება.

**— კაროლინა, მოდი ისევ თბილისის ღია პირველობას დავუბრუნდეთ. შენ უკვე ერთეულების ტურნირს გამოეთიშე, წყვილებში კი ჯერაც თამაშობ. ერთი ეს გვითხარი, ფავორიტებად ვის თვლი?**

— ერთეულებში პირველობისთვის მაკაროვა და კულიკოვსკაია იბრძოლებენ, წყვილებში კი კულიკოვსკაია-სისოევას დუეტია ძლიერი. ისე, არც მე და ჩემი ბულგარელი პარტნიორი გუშევა ვიტყვით უარს პირველობაზე.

**— თბილისის მერე ბათუმი უმასპინძლებს ჩოგბურთელ ქალებს. იქ თუ ითამაშებ?**

— ვითამაშებ და გამარჯვებისთვისაც ვიბრძოლებ.

**— წელს საფრანგეთში ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა, თუ ფეხბურთისადმი გულგრილი არ ხარ, ძალიან გახარებულიც იქნები.**

— ნაღდი გულშემატკივარი ვარ და ფრანგთა ნაკრებს გულიანად ვქომაგობდი. ჩვენები ჩემპიონები გახდნენ და მართლაც გავიხარე. ერთზე კი მწყდება გული, ფინალს ვერ დავესწარი, იმ დროს ტურნირზე ვიყავი წასული.

**— კაროლინა, გაისად თუ ეწვევი თბილისს?**

— ვნახოთ, მანამდე რა მოხდება, ისე კი, თქვენი ქალაქი ძალიან მომეწონა და სიამოვნებით ჩამოვალ ხოლმე.

**სოსო კოტორეიშვილი**
**გაიოზ თალაკვაძე**

**მეოთხედფინალები:** გოლოვიზინა — პოუჩეკი 6:3, 6:4; სუჩა — იაგინიაკი 7:5, 4:6, 6:4; კულიკოვსკაია — გლუშენკო 6:2, 6:1; მაკაროვა — ბარნა 6:2, 6:2.

**დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ:** მაკაროვა — გოლოვიზინა; კულიკოვსკაია — სუჩა.



კაროლინა იაგინიაკი

წყვილთა მეოთხედფინალები: კუ[...] ვსკაია, სისოევა — კრიუკოვ[...] რატილოვა 6:1, 6:1; ჩახნაშვილი[...] გაძე — დემენტიევა, გოლოვიზ[...] 6:3; ნეკვაპილოვა, სრომოვა — [...] ლრუკი, ზაპროჟანოვა 6:2, 6:2; [...] შენკო, პოუჩეკი — გუშევა, ია[...] კი (დღეს გაიმართება).
ნახევარფინალში ითამაშებენ: [...] ნაშვილი, მანაგაძე — ნეკვაპი[...] სრომოვა; კულიკოვსკაია, [...] ევა — გლუშენკო, პოუჩეკი — [...] შევა, იაგინიაკის გამარჯვებ[...]

# წვეულებების მსხვერპლი



REUTERS მიუნხენიდან

ლინდსი დევენპორტი

**მიუნხენი. გერმანია. დიდი სლემის თასი. ტარდება ხალიჩაზე. საპრიზო 6,7 მილიონი $**

ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ თავისი პირველი მატჩი ლინდსი დევენპორტმა მიუნხენის ოლიმპიურ დარბაზში გაიმართა, თუმცა ამერიკული ჰარდის სეზონის ტრიუმფატორმა ხალიჩაზე მაინცდამაინც კომფორტულად ვერ იგრძნო თავი.

ლინდსის მეტოქე ამჯერად 30 წლის ფრანგი ნატალი ტოზია იყო. ამ ორს სხვადასხვა ტურნირების მეოთხედფინალში შეხვედრა წლეულს დაბადებული აქვთ: უიმბლდონზე ვეტერანმა იმარჯვა, აშშ-ის ღია პირველობაზე — დევენპორტმა, მიუნხენშიც ფავორიტად ის ითვლებოდა, მაგრამ „ფლაშინგ მედოუზზე" ტრიუმფის შემდეგ გაჭიანურებული წვეულებებისა და ინტერვიუების სიმრავლემ მსოფლიოს მეორე ჩოგნის თამაშს თავისი დაღი დაასვა: „თავს თითქოს გადაღლილად ვგრძნობდი. ვარჯიში მხოლოდ გასულ კვირაში განვაახლე, აქ კი ორშაბათსღა ჩამოვედი. ერთი-ორი დღე კიდევ რომ მქონოდა მოსამზადებლად, გაცილებით უკეთესი იქნებოდა."

ასე კი ამერიკელმა ტოზიას 12 ორმაგი და 36 უნებლიე შეცდომით ვერ ისარგებლა და საათ და 57 წუთიანი შეხვედრა 6:4, 1:6, 5:7 დათმო. „მოხარული ვარ, რომ მსოფლიოს მეორე ჩოგანი დავამარცხე. არ მინდა ვთქვა, რომ ფულს მნიშვნელობას არ ვანიჭებ (ტოზიამ ამ გამარჯვებით 200 არასი დოლარი გაინაღდა), მაგრამ ამაზე მატჩის დროს სულაც არ მიფიქრია" — განაცხადა ფრანგმა.

გული მაინცდამაინც, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად, არც დევენპორტს დაწყვეტია: „ეს დამარცხება გარკვეულწილად დამეხმარება კიდეც, რადგან მაიძულებს, მომდევნო დღეებში მეტი ვივარჯიშო." კარგი თამაში კი უახლოეს მომავალში ლინდსის აშკარად სჭირდება — იგი ამჟამად კლასიფიკაციაში მარტინა ჰინგისს 26 ქულითაა ჩამორჩება და ერთ-ორ ტურნირზე წარმატებული ასპარეზობით მსოფლიოს პირველ ჩოგნობასაც შეიძლება შეწვდეს: „ძალიან რთული იქნება, რადგან ვიცი, მარტინა ყველაფერს ილონებს, რომ ეს არ მოხდეს. კლასიფიკაცია ჩემთვის მთავარი არასოდეს ყოფილა, ასე რომ, პირველი ჩოგნობა იდეა-ფიქსადაც არ მქცევია, თუმცა თუ ამას შევძლებ, რა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი ვიქნები."

მეორე მეოთხედფინალი არც დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა და არც პრინციპულობით — მასში აყლაყუდა ვინუს უილიამსმა თავისი ჯანი შესანიშნავად გამოიყენა და ესპანელ არანჩა სანჩეს-ვიკარიოს შანსი არ დაუტოვა 6:3, 6:2.

ამ დღესვე ჩაერთვნენ ასპარეზობაში განთესილი კაცები. დარბაზის სწრაფი ხალიჩისთვის უჩვეულო უკანახაზელთა ორთაბრძოლაში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა მარსელო რიოსმა (2) ფელიქს მანტიას აჯობა 7:6 (7:2), 7:5. გაინაღდა ნახევარფინალისტისთვის განკუთვნილი 325 ათასი მარკ ფილიპუსისმაც (3). ავსტრალიელმა „სკადმა" მსოფლიოში საუკეთესო მიღების მქონე შვედ იონას ბიორკმანს 13 ეისი მოუწოდა და 4:6, 7:6 (7:1), 6:1 მოიგო.

**ტულუზის ღია პირველობა. საფრანგეთი. ტარდება დარბაზში ჰარდზე. საპრიზო 400 ათასი $**

17 წლის შვეიცარიელი როჯერ ფედერერი ტულუზში მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და პროფესიული კარიერის პირველ გამარჯვებას მეორე მიაყოლა. ფედერერმა, რომელმაც უიმბლდონის იუნიორთა ფინალში ჩვენებური ირაკლი ლაბაძე დაამარცხა, ამჯერად მეშვიდედ განთესილი რიჩარდ ფრომბერგი იმსხვერპლა 6:1, 7:6 (7:5).

შვეიცარიელმა, რომელსაც განსაკუთრებით ძლიერი მოწოდებასა და სისწრაფეს უქებენ, ტულუზში ზედიზედ ორი საუკეთესო ორმოცდაათეულის წარმომადგენელი დაამარცხა, არადა, კვირის დასაწყისში კლასიფიკაციაში თავად მხოლოდ 878-ე გახლდათ. მეოთხედფინალში მისი მეტოქე უკვე მეორედ განთესილი ჰოლანდიელი იან სიმერინკი იქნება, რომელმაც მასპინძელ ჟერომ გოლმარს აჯობა 3:6, 6:3, 6:4.

**მეორე წრე:** გრეგ რუზეცკი (1, ინგლისი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:4, 6:3; ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) — დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) 6:4, 6:3; ნიკოლას კიფერი (4, გერმანია) — ლიონელ ბარტეზი (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:1; მარკ როსე (შვეიცარია) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:3, 6:4; სტეფან უე (საფრანგეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 7:5, 6:7 (3:7), 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — მარტინ სინერი (გერმანია) 6:3, 4:6, 7:6 (7:1).

**მალიორკას ღია პირველობა. ესპანეთი. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 500 ათასი $**

მალიორკას ღია პირველობა, რომელიც წლეულს პირველად ტარდება, ATP ტურის ყველა ტურნირისგან გამოირჩევა — ორგანიზატორებმა კორტები ძველი კორიდის არენაზე მოაწყვეს.

ფავორიტად აქ როლან გაროსის ჩემპიონი კარლოს მოია ითვლება, რომელიც თან მალიორკელი გახლავთ და თავის საპატივსაცემოდ მარბელადან გადმოტანილი ტურნირის მოგება უფრო ვალდებულებასავით აწევს კისერზე. თუმცა პირველად განთესილი ესპანელი ჯერჯერობით ამ ზეწოლასაც უმკლავდება და თავის მეტოქეებსაც — მერვედფინალში მან ჩეხ სლავა დოსედელს საათზე ნაკლებში მოუთავა საქმე 6:4, 6:3.

მოიას საქმე იმნაც უნდა გაუიოლოს, რომ მერვედფინალში ერთბაშად სამი ბობოლა თანამემამულე გაუვარდა. როლან გაროსის ორგზის ჩემპიონმა, ამჟამად კი მსოფლიოს ოდენ 126-ე ჩოგანმა სერხი ბრუგერამ მეორედ განთესილ ალექს კორეტხას მოუგო 7:6 (7:5), 6:3, ასევე ესპანელმა, ფერნანდო ვისენტემ ალბერტ კოსტა (3) გააგდო. მეოთხედ განთესილ, თუმცა ბოლო ხანებში საშინელ ფორმაში მყოფ ალბერტო ბერასატეგის კი 20 წლის გერმანელმა ტომი ჰაასმა აჯობა 5:7, 6:2, 6:1.

**მეორე წრე:** ტომას მუსტერი (5, ავსტრია) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:3, 6:2; გუსტავო კუერტენი (8, ბრაზილია) — ოსკარ სერანო (ესპანეთი) 6:2, 6:1; ტომას კარბონელი (ესპანეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 7:6 (8:6) 6:4; ტომას შლისინგი (ავსტრია) — დუშან ვემიჩი (იუგოსლავია) 4:6, 6:4, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**

სარბიელ[...]
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბ[...] ხუთშაბათს, პარასკევს და შა[...]

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლი[...]
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე: ავთანდილ გურასაშვი[...]
ინფორმაციის განყოფილების გამგე: სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება: კონსტანტინე გოგიშვილი, გიო[...] გამაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინ[...] რიძე, მამუკა კვანტალიანი, პა[...] კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, დავით კოზზირ[...] ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯი[...] შვილი
კალათბურთის განყოფილ[...] ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშ[...]
ინფორმაციის განყოფილ[...] ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავ[...]
კორესპონდენტი ქუთაის[...] იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბად[...] კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობი[...]
კომპიუტერული ცენტრ[...] ელენე გელუტაშვილი, ნინო [...] ვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კ[...] რაშვილი, დავით ნადირაშვი[...] მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარ[...] შვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილ[...]

რედაქციის მისამართი: თბილ[...] ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კ[...] პუსი, IV სართული. საფოსტო მი[...] მართი: თბილისი - 79, საფოს[...] ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 2[...]